დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2023 წლის 13 - 19 ნოემბერი

N 49 1513

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



# მაკრონ, ჯიბიდან ხელი ამოიღე!

2


Emmanuel Macron
12 m
ბრავო ქართველ ხალხს, რომლის ერთგულება დემოკრატიისა და ევროპის მიმართ აღარ საჭიროებს დამტკიცებას. გააერთიანეთ ძალისხმევა წინსვლისთვის. საფრანგეთი დგას თქვენს გვერდით.

## ზაზა პაპუაშვილი:

ამ უბადრუკი კანდიდატის სტატუსის მიღება მარტო იმიტომ ღირდა, რომ ნაცნაძირალების განბილებული სიფათები გვენახა!

3



## ერეკლე კუხიანიძე:

ვიცი რა იმ პროვოკაციის შესახებ, რომელსაც ვაჟა ექიმის მეშვეობით საქართველოს წინააღმდეგ გეგმავდნენ,

12





# არ გამოვრიცხავ, რომ ნაცებმა თამაზ გინტური გაწირეს!




26

## ელიზბარ ჯაველიძე

# ვართ-და?

რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით




9

# თუ სამართალია,

გამოცხადდეს, რომ ევროპამიდრეკილი საქართველოს ტერიტორიაზე არის სამი მწვერვალი, რომელიც ევროპის უმაღლეს წერტილად მიჩნეულ ფრანგულ-იტალიურ მონბლანზე მაღალია!!!

# საქართველო - ევროპაა თუ აზია?

# მაკრონ, ჯიბიდან ხელი ამოიღე!




## საქართველოს პრემიერ-მინისტრის ელისეს სასახლეში სტუმრობა და პრეზიდენტ მაკრონისთან შეხვედრა თავიდანვე წარმატებისთვის იყო განწირული!

***წინა კვირას, საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის მიწვევით, პარიზის მშვიდობის ფორუმს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ესტუმრა.***

უკაცრაული პასუხია, მაგრამ **ღარიბაშვილს** იმავე ფორუმზე, მთავრობის ნებართვის გარეშე, **ტრასის ბოზივით აეკიდა რეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი,** რომელიც პარიზში ჩავიდა თუ არა, საქართველო მაშინვე შარში გახვია და ფრანგ ჟურნალისტებს განუცხადა — **პუტინი და სი ძინპინი ორივე დასაჭერია, ერთი უკრაინაში გაჩაღებული ომისთვის, ხოლო მეორე — უიღურების გენოციდისთვისო!**

ჩვენ არ შევუდგებით იმაზე საუბარს, თუ როგორ პომპეზურად მიიღეს **ირაკლი ღარიბაშვილი** პარიზში, რა განაცხადა მან პარიზის ფორუმზე ან კიდევ რა სისულელე და სიტუტუცე ამოუშვა პირიდან **სალომე ზურაბიშვილმა,** რომელიც აშკარად დასაბმელია. ერთს ვიტყვით მხოლოდ — **საქართველოს პრემიერ-მინისტრს საფრანგეთის პრეზიდენტმა ელისეს სასახლეში უმაღლესი დონის შეხვედრა მოუწყო!**

ფრანგები, რომლებიც საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციისა და ნაპოლეონის გენიის წყალობით, განებივრებული იყვნენ და ამაყობდნენ იმით, რომ მთელი საუკუნე-ნახევრის განმავლობაში მსოფლიო დიპლომატიის ენა ფრანგული იყო, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფრანგულის ინგლისურით ჩანაცვლებას საშინლად განიცდიან. ამიტომ ნებისმიერი კარგად მოფრანგულე, მითუმეტეს, თუ ის დამოუკიდებელი ქვეყნის ლიდერია, მათთვის ორმაგად სასიამოვნო და ძვირფასი სტუმარია. **თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა უმაღლესი განათლება სწორედ საფრანგეთში მიიღო, სორბონის უნივერსიტეტი დაამთავრა და ფრანგულს ბრწყინვალედ ფლობს, თავიდანვე ადვილი მისახვედრი იყო, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ელისეს სასახლეში სტუმრობა და პრეზიდენტ მაკრონისთან შეხვედრა წარმატებისთვის იყო განწირული!** მაგრამ რაც ამ შეხვედრის შემდეგ მოხდა, იმას მართლა ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა...

შეხვედრის დასრულების შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე **ირაკლი ღარიბაშვილთან** ერთად გადაღებული ფოტოსურათი გამოაქვეყნა და ქართულად დაწერა — **„ბრავო ქართველ ხალხს, რომლის ერთგულება დემოკრატიისა და ევროპის მიმართ აღარ საჭიროებს დამტკიცებას. გააერთიანეთ ძალისხმევა წინსვლისთვის. საფრანგეთი დგას თქვენს გვერდით!“**

ამას აცხადებს იმ საფრანგეთის პრეზიდენტი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების პერსპექტივას წინ ეღობებოდა და ბლოკავდა, რადგან რუსეთის გაღიზიანებას ერიდებოდა. მაგრამ ახლა, როცა მსოფლიო გეოპოლიტიკაში ყველაფერი შეიცვალა და ქვეყანა ამოტრიალდა, **პრეზიდენტი მაკრონი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს** ცერზე დაუდგა და ჩვენი ქვეყნისა და ქართველობის მისამართით თბილი სიტყვები არ დაიშურა.

მოკლედ, **ყველაფერი იდეალურად წარიმართა, რომ არა ერთი იაღლიში** — პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილთან** ოფიციალური **ფოტოსურათის გადაღების დროს მარცხენა ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიყო და ოფიციალურ ფეისბუქგვერდზეც სწორედ ეს ფოტოსურათი გამოაქვეყნა.**

დიპლომატიური ეტიკეტის თანახმად, **როცა სახელმწიფოთა ლიდერები ოფიციალურ ფოტოს იღებენ, ამ დროს ხელის ჯიბეში ჩაყოფა არ შეიძლება!** ეს ეტიკეტის დარღვევაა... ცხადია, რასაც ახლა მოგახსენებთ, იმასთან **მაკრონის** მიერ ხელის ჯიბეში ჩაყოფა მოსატანი არ არის, მაგრამ, ცნობისათვის, **ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოახიმ ფონ რიბენტროპი დიდი ბრიტანეთისთვის მაშინ დასრულდა, როცა ინგლისის მეფე ჯორჯ მეექვსეს ფაშისტური სალამი მისცა, ხელი აუწია და „ჰაილ“ დაუძახა!**

**რიბენტროპმა** ეს გააკეთა განგებ, რათა **მეფე ჯორჯი** საქ-



ირაკლი ღარიბაშვილის მიღება ელისეს სასახლეში. 2023 წლის 9 ნოემბერი

### კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ჩემთვის დიდი პატივია, **მოგილოცოთ ისტორიული გადაწყვეტილება,** ევროკომისია დადებითად აფასებს მიღწეულ შედეგს და ევროპულ საბჭოს აძლევს რეკომენდაციას, **საქართველოს მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი.**

მე პირადად **არ ვარ დაპირისპირებაში არც პრეზიდენტთან და არც ოპოზიციასთან, მე არავითარი საქმე არ მაქვს მათთან,** ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი საქმე გასაკეთებელი ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის. **არც პრეზიდენტს, სამწუხაროდ, არც ოპოზიციას, არაფერი არ გაუკეთებია ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე,** არაფერი, არც შარშან, არც შარშანწინ და არც ბოლო 10 წლის განმავლობაში.

„პირველი არხი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ურყევია ქართველი ხალხის ნება** — საერთო ღირებულებების დაცვით, ქართული, ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებით, **გახდეს ევროპული ოჯახის წევრი.** მზად ვართ, ყველაფერი გავაკეთოთ, რომ **ქვეყანა გახდეს ევროკავშირის ღირსეული წევრი.**

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



უპირველეს ყოვლისა, **სწორედ ქართველი ხალხის დამსახურებაა,** რომ ჩვენმა ქვეყანამ მშვიდობა და პოლიტიკური თუ ეკონომიკური სტაბილურობაც შეინარჩუნა და ახლა უკვე **კანდიდატის სტატუსსაც ღირსეულად მიიღებს.**

„პირველი არხი“

**საინტერესოა, რა დარჩებოდა საფრანგეთისგან, ინგლისისგან, გერმანიისგან და, საერთოდ, ევროპისგან, თემურ-ლენგს რვაჯერ კი არა, მხოლოდ ერთხელ რომ გადაეჭეგა და შეემუსრა პარიზის, კიოლნის, აახენისა და წმინდა პეტრეს ტაძრები?**

ვეყნოდ დაემცირებინა...

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ **პრეზიდენტმა მაკრონიმ** ჯიბეში ხელის ჩაყოფით ვინმე დაამცირა, მაგრამ როგორც საფრანგეთის პრეზიდენტს, ისე **ლევან ბერძენიშვილის მსგავს ნეხვის ჭიებს,** რომლებიც საქართველოს ისტორიის გაბიაბრუებით არიან შეპყრობილი, შევახსენებთ, რომ საქართველო სულ ასეთი დამცრობილი და დამცირებული არ ყოფილა და ამ ქვეყანასაც ჰქონდა დიადი საუკუნეები. **თუნდაც მარტო იმ ფაქტის გახსენება რად ღირს, რომ იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ მიხედვით, იერუსალიმის მეფე ბალდუინ მეორე, რომელიც სწორედ შამპანელი ფრანგი იყო, 1119 წელს საიდუმლო ვითარებაში ჩამოვიდა საქართველოში და დავით აღმაშენებელს გეგუთის სასახლეში შეხვდა, რათა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ქართველებთან ერთად საერთო მოქმედების ტაქტიკა შეემუშავებინა.**

საფრანგეთს ჰყავს ორლეანელი ქალწული — **წმინდა ჟანა,** 19 წლის დომრემელი გლეხის გოგო, რომელმაც ასწლიანი ომის დროს სამშობლო იხსნა, მაგრამ მეფე **შარლ მეშვიდესა** და დანარჩენი ფრანგი დიდებულების ღალატით ეწამა და აღესრულა! ხოლო საქართველოს დედოფლები და მეფეები ჰყავს მოწამეები, **რომლებიც ევროპელი მონარქებისგან განსხვავებით, ლაშქრის უკან კი არ იმალებოდნენ, არამედ ჯარს წინ მიუძღოდნენ და ბრძოლაში ილუპებოდნენ.** ამის სადემონსტრაციოდ მხოლოდ **ლუარსაბ პირველის, სვიმონ პირველისა და ერეკლე მეორის** ტრაგიკული თავგადასავალიც კმარა.

**საქართველო ის ქვეყანაა, რომელიც პომპეუსის ლეგიონებს ებრძოდა მაშინ, როცა დღევანდელი საფრანგეთის ადგილზე — გალიაში ნახევრად ველური ტომები დარბოდნენ და ცივილიზაციის ნიშანწყალი არ გააჩნდათ.** უფრო შორეულ წარსულსა და შუმერების, ხეთების, ასურელებისა და ურარტუელების ეპოქაზე შეგნებულად არრას ვიტყვით!

როცა **„საფრანგეთისა“ და „ფრანგის“** სახსენებელი ბუნებაში არ არსებობდა, ძველი ბერძნები და, როგორც მას სულმნათი აკადემიკოსი **სიმონ ჯანაშია** უწოდებდა, **„თესალიელი აბრაგი“** — იასონი ბერძნებთან ერთად კოლხეთში „არგოთი“ შემოვიდა, რათა საქართველოდან ოქროს მოპოვებისა და დამუშავების საიდუმლო საბერძნეთში წაეღო. **ამბიდან დაახლოებით ორასი წლის შემდეგ, ძველი წელთაღრიცხვის 1112 წელს, ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ პირველმა მდინარე ევფრატის სათავეებთან დაამარცხა 60 მეფისგან შემდგარი კოალიცია, რომელსაც დაიაენის, ანუ იმავე ტაოს მეფე სიენი მეთაურობდა!**

არც მაშინ იყო საფრანგეთის სახსენებელი... სამაგიეროდ, **ხეთების მეფეები** თავიანთ თავს ასე უწოდებდნენ — **„ჩემმა მზემ“,** რაც მადლიანმა და უძველესმა ქართულმა შემოგვინახა.

გამოხდა ხანი, რომაელებთან, სპარსელებთან, არაბებთან, თურქ-სელჩუკებთან, მონღოლებთან, თემურ-ლენგთან, ოსმალებთან და ყიზილბაშებთან ბრძოლაში დამაშვრალი და სისხლისგან დაცლილი საქართველო დაინგრა.

**1609 წლის ზაფხულში, როცა ბერი თევდორე ყირიმელი თათრების 40-ათასიან ურდოს წინ, სიკვდილეთისკენ მიუძღოდა, რათა ცხირეთში მყოფი მეფე ლუარსაბ მეორე უცილობელ ტყვეობას ან სიკვდილს გადაერჩინა, საქართველო მაშინ მუხლებზე იყო დაცემული.**

**საქართველო მაშინაც სასიკვდილო სარეცელზე იწვა,** როცა **სულხან-საბა ორბელიანს** ვერსალის ბრწყინვალე სასახლეში ღრმად მოხუცებული **ლუდოვიკო მეთოთხმეტე** მოვალეობის მოხდის მიზნით შეხვდა, მაგრამ ამ შეხვედრიდან არა გამოვიდა რა.

ისე ერთი რამ საკითხავია — **საინტერესოა, რა დარჩებოდა საფრანგეთისგან, ინგლისისგან, გერმანიისგან და, საერთოდ, ევროპისგან, თემურ-ლენგს რვაჯერ კი არა, მხოლოდ ერთხელ რომ გადაეჭეგა და შეემუსრა პარიზის, კიოლნის, აახენისა და წმინდა პეტრეს ტაძრები?**

**პრეზიდენტო მაკრონ, ჯიბიდან ხელი ამოიღე და ეცადე, დაეხმარო საქართველოს, რომელსაც საუკუნეების წინათ საფრანგეთის საუკეთესო შვილები დახმარებას აქეთ თხოვდნენ!**

*დიტო ჩუბინიძე*

# „თავს ნუ მოვიტყუებთ იმით, რომ ევროკავშირსა და ნატოში მიგვიღებენ!“



## ზაზა პაპუაშვილი:

# ამ უბადრუკი კანდიდატის სტატუსის მიღება მარტო იმიტომ ღირდა, რომ ნაც-ნაძირალების გაწბილებული სიფათები გვენახა!

*— თავს ნუ მოვიტყუებთ იმით, რომ ევროკავშირსა და ნატოში მიგვიღებენ! —* ***აცხადებს პარლამენტის ყოფილი წევრი, ცნობილი მსახიობი ზაზა პაპუაშვილი, რომელიც საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას ეხმაურება:***

— გასულ წელს, კანდიდატის სტატუსის არმოცემით საქართველოს უსამართლოდ მოექცნენ და ქართველებს შეურაცხყოფა მოგვაყენეს, რამაც ძალიან გამაბრაზა **და კოლექტიური ფოტიბა-კუბილიუსები** „ტკბილი სიტყვებით“ შევამკე — **თქვენი სტატუსიანად დაახვიეთ-მეთქი!** კარგია, რომ წელს უსამართლობა აღარ განმეორდა და სტატუსი მოგვცეს, თანაც ისე, რომ ცალ ფეხზე არ გვიხტუნავია და მათხოვრულ პოზაში არ დავმდგარვართ!

მიუხედავად ამისა, გადაჭარბებული აღტაცება, რომელსაც მავანი კანდიდატის სტატუსის გამო გამოხატავს, უგემოვნობისა და უკულტურობის ნიშანია! **საზეიმოსა და სადღესასწაულოს ვერაფერს ვხედავ, რადგან კანდიდატის სტატუსის მოცემა ოდნავადაც ვერ შეედრება ვერც 1981 წლის 13 მაისს თბილისის „დინამოს“ მიერ ევროპული თასის მოგებას და ვერც 2012 წლის 1 ოქტომბერს ნაცფაშისტებზე გამარჯვებას!**

**— როგორც საქართველოს მოქალაქე, რა სარგებელს ელოდებით ევროკავშირის წევრობის კანდიდატობისაგან?**

— კარგად ვიცით, რომ **კანდიდატის სტატუსს არავითარი ეკონომიკური კეთილდღეობა არ მოჰყვება!** არც იმით მოვიტყუოთ თავი, რომ ევროკავშირში ან ნატოში მიგვიღებენ და იმასაც შევხედოთ, როგორი ღარიბ-ღატაკია ევროკავშირისა და ნატოს წევრი ზოგიერთი ქვეყანა. მაგალითად, ევროკავშირისა და ნატოს წევრ ლიტვაში კატასტროფა ხდება — ქვეყანა მასობრივად იცლება

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*



**„ვეკითხები ამ ნაც-ნაძირალებს: რომელ ქართველ ხალხზე ლაპარაკობთ, რომელმაც უკანალში პანჩური ამოგცხოთ და ხელისუფლებიდან გაგაგდოთ?!“**

## კვირგვინოსნები



**ილია მეორე**

*საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი*

**კანდიდატის სტატუსზე რეკომენდაცია არის ჩვენი ხალხისა და ხელისუფლების ძალისხმევით მიღწეული შედეგი.**

„რუსთავი-2“



**სალომე ზურაბიშვილი**

*საქართველოს პრეზიდენტი*

ქართველ ხალხთან ერთად **მიხარია და მივესალმები ევროკომისიის პოზიტიურ რეკომენდაციას საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ.** როგორც პრეზიდენტი, გავაგრძელებ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ჩემი როლის შესრულებას, **როგორც პროევროპელი ლიდერი.**

„პირველი არხი“



**დირკ შუბელი**

*ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხებში*

**ევროკავშირი საქართველოს გვერდით დგას** და ეჭვიც არ გვეპარება, რომ **ქვეყანა სამომავლოდ ევროკავშირის წევრი გახდება.**

„რეზონანსი“



**დიმიტრი ცქიტიშვილი**

*არასამთავრობო ორგანიზაცია „პროგრესული ფორუმის“ თავმჯდომარე*

ევროკომისიამ საქართველოსთან დაკავშირებით გადაწყვეტილება **პოლიტიკური ნიშნით** მიიღო. თუ რეალურად არ ვიმოქმედეთ, **შესაძლოა, ძალიან დიდხანს გაგვიგრძელდეს კანდიდატის სტატუსში ყოფნა.**

„ინტერპრესნიუსი“



**იაგო ხვიჩია**

*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*

არ ვიცი, **ქოც-ნაცური ჩხუბი** როგორ გაგრძელდება, მაგრამ **ცოტა უხერხულია, ევროკავშირის სტატუსის მიღების დღეს ქვეყნის მთავრობას რუსი ეძახო.**

„პირველი არხი“

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

# „თვითმარქვია პრეზიდენტი ზურაბიშვილი ნაცშპანის გამგედ გადაიქცა!“





**ზაზა პაპუაშვილი:**

ახალგაზრდა და შრომისუნარიანი მოქალაქეებისაგან, რომლებიც სამუშაოს საძებრად უცხო ქვეყნებში გარბიან.

**— ნაცოპოზიცია აცხადებს, რომ კანდიდატის სტატუსის მიღებით ქართველმა ხალხმა საქართველოს ხელისუფლებაზე გაიმარჯვა!**

— ვეკითხები ამ ნაც-ნაძირალებს: **რომელ ქართველ ხალხზე ლაპარაკობთ, რომელმაც უკანალში პანჩური ამოგცხოთ და ხელისუფლებიდან გაგაგდოთ?!** კი ბატონო, ნამდვილად ამ ხალხის დამსახურებაა კანდიდატის სტატუსის მიღება და საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაც ამ ხალხის უმრავლესობის არჩეულია!

ოპოზიციის წარმომადგენელმა **სამნიძემ** საქვეყნოდ აღიარა — ზოგიერთი ჩემი კოლეგა ბრიუსელში კაბინეტებში დაძვრება და ევროპელ პოლიტიკოსებს ეხვეწება, საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მისცენო! დიახ, ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ **კოლექტიური ნაცშპანა ყველაფერს აკეთებდა, რათა ქვეყანას ამ ხელისუფლების პირობებში სტატუსი არ მიეღო, ახლა კი გამოდიან ხელოვნური ღიმილით და ვითომ უხარიათ სტატუსის მიღება, სინამდვილეში კი, ბოღმით სკდებიან ეს გარეწრები!**

მოკლედ, ამ უბადრუკი კანდიდატის სტატუსის მიღება მარტო იმიტომ ღირდა, რომ ნაცნაძირალების გაწბილებული სიფათები გვენახა!

**— აკი, ნაცოპოზიციას თავისი რევოლუციური გეგმები საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის არმიცემაზე ჰქონდა აწყობილი... ამის კვალდაკვალ უნდა მოეწყოთ არეულობა და ე.წ. ქართული მაიდანი... როგორ ფიქრობთ, ახლა რა გზას დაადგებიან?**

— საქართველოში არავითარი „მაიდანი“ არ იქნება და ვერ იქნება! წელს, 30 აპრილს, თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, 50 000 ადამიანის შეკრებით მთელ მსოფლიოს დავანახეთ, რომ საქართველოში გადამწყვეტი სიტყვა უღღეურ ტელევიზიებსა და უბადრუკ პოლიტიკოსებს კი არა, ქართველ ხალხს ეკუთვნის, რომელიც თავის ქვეყანას, რწმენას, ოჯახსა და ტრადიციებს თუნდაც სიცოცხლის ფასად დაიცავს!

ეს კარგად უნდა ესმოდეს **თვითმარქვია პრეზიდენტ ზურაბიშვილსაც,** რომელიც ნაცშპანის გამგედ გადაიქცა!

**— ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს „თვითმარქვიას“ რატომ უწოდებთ?**

— **ზურაბიშვილი, რომელიც კანონისა და კონსტიტუციის ჩარჩოებიდან გავიდა, თვითმარქვია პრეზიდენტია!** მან ზურგი აქცია ხალხს, რომელმაც აირჩია და სახით მიტრიალდა ქართული სახელმწიფოს მტრებისაკენ, რომლებიც გუშინ რეზიდენტსა და სამშობლოს მოღალატეს ეძახდნენ! **ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ქალი, რომელსაც ვლოცავდი, ვადღეგრძელებდი და გვერდით ვედექი, „ნასედკა“ აღმოჩნდებოდა!**

**— ვისი „ნასედკაა“ სალომე ზურაბიშვილი?**

— თვითმარქვია პრეზიდენტი იმ ლიბერალური ბანდის „ნასედკაა“, რომელსაც საქართველოს ომში ჩათრევა და უკრაინიზაცია უნდა!

ისე, ნაცშპანას და თვითმარქვია კენტავრ პრეზიდენტს ვეკითხები:

## სად გაქრა თქვენი რიტორიკა, უბადრუკ ზელენსკებსა და პოდოლიაკებს გმირებად რომ წარმოაჩენდით? სად არის ნაძირალა, უსამშობლო არახამიას პირდაპირი ჩართვები რუსთაველის გამზირზე? სად არის უკრაინის გამარჯვება? რატომ ჩაისვარეთ?

**— სამაგიეროდ, უკრაინის მოქალაქე სააკაშვილი მოყოჩაღდა და „ივანიშვილის რეჟიმის“ წინააღმდეგ „გადამწყვეტ ბრძოლაში“ აპირებს ჩართვას!**

— ჰო, თურმე, დემენცია დაამარცხა ამ იდიოტმა! წელიწადნახევრის განმავლობაში წამლავდნენ და ვერ მოწამლეს... საავადმყოფოს ფანჯრიდან ასხივებდნენ და ვერ დაასხივეს... უკვდავი კაშჩეი გვყოლია და არ გვცოდნია! **ხელისუფლებას მივმართავ:** სასწრაფოდ გადაიყვანეთ ციხეში სააკაშვილი და სასწრაფოდ დაიწყეთ ნაციონალური მოძრაობის გასამართლების პროცესი! **იცოდეთ, ძალიან მალე ხალხი პრინციპულად დაგისვამთ ამ საკითხს და შეიძლება, ქუჩაშიც გამოვიდეს!**

**— ნაციონალური მოძრაობის გასამართლება 2012 წელსვე უნდა მომხდარიყო, ახლა დაგვიანებული ხომ არ არის?**

— სამართლიანობის აღდგენის დრო ყოველთვის არის! სანამ არ გასამართლდება ნაცბანდა, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმი, ქვეყანას სიმშვიდე არ ეღირსება და მარაზმში მოგვიწევს ცხოვრება!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## სასწრაფოდ გადაიყვანეთ ციხეში სააკაშვილი და სასწრაფოდ დაიწყეთ ნაციონალური მოძრაობის გასამართლების პროცესი!



## კვირგვინოსნები



**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

**ნაციონალური მოძრაობა უნდა გასამართლდეს!**

„საქართველოს რესპუბლიკა“



**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*

საააკაშვილის რეჟიმი და ნაციონალური მოძრაობა **უნდა გასამართლდეს** მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის.

„იმედინიუსი“



**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*

ნაციონალური მოძრაობა **არსებობის ბოლო პერიოდს** გადის.

„იმედინიუსი“



**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*

ნაცმოძრაობა მარგინალური ჯგუფია, რომელიც მხოლოდ **სახელმწიფო გადატრიალებაზე, ხელისუფლების დამხობაზე, ქვეყნის ამოტრიალებაზე და განადგურებაზე** ფიქრობს.

„რეზონანსი“



**ირაკლი ჩიქოვანი**
*პარლამენტარი*

ქვეყნის პრეზიდენტს, რომელიც **მარტივად თმობს საკუთარი სახელმწიფოს მოქალაქეობას,** პოლიტიკური ცხოვრების დიდი მორალური საფუძვლები არ უნდა ჰქონდეს.

„TV იმედი“



**ეკა სეფაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

**პრეზიდენტი აგრძელებს კონსტიტუციის დარღვევით ვიზიტებს,** ეს არის მისი სასოწარკვეთილი მცდელობა, **მიიწეროს საქართველოს დამსახურება კანდიდატის სტატუსზე.**

„პირველი არხი“

# „აუცილებელია საქართველოსა და რუსეთს შორის პირდაპირი დიალოგის დაწყება!“

***საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი, პოლიტოლოგი და ანალიტიკოსი* ირაკლი გოგაავა *საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას ეხმაურება და აცხადებს, რომ ქართველებს კვლავ ძველ სატყუარას სთავაზობენ, ოღონდ განახლებული შეფუთვით:***



## *ირაკლი გოგაავა:*

# კანდიდატის სტატუსი საქართველოსათვის ისეთივე სატყუარაა, როგორიც – სახედრის ცხვირწინ ჩამოკიდებული სტაფილო!

— როგორც სახედარს სატყუარად ცხვირწინ სტაფილოს ჩამოუკიდებენ, სწორედ ასე ჩამოგვიკიდეს ქართველებს **ევროატლანტიკური „სტაფილო“** ჯერ კიდევ 30 წლის წინათ, დღეს კი, კანდიდატის სტატუსის მონიჭებით, ეს სატყუარა, უბრალოდ, განაახლეს!

**— მაინც, რატომ ფიქრობთ, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი სატყუარაა?**

— კარგად უნდა გვესმოდეს, რომ **ევროკავშირი თავის რიგებში საქართველოს მიღებას არ აპირებს!** ეს არაერთხელ უთქვამს გერმანიის ყოფილ კანცლერ **ანგელა მერკელს** და ამასწინათ საფრანგეთის პრეზიდენტმა **მაკრონმაც** განაცხადა — **საქართველო გეოგრაფიულად სხვაგან არისო!** ევროპელ ლიდერებს საქართველოს ევროკავშირში მიღება ძალიანაც რომ უნდოდეთ, გეოგრაფიული ფაქტორის გამო ამას მაინც ვერ მოახერხებენ.

**— რატომ, საქართველო გეოგრაფიულად ევროპას არ ეკუთვნის?**

— **ევროპის გეოგრაფიული საზღვარი კუმა-მანიჩის ღრმულზე გადის და ამ ნიშნულით საქართველო მხოლოდ ნაწილობრივ ხვდება ევროპის კონტინენტზე.** რა თქმა უნდა, ქართველებს ევროპული ცივილიზაციისა და კულტურის ნიშნები გაგვაჩნია, მაგრამ ასევე შეთვისებული გვაქვს აზიური კულტურისა და ცივილიზაციის ელემენტები. რაც მთავარია, **საქართველო ეკუთვნის თვითმყოფად კავკასიურ ცივილიზაციასა და კულტურას, რაც ევროპული და აზიური ცივილიზაციის ნაზავს წარმოადგენს.**

მოკლედ, საქართველოს, რომელსაც ევროპასთან სახმელეთო საზღვარი არ გააჩნია, ევროკავშირში არ მიიღებენ და დროა, 30-წლიან ტყუილში ცხოვრებას წერტილი დავუსვათ!

თანაც, აგერ გვაქვს მეზობელი **თურქეთის** მაგალითი, რომელსაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი ჯერ კიდევ 1999 წელს მიანიჭეს, მაგრამ წევრად დღემდე არ მიუღიათ!

გეოგრაფიული ფაქტორის გარდა, არსებობს **გეოპოლიტიკური კანონზომიერებები,** რომელთა გათვალისწინებითაც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება მხოლოდ მითია. ჩვენს სამეზობლოში სულ სხვა ძალები არიან კონცენტრირებული და ვერ ვხედავ ვერანაირ სცენარს, რომლითაც ევროპა საქართველოს თავის რიგებში მიიღებს!

**— მაშ, ეს კანდიდატის სტატუსი, რომელსაც თქვენ სატყუარას ეძახით, რას ემსახურება?**

— ევროკავშირი, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც პრაგმატულ პოლიტიკას აწარმოებს და საკუთარი ეკონომიკური თუ მერკანტილური ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯებს არასოდეს დგამს. იგივე საქართველოსთან ურთიერთობაში ევროკავშირს ისეთი მოდელი აქვს აგებული, რომლითაც საკმაოდ მნიშვნელოვან ხეირს ნახულობს. მაგალითად, **ევროკავშირის ქვეყნები საქართველოს იყენებენ როგორც იაფი მუშახელის წყაროს. ევროპაში საქართველოს 300 000-ზე მოქალაქე მუშაობს და ადგილობრივ მუშახელთან შედარებით მესამედ ხელფასს იღებს.** ამასთან, ევროპაში დასაქმებული 300 000-ზე მეტი ქართველი იქ გამომუშავებული ფულის დიდ ნაწილს იქვე ხარჯავს, ანუ ისევ ევროპის ეკონომიკაში აბრუნებს, ეს ყველაფერი კი ევროკავშირისათვის წელიწადში 5-6 მილიარდი ევროს დაზოგვას ნიშნავს.

გარდა ამისა, ევროკავშირის საბანკო კაპიტალი საქართველოში 23-პროცენტიან ზემოგებაზე მუშაობს მაშინ, როცა თავად ევროპაში ბანკების წლიური მოგება 8 პროცენტს არ აღემატება.

და კიდევ: საქართველოს ევროკავშირთან უარყოფითი სავაჭრო სალდო აქვს, ანუ ევროპის მიერ საქართველოში გაყიდული პროდუქციის ღირებულება წელიწადში 2 მილიარდი ევროთი აჭარბებს საქართველოს მიერ ევროპაში გაყიდული პროდუქციის ღირებულებას.

**საერთო ჯამში, ევროკავშირი პატარა საქართველოსთან ურთიერთობით წელიწადში 10-12 მილიარდი ევროს სარგებელს ნახულობს!**

**— კი მაგრამ, საქართველოც ხომ იღებს თავის წილ სარგებელს ევროკავშირთან ურთიერთობით?**

— ევროკავშირთან ვაჭრობით საქართველოს მიერ მიღებული ეკონომიკური სარგებელი დაახლოებით 12-ჯერ ნაკლებია იმ მოგებაზე, რომელსაც ევროკავშირი საქართველოსთან ვაჭრობით იღებს. ეს ძალიან უსამართლო მოცემულობაა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცვალოს!

თავის დროზე, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა ჩადებულიყო პუნქტი, რომელიც ევროკავშირს საქართველოში საწარმოების მოდერნიზაციისა და ევროპულ სტან-

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

## „საქართველოს ევროკავშირში არ მიიღებენ და დროა, 30-წლიან ტყუილს წერტილი დავუსვათ!“



## კვირგვინოსნები

**გურამ მაჭარაშვილი**
*პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობა **ისე დაიშალა, ელიავაზე თუ ჩაიბარებენ** და **სააკაშვილს** მისივე დაფუძნებული პარტიისთვის თანხებს ნაწილ-ნაწილ მისცემენ. დეკემბერში **საქართველოს კანდიდატის სტატუსის მიღებას მივულოცავთ და ოპოზიციას მივუსამძიმრებთ,** დარწმუნებული ვარ, მათი პოლიტიკური პანაშვიდი დაიწყება.

„პირველი არხი“

**დათო ლომთათიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ნაცმოძრაობას ამომრჩეველმა საბოლოოდ უარი უნდა უთხრას. ამით **სააკაშვილის პოლიტიკური ეპოქა დასრულდება და ის თავის მეორე სამშობლოს, უკრაინას დაუბრუნდება,** რომელსაც თავის ერთადერთ სამშობლოდ აღიარებდა.

„ახალი თაობა“

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს“ წევრი*



პირველად, როცა სკოლის სახელმძღვანელოში ამოვიკითხე, რომ **რომში იმპერატორმა ცხენი შეიყვანა პარლამენტში,** ვერ გავაცნობიერე, რაზე იყო საუბარი, **ამ პარლამენტში ცხენები უკვე სანატრელია.**

მე რომ **ევროინტეგრაციის მოწინააღმდეგედ და ქვეყნის ომში ჩათრევის მოსურნედ** გამომაცხადებს, იმ ხელისუფლებისგან რაღა უნდა გაგიკვირდეს.

„პალიტრანიუსი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი*



თუ გავითვალისწინებთ, რომ **ტრამპის** მომხრე რესპუბლიკელმა **ჯონსონმა** არჩევნები მოიგო და სპიკერი გახდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **ტრამპსაც აქვს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შანსი.** არ არის გამორიცხული, **ზელენსკი მოლაპარაკების მაგიდასთან ძალით დასვან.** თუ ამერიკის არჩევნებში **ტრამპი** გაიმარჯვებს, ის მარტივად ეტყვის **ზელენსკის,** რომ, **თუ არ დათმობს, დახმარებას შეუწყვეტს.**

„კვირის პალიტრა“



# ირაკლი გოგავა:

## ჩვენი რეალური მომავალი სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად სამხრეთ კავკასიური ერთობის შექმნაშია!





დასაწყისი მე-5 გვერდზე

დარტებზე გადაყვანისათვის თანხების გამოყოფას დაავალდებულებდა. მაგალითად, **უკრაინამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით 15 მილიარდი ევრო მიიღო საწარმოების მოდერნიზაციისათვის, საქართველოს კი, ჩემი ინფორმაციით, მსგავსი რამ არც მოუთხოვია.**

რეალურად, ევროკავშირს საქართველოს წევრად მიღება რომ უნდოდეს, ურთიერთობის სულ სხვა მოდელს შემოგვთავაზებდა.

**— კერძოდ?**

— ევროკავშირი თავის პოტენციურ წევრად რომ მიგვიჩნევდეს, ისეთ საკრედიტო ხაზს მაინც შემოგვთავაზებდა, როგორიც აქვს, მაგალითად, ბულგარეთს, სადაც საბანკო კრედიტის ღირებულება **წლიურ 3 პროცენტს არ აღემატება** მაშინ, როცა საქართველოში **14 პროცენტია!**

ევროკავშირი საქართველოს თავის მომავალ წევრად რომ განიხილავდეს, რესურსებს გამოგვიყოფდა აგროსფეროსა და კვების მრეწველობის განვითარებისათვის, სამშენებლო მასალების წარმოებისათვის, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისათვის და ა.შ.

**— მთელი ამ ხნის განმავლობაში აქტიურად საუბრობდნენ იმაზე, რომ რადიკალურ ნაცოპოზიციას თავისი რევოლუციური გეგმები საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის არმიცემაზე ჰქონდა აგებული... როგორ ფიქრობთ, აწი რა მოხდება?**

— **ომის პარტიას, ანუ ბაიდენის ადმინისტრაციას** საქართველოში ხელისუფლების შეცვლა იმისათვის სჭირდება, რომ მოიყვანოს ძალა, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტს გახსნის, თუმცა, ევროპას სულ სხვა ინტერესები აქვს... კერძოდ, **ევროკავშირისათვის ძალიან მნიშვნელოვანია შავი ზღვის წყალქვეშა სადენის პროექტი, რომლითაც მან შუა აზიიდან და აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით ენერგორესურსები უნდა მიიღოს,** ამისათვის კი აუცილებელია, საქართველოსა და მთლიანად რეგიონში მშვიდობა სუფევდეს.

**როგორც ჩანს, ევროკავშირმა და ბაიდენის ადმინისტრაციამ ამ საკითხზე გარკვეულ კონსენსუსს მიაღწიეს და დაასკვნეს, რომ ამ ეტაპზე საქართველოში რევოლუციისა თუ გადატრიალების მოწყობა მათთვისვე არ იქნება ხელსაყრელი.**

გარდა ამისა, ამერიკელებიც და ევროპელებიც კარგად ხედავენ, რომ საქართველოში რადიკალურ ოპოზიციას რევოლუციის მოწყობის თავი არა აქვს და არჩიეს, ისევ „ქართულ ოცნებასთან" დაიჭირონ საქმე, რომელთანაც ყველაფერზე თუ არა, რაღაც-რაღაცებზე მაინც თანხმდებიან.

**— როგორც კოლექტიური ნაცმოძრაობის წარმომადგენლები აცხადებენ, ევროკავშირმა საქართველოს კანდიდატის სტატუსი იმიტომ მიანიჭა, რომ რუსეთის პირისპირ მარტო არ დაეტოვებინა. რეალურად, ცვლის თუ არა რამეს კანდიდატის სტატუსი რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ ვითარებაში?**

**– სოფელ კირბალში, საოკუპაციო ხაზთან დატრიალებული ტრაგედია კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ აუცილებელია საქართველოსა და რუსეთს შორის პირდაპირი დიალოგის დაწყება!**

ოკუპაციის დასასრულებლად, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და სხვა ეროვნული პრობლემების გადასაჭრელად ნამდვილად არ არის საკმარისი რუსეთთან ისეთი ფრაგმენტული კომუნიკაცია, რომელსაც **აბაშიძე-კარასინის ფორმატი** ჰქვია, უფრო მასშტაბური და კომპლექსური ნაბიჯების გადადგმაა საჭირო და ეს ხელისუფლების ვალდებულება გახლავთ.

რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დაწყება საქართველოსათვის მნიშვნელოვანია არამხოლოდ ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოების კუთხით, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

და კიდევ: იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება აფერაა, თავი აღარ უნდა მოვიტყუოთ და რეგიონული ინტეგრაციის ფორმატზე ვიფიქროთ!

**— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ?**

— **საქართველოს რეალური მომავალი სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად სამხრეთ კავკასიური ერთობის შექმნაშია!** ეს სამეული, რეგიონის ინტერესებიდან გამომდინარე, ერთიან საგარეო ვექტორზე უნდა შეთანხმდეს და შექმნას 17-მილიონიანი საერთო ბაზარი, ერთიანი საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკით.

**აზერბაიჯანის ენერგორესურსები, საქართველოს ზღვაზე გასასვლელი და მსოფლიოში გავლენიანი სომხური დიასპორა!** — ეს უზარმაზარი პოტენციალია, რომელიც გაერთიანებისა და საერთო საგარეო ვექტორის განსაზღვრის შემთხვევაში, სამხრეთ კავკასიაში ხანგრძლივ მშვიდობასა და ეკონომიკურ აღმავლობას უზრუნველყოფს!

*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***

*— ემოციების აყოლა არ გვარგია. მცირერიცხოვანი ერი, რომლის სახელმწიფოც გეოპოლიტიკურად ურთულეს ადგილას მდებარეობს, რეალისტი და პრაგმატული უნდა იყოს!* ***— ასე გამოეხმაურა პოლიტოლოგი, მთავრობის კანცელარიის ყოფილი უფროსი პეტრე მამრაძე ევროკომისიის რეკომენდაციას საქართველოსთვის სტატუსის მონიჭების თაობაზე. თუ რა უნდა ვიცოდეთ ევროკავშირის შესახებ და რა იმედები უნდა დავამყაროთ ამ გადაწყვეტილებაზე, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ:***



— ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, მქონდა საშუალება, შემესწავლა ევროკავშირი, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია და მივხვდი, რომ ეს არის ეკონომიკური გიგანტი, მაგრამ, როგორც ერთ-ერთი გამოჩენილი ინგლისელი ისტორიკოსი ამბობდა, **პოლიტიკური ჯუჯა!** საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ კორუფცია, მათ შორის, პოლიტიკური, საკმაოდ მაღალ დონეზეა და ორმაგი სტანდარტებიც არ არის მათთვის უცხო. ცნობილი მოღვაწეები, მათ შორის, ევროპარლამენტის წევრი **ვერჰოფშტადი** თავის სტატიაში პირდაპირ სვამს კითხვას — **როგორ ამოვაშროთ ევროკავშირის ჭაობი?!** დიახ, მსგავსი კითხვები არგუმენტირებულ სტატიებში რახანია, დაისმის, თუმცა, მიუხედავად მათი ძალისხმევისა, ჯერჯერობით ევროკავშირის ჭაობს ამოშრობის არაფერი ეტყობა!

**საქართველოსთვის 12-პუნქტიანი რეკომენდაციის შესრულების მოთხოვნა არის პირდაპირი მტკიცებულება იმისა, თუ რა დონეზეა დამკვიდრებული ევროკავშირში არაობიექტურობა და ორმაგი სტანდარტები.** საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების შეფასებებსა და რეიტინგში — მთავრობის ეფექტიანობის ხარისხით, ანტიკორუფციული ინდექსით, მედიის თავისუფლებით და ა.შ. საქართველო უსწრებს ევროკავშირის 12-15 ქვეყანას, ევროკავშირში კი სულ 27 ქვეყანაა გაწევრიანებული, ანუ საქართველო ბევრი მაჩვენებლით ევროკავშირის საუკეთესო ნახევარშია, განსხვავებით უკრაინისა და მოლდოვისა, რომლებიც 95-ე და 107-ე ადგილებზე გახლავან.

**შეიძლებოდა, უკრაინისთვის და მოლდოვისთვის მიენიჭებინათ სტატუსი და საქართველოსთვის 12-პუნქტიანი რეკომენდაცია**

**„იმაზე ფიქრი, რომ ამ სტატუსის მიღების შემდეგ უცებ ევროპაში აღმოვჩნდებით და არ ვრჩებით ერთი-ერთზე რუსეთთან, არის ტყუილი და პროვოკაცია!"**

## კვირგვინოსნები

**მაია ბითაძე**
*პარლამენტარი*



**როდესაც მიხეილ სააკაშვილი აპირებდა** ახალი საარჩევნო სისტემის დანერგვას, მაშინ კარგი იყო და **ახლა, ჩვენ რომ ვაპირებთ** იმავეს, თურმე, „რუსულია", ეს არის პერმანენტული შეურაცხყოფა ქართველი ადამიანების.

„TV იმედი"

**ნინო წილოსანი**
*პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობა **აუცილებლად დაიშლება,** გამომდინარე იქიდან, რომ **პარტია, რომელიც იკვებება ბოროტი იდეებით და მავნებლური მიზნებით,** არ შეიძლება, რომ არსებობდეს პოლიტიკურ ველზე.

„TV იმედი"

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**საგიჟეთია ნაციონალურ მოძრაობაში.** ეტყობა, ბელადს დაუფასეს, ცოცხალი კაცია და **მავზოლეუმი გაუხსნეს** — იქ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ბოტასს და რაღაცებს ნახავთ, **ხელითაც შეგიძლიათ, შეეხოთ, თუ ბელადის ჭეშმარიტი მიმდევარი ხართ.**

„TV იმედი"

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



მამუკა ყურაშვილი — **ნაცების ღალატის და უტიფრობის სახე!** ეს ის გენერალია, 2008-ში 7 აგვისტოს **ცხინვალის რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა რომ გვამცნო!** მისმა ბელადმა კი — შეტევაზე გადასვლა! რაც არ უნდა ეცადოთ, **ვერ მოიბანთ ქართველი ხალხის დაღვრილ სისხლს!**

„ტვიტერი"

# პეტრე მამრაძე: ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მონიჭება არანაირად არ ზრდის ჩვენს უსაფრთხოებას!






## მიეცათ?! ეს დიდი უსამართლობა იყო!

ახლაც რომ დაწერეს, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მასმედიის პროფესიონალური ხარისხის ამაღლებაო, გაგიგონიათ სადმე, მათ შორის, ევროპაში, ხელისუფლება განაგებდეს ჟურნალისტთა და წამყვანთა პროფესიული დონის ამაღლებას?! ეს ხომ მარაზმია? **დეოლიგარქიზაციას რომ გაიძახიან, ოლიგარქები რომ მართავდნენ საქართველოს, მნიშვნელოვან პარამეტრებში ასეთი მაღალი რეიტინგი ექნებოდა ქვეყანას?! სხვათაშორის, უცხოელი კოლეგებისთვისაც არაერთხელ დამისვამს ეს შეკითხვა.**

**— საინტერესოა პასუხად რა მიიღეთ?**

— უხერხულობისგან, რას იტყოდნენ?! არადა, დღეს რომ ურცხვად გაჰყვირიან ოლიგარქიული მმართველობის შესახებ მულტიმილიონერები, ცნობილი მონოპოლისტები და ბანკირები — **კახა ოქრიაშვილი, კობა ნაყოფია, მამუკა ხაზარაძე** — საქართველოში ავტორიტარული რეჟიმიაო, სააკაშვილის ხელისუფლების დროს გაბედავდნენ ამის თქმას? **ერთხელ მაინც თუ დასცდენიათ სიტყვა მართლაც ავტორიტარული რეჟიმის დროს? იცით, რატომ? დღეს დაცულები არიან კანონით. ასეთი უსამართლო ბრალდებების შემდეგაც კი მათ არ მიადგებათ საგადასახადო სამსახური, მათ შვილებს უცებ არ აღმოაჩნდებათ ჯიბეში ნარკოტიკები, არ მოუწევთ თავიანთი ბიზნესის შუალამით სხვებისთვის გადაფორმება და ა.შ.**

სად იყავით მაშინ, როდესაც მართლაც პოლიციური რეჟიმი იყო სადისტურ საწყისებზე დამყარებული? ვინმემ მოსთხოვა საქართველოს მაშინ დეოლიგარქიზაცია?! ივანიშვილი არცერთი პარამეტრით არ არის ოლიგარქი და არც პოლიტიკაშია, განსხვავებით ოქრიაშვილებისა, კეზერაშვილებისა და ხაზარაძეებისა.

არ გახსოვთ, რა იკადრა **ბორელმა?** — მოწაფე რომ მიდის თავის პედაგოგთან და გაკვეთილი მზად არა აქვს, ეს პროფესორს არ უნდა დააბრალოსო.

> **„ივანიშვილი არცერთი პარამეტრით არ არის ოლიგარქი და არც პოლიტიკაშია, განსხვავებით ოქრიაშვილებისა, კეზერაშვილებისა და ხაზარაძეებისა!“**

ისიც კი გაბედა და დაგვიქნია თითი — **საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციებზე უნდა იფიქროსო.** ამ დროს კი ევროპიდან უწყვეტი ნაკადით მიედინება სათადარიგო ნაწილები რუსეთში, რითიც ფრთოსან რაკეტებს — **„კინჟალებს“** აკეთებენ და უკრაინას ესვრიან. ეს ჩემი გამოგონილი არ არის, ამას ევროპელი ექსპერტები წერენ. **იცით, ბოლო წელს რამდენი მილიარდით გაიზარდა თხევადი გაზით ვაჭრობა ევროპასთან?**

## დასავლეთის პრესაში ისიც იწერება, რომ პუტინის გარემოცვის შვილები დღესაც ისევ ისე ერთობიან ევროპის სხვადასხვა კურორტებზე,

## როგორც ადრე. სანქციებმა რამე შეცვალა?

ძნელია, დაივიწყო ევროკავშირის რეზოლუცია სააკაშვილთან დაკავშირებითაც. **სამწუხაროდ, ანტიდასავლური ძალებისგან ახლაც ვისმენთ, რეკომენდაციებიდან 9 პუნქტი ისევ შეუსრულებელიაო.**

**— ცოტა არ იყოს, დავიბენი — ევროკომისიის დასკვნის შედეგად გახარებულნი არ უნდა ვიყოთ?**

— ემოციების აყოლა არ გვარგია. რეალისტები და პრაგმატულები უნდა ვიყოთ, უნდა ვიცოდეთ, რასთან გვაქვს საქმე.

სტატუსის მოცემა პოლიტიკურად კარგია — ანტიდასავლურ ძალებს, რომლებიც პროდასავლურის ნიღაბს ატარებენ, ნაცებს და მათ თანამზრახველებს ბოლო ბერკეტი და ინსტრუმენტი გაუვარდათ ხელიდან. **მათი მცდელობა, რომ სტატუსის არმიცემით განაწყენებული მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდოდა, ხალხის მასას ზედ დააჯდებოდა და პარლამენტში შევარდებოდა, კრახით დასრულდა.** მაგრამ იმაზე ფიქრი, რომ ამ სტატუსის მიღების შემდეგ ჩვენ უცებ ევროპაში აღმოვჩნდებით და არ ვრჩებით ერთი-ერთზე რუსეთთან, არის ტყუილი და პროვოკაცია!

## თუ კრემლმა აგრესიული ნაბიჯი გადმოდგა, ეს სტატუსი აბსოლუტურად არაფერში დაგვიცავს. თუმცა, იმედი მაქვს, რუსეთს ჩვენთვის სტატუსის მონიჭება არ გააღიზიანებს. იციან, რომ აქედან ევროკავშირის წევრობამდე

## ძალიან დიდი გზაა და რამდენიმე წლის შემდეგ შეიძლება ბევრი რამ სრულიად შეიცვალოს!

ამ დღეებში რომელიღაც ნაციონალი ამბობდა — რა კარგია, ევროკავშირმა რუსეთთან ერთი-ერთზე რომ არ დაგვტოვაო. ვინმეს მართლა ჰგონია, რომ სტატუსის მონიჭება კრემლს ოდნავ მაინც შეაშინებს და უფრო რბილად მოგვექცევა?! **რუსეთი უსმენს ევროკავშირს, როცა უკრაინას ბომბავს? ეს ხომ სრული მარაზმია!** ევროკავშირის სტატუსის მონიჭება არანაირად არ ზრდის ჩვენს უსაფრთხოებას!

წლებია, თურქეთს სტატუსი აქვს მინიჭებული, მეტიც, ნატოს წევრი ქვეყანაა, მაგრამ რა?! კახური ანეკდოტისა არ იყოს, **გამოადგა რო?!** უფრო მეტიც, **ბოლო 15 წელია, ევროპა საქართველოს ოკუპაციას გმობს და მოუწოდებს რუსეთს, 2008 წლის 7 აგვისტომდე მდგომარეობას დაუბრუნდეს, მაგრამ რაიმე რეალური ძვრა არის ამ მხრივ?**

და მაინც, კანდიდატის სტატუსის მონიჭებით ჩვენი ქვეყნის მიმართ ჩადენილი დიდი უსამართლობა ნაწილობრივ მაინც გამოსწორდა, თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამას დღევანდელმა ხელისუფლებამ თავისი პრინციპული პოზიციით მიაღწია. „ოცნება“ სხვადასხვა საკითხზე არაერთხელ გამიკრიტიკებია, თუმცა, ამ შემთხვევაში ნამდვილად იმსახურებს შექებას — **ძალიან კარგად იმუშავა!** და, საერთოდ, „ოცნებაში“ ვითარება მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც **გახარია** პრემიერობიდან წავიდა.

**— ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკა უფრო მოგწონთ?**

— გახარიას პრემიერობის დროს ხალხი ქუჩაში მაჩერებდა და მეუბნებოდა — რად გვინდა ეს მთავრობა და პარლამენტი, ამდენი ფულის ხარჯვა, მაინც ორი ადამიანი მართავს საქართველოს — ამერიკის ელჩი და ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელიო.

## ღარიბაშვილის გაპრემიერების შემდეგ ქვეყანას სუვერენობა დაუბრუნდა, შარლ მიშელმაც ხმა ვერ ამოიღო, როდესაც მისი სამარცხვინო ხელშეკრულებიდან გამოვედით.

დიახ, ღარიბაშვილის მთავრობა ბევრად უფრო ღირსეულად და პრინციპულად იქცევა! ჩემი რჩევა იქნება, აღებული კურსი გააგრძელოს. დღეს საქართველოს იმაზე მეტად არ სჭირდება ევროკავშირი, ვიდრე ევროკავშირს სჭირდება ასეთი გეოგრაფიული მდებარეობის მქონე საქართველო!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები



**ნიკოლოზ სამხარაძე**
*პარლამენტარი*

ქვეყანას **„მივაქანებდით რუსეთისკენ“** და უცებ **სტატუსით აღმოვჩნდით ევროკავშირში,** ეს ყველაფერი ევროკავშირისა და ნატო-ს წევრობამდე თუ მიგვიყვანს, **ჯადოქრობას გავაგრძელებთ.**

„პირველი არხი“



**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*

**სალომე ზურაბიშვილთან** საუბრისას მეგობარ ქართველ ხალხს მივულოცე ევროკომისიის დადებითი შეფასება, **ასევე დავაყენე სააკაშვილის შესაბამისი სამედიცინო დახმარების საკითხი.**

„პირველი არხი“



**გიორგი გაჩეჩილაძე**
*„მწვანეთა პარტიის“ ლიდერი, ყოფილი პარლამენტარი*

**ნაცები არავის უნდა,** არც საქართველოში და არც — მის ფარგლებს გარეთ. **ნაცებს 5 პროცენტი აქვთ, „ოცნება“ მონაცემებს ბერავს.**

„ახალი თაობა“



**პაატა ზაქარეიშვილი**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*

**ამ ოპოზიციის შემხედვარე,** სამწუხაროდ, არ არის გამორიცხული, რომ **2024-ში ისევ „ოცნება“ ვიხილოთ.**

„ახალი თაობა“



**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*

თუ ასე გააგრძელა ნაცმოძრაობამ, მას **„ქართული ოცნება“ კი არა, კუკავას პარტიაც დაამარცხებს.**

„ახალი თაობა“



**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*

**ივანიშვილის** ხელისუფლებას **მოსვლაშიც შევუშველებივართ და წასვლაშიც შევეშველებით.**

„პალიტრანიუსი“

***ზუსტად 41 წლის წინათ, 1982 წლის 10 ნოემბერს, 75 წლის ასაკში გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.***



## ბრეჟნევი უკანასკნელი დიდი რუსთხელმწიფე იყო, რომელსაც ქართველები უყვარდა და ჩვენი ფასიც იცოდა!

# ბრეჟნევის 41

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ **41 წლის წინათ,** ბრეჟნევის სიკვდილით, საბჭოთა კავშირში ოცნებები დაიმსხვრა და ამავდროულად, ფაქტობრივად, დასრულდა საოცნებო ქვეყანა — **საბჭოთა კავშირიც,** რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში სამხედრო-პოლიტიკური ტრიუმფის, ადამიანური შემართების, მეცნიერული აღმაფრენის, გასაოცარი ეკონომიკური წინსვლის, მასობრივი კეთილდღეობისა და საარაკო სოციალური თანასწორობის მანამდე არნახული სიმაღლეები დაიპყრო!

**ბრეჟნევი უკანასკნელი დიდი რუსთხელმწიფე იყო, რომელსაც ქართველები უყვარდა და ჩვენი ფასიც იცოდა!** ბუნებით კეთილშობილ უკრაინელს, რომელიც 1943 წელს პირველი უკრაინული ფრონტის მე-18 არმიაში **გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის** მხარდამხარ იღვწოდა, ქართველების პატივისცემა კუბოს კარამდე გაჰყვა. ის ძალიან ახლობლობდა არა მხოლოდ მე-18 არმის სარდალ **კონსტანტინე ლესელიძესთან,** არამედ ამავე არმიის განსაკუთრებული სამსახურის ხელმძღვანელ გენერალ **ვლადიმერ ზარელუასთან,** რომელსაც ნიადაგ ერთსა და იმავეს ეხვეწებოდა — **„ხომ არ დამასმენ და კარიერას ხომ არ გამიფუჭებ, რომ ქალები მიყვარს?!“**

უშიშროების გენერალ **ვლადიმერ ზარელუას** ბრეჟნევი ქალების სიყვარულის გამო ცეკაში არ დაუბეზღებია და მისი კარიერული აღმასვლა ამ გზით არ დაუზიანებია. **ლეონიდემ ეს ვაჟკაცობა ზარელუას დაუფასა და თბილისში მეორეჯერ რომ ჩამოვიდა, პირადად ეახლა ფრონტელ ძმაკაცს, რომელიც მაშინ ვაკის „ლეჩკომბინატში“ მკურნალობდა.**

გენერალი **ვლადიმერ ზარელუა,** რომელიც სტალინთან და ბერიასთან ძალიან დაახლოებული პირი იყო და არაერთი საგანგებო დავალება ჰქონდა შესრულებული, კეთილმა ლეონიდემ თბილად მოიკითხა და ჰკითხა: **ხომ არაფერი სჭირდებოდა — ბინა, აგარაკი, მანქანა... ზარელუამ** ფრონტელ მეგობარს ყველაფერზე თავაზიანი უარი უთხრა, მათ შორის საბჭოთა კავშირის მარშლის უმაღლესი წოდების მინიჭებაზეც კი.

**ზებოროტ და პირსისხლიან რუსი ცარების ფონზე ლეონიდ ბრეჟნევი მართლაცდა ყინწვისის ანგელოზივით გამოიყურება.** სხვათაშორის, **შევარდნაძისა და მისი ხროვისგან** განსხვავებით, **ლეონიდ ბრეჟნევს ზვიად გამსახურდია** არ მოუკლავს, არადა, მას ამის შესაძლებლობა ყოველთვის ჰქონდა. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ **1978 წელს ძაღლთაპირი სუსლოვისა და საბჭოთა „კაგებეს“ მიერ წახალისებულ-გაქეზებულ აფხაზურ სეპარატიზმს სწორედ ლეონიდ ბრეჟნევმა ამოსდო ალიკაპი და აფსუებს შიშის ზარი დასცა, როცა კაპიტონოვის პირით შეუთვალა** — კრასნოდარის მხარესთან შეერთების ნაცვლად კრასნოიარსკში გადასახლება ხომ არ გირჩევნიათო?

**ბრეჟნევის** დროს ხალხს რწმენა და ოცნება ჰქონდა, ხოლო დღეს „ქართულ ოცნებაშიც“ კი არავინ ოცნებობს და ეჭვი არ ეპარებათ იმაში, რომ მაგალითად, **სალომე ზურაბიშვილი** მოღალატე და რეზიდენტია, რომელიც პრეზიდენტად დავისვით და ჩვენივე თავს უმძიმესი განაჩენი გამოვუტანეთ!

### კეთილი ლეონიდეს ეპოქაში მართალი კაცი არ დაიჩაგრებოდა და სამართალს იპოვიდა, დღეს კი სადაც გინდა იჩივლე, მოპასუხედ ყველგან „ხანდაზმული თაღლითი“ მამუკა ხაზარაძე ან ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი ნუნუ გინტური დგანან, რომლებსაც პროკურატურასა და სასამართლოში კატა-თაგვობანას ეთამაშებიან და თვალებს უპაჭუნებენ...

1964 წლის 14 ოქტომბერს სწორედ ლეონიდ **ბრეჟნევმა** ჩამოაშორა ხელისუფლებას **ბოროტი მასხარა ნიკიტა ხრუშჩოვი,** თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ **კეთილ ლეონიდეს** ბოლომდე ვერც პოლიტიკური გამბედაობა ეყო და ვერც ნება და ჟინი, რათა **ხრუშჩოვის ავზიას თავლა** საგულდაგულოდ გაეწმინდა და **სტალინი** იმ პირველყოფილი სიდიადით აღედგინა, რომელზეც გენიალურმა და კომუნისტმა **პაბლო პიკასომ** თქვა — **„იყო სტალინი, ჩემი წარმოდგენით, ძალიან ბევრს ნიშნავს მსოფლიოში. ის გენიალური ადამიანი გახლდათ... მასში თავმოყრილი იყო იულიუს კეისრის ჭკუა, მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენია, ციცერონის მჭევრმეტყველების დამაჯერებლობა და აზრთა გადმოცემის სისხარტე, მაგრამ ის მათზე მაღლა დგას, გაცილებით მაღლა. მასში არიან ისინი!“**

**ლეონიდ ბრეჟნევის** გარდაცვალებით საბჭოთა კავშირში დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ გადაბირებული აგენტების მმართველების ეპოქა დაიწყო! **ლეონიდეს** შემდეგ საბჭოთა კავშირის სათავეში სამი იმპერატორი მოვიდა და აქედან ორის — **იური ანდროპოვისა და მიხეილ გორბაჩოვის** შესახებ სერიოზული ეჭვები არსებობს, რომ ერთიც და მეორეც ამერიკული „ცერეუს“ მიერ იყო გადაბირებული! უფრო მეტიც, **გორბაჩოვისკენ** პირდაპირ ხელს იშვერენ და ამბობენ, რომ **მიხეილ სერგის ძე** „კონსერვი“ იყო, რომელიც ამერიკელებმა საბჭოთა ცეკას სტრუქტურებში დიდი ხნის წინათ ჩანერგეს, რათა ქვეყანა აეყროლებინათ და აეფეთქებინათ... რაც შეეხება **ჩერნენკოს, ბრეჟნევის მსგავსად, კონსტანტინე უსტინის ძესაც ძალიან უყვარდა ქალები, სამაგიეროდ, სძულდა ამერიკელები და „ცერეუ“...** აღარაფერს ვამბობთ **ლოთ ელცინზე,** რომლის მმართველობის დროსაც, დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმულმა თვალუწვდენელმა იმპერიამ, ფაქტობრივად, სუვერენიტეტი დაკარგა და ამოდენა ტრადიციებისა და შესაძლებლობების ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატების ფარეხად იქცა...

**1982 წელს, 41 წლის წინათ, ბრეჟნევის სიკვდილით, საბჭოთა ადამიანების ოცნებები დაიმსხვრა, რადგან ყველა ხვდებოდა, რომ ქვეყანას ერთგული მამა და პატრონი ტოვებდა...**

სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ბრეჟნევის დაკრძალვის ცერემონიალის დროს, ჯარისკაცებს კეთილი ლეონიდეს კუბო საფლავში ჩაუვარდათ. **მახსოვს, ბავშვი ვიყავი, მაგრამ კუბოს ბრაგვანის ხმა იმდენად ძლიერი იყო, ტელევიზორიდანაც კარგად გაისმა.**

მაშინ ყველას ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ბრეჟნევი წავიდა და კარი ბრახუნით გაიხურა.

**დიდი იმპერიების მმართველები, როგორც წესი, უხმაუროდ არ მიდიან!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ვახტ მაქარიშვილი**
*საზოგადოებრივი მოძრაობის „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ დამფუძნებელი*



**ე.წ. სამხრეთ ოსეთის და ზემო აფხაზეთის** ადმინისტრაციული საზღვრების მოხაზვით **თვითონ მიართვეს ოკუპანტს ახალგორი და კოდორი!** ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ, **მიწაზე ფორთხვით გამოიქცა მთავარსარდლიდან დაწყებული მთელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა!** გმირი ბიჭების ცხედრები მიატოვეს! **წითელ ხიდთან და სხვა გამშვებ პუნქტებთან დოლარებით სავსე ქეისებით იდგა მთელი ნაცელიტა!** წაგებული ომი კონცერტით იზეიმეს, **სარკო-სარკოს** შეძახილებით! ომიდან 3 თვეში მოღალატეობრივ რეზოლუციას დაუჭირეს მხარი! **მთელი ქვეყნის ეკონომიკური სიმდიდრე რუსებს გადასცეს!** უვიზო რეჟიმი ცალმხრივად მოუხსნეს! ქართულ პოლიტიკაში მათ არსებობას მოაქვს მსხვერპლი და ტრაგედიები! **ეს არის ყოვლად ამორალური, უტიფარი, კოლაბორაციონისტული ძალა** და ქვეყნის ყველაზე დიდი მტერი!!!

„იმედინიუსი“

**დავით ჩხარტიშვილი**
*პუბლიცისტი*



არცერთი **ნორმალური პირველი პირი** არ მიიყვანდა ქვეყანას ამ მდგომარეობამდე, თუგინდ **ზელენსკის** იდეოლოგიური კლონები რომ ავიღოთ — **იუშჩენკოსა და ტიმოშენკოს** დროს **არ მივიდოდა ქვეყანა ომამდე,** რადგან, ასე თუ ისე, მათ მეტი პასუხისმგებლობა გააჩნდათ საკუთარი ერის წინაშე. **უკრაინის ომი გამოიწვია იმან, რომ, ფაქტობრივად, ჯამბაზი გახდა პირველი პირი.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



ნებისმიერი ნაბიჯი, რომელსაც **ხელისუფლება დგამს რუსეთთან მიმართებით,** უნდა იყოს ასჯერ გაზომილი.

„რეზონანსი“

**დიმიტრი პესკოვი**
*რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერი*



რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობები **ნულამდეა დასული,** მაგრამ **საუბრის განახლება** მოგვიწევს.

„რეზონანსი“

# თუ სამართალია,

## გამოცხადდეს, რომ ევროპამიდრეკილი საქართველოს ტერიტორიაზე არის სამი მწვერვალი, რომელიც ევროპის უმაღლეს წერტილად მიჩნეულ ფრანგულ-იტალიურ მონბლანზე მაღალია!!!



**შხარა. 5203 მეტრი**



**მონბლანი. 4809 მეტრი**

საქართველო რომ **ევროპად** მიიჩნეოდეს, მაშინ **ევროპის უმაღლეს მწვერვალთა** პირველ ხუთეულში იქნებოდა არა ევროპის *(და ევროკავშირის?!)* უმაღლეს წერტილად გამოცხადებული და ალპებში მდებარე **მონბლანი (4809 მ.** *საფრანგეთ-იტალიის საზღვარი, ლემანის, იგივე ჟენევის ტბასთან, საფრანგეთის ქალაქ შამონთან და იტალიის ქალაქ კურმაიორთან)*, არამედ მასზე გაცილებით მაღალი ჩვენიანები: **შხარა (5203 მ.** *ზოგიერთი წყაროს მიხედვით,* ***5208 მეტრი,*** *ზემო სვანეთი, მესტიის მუნიციპალიტეტი, უშგული, ხალდეს (ბეზენგის კედელი),* **მყინვარწვერი (5054 მ.** *ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, ხოხის ქედი)* და **თეთნულდი (4858 მ.** *ზემო სვანეთი, მესტიის მუნიციპალიტეტი, მდინარე ენგურის სათავეები).*

*თვით ყარაჩაი-ჩერქეზეთში მდებარე კავკასიონის უმაღლესი წერტილი* **იალბუზი** *(იგივე მინგითაუ)*, რომელიც **რუსეთის ფედერაციის უმაღლეს წერტილად** ითვლება თავისი ორივე მწვერვალით **(შესაბამისად, 5642 და 5621 მეტრი)**, არ გადის ევროპულ კატეგორიაში, როგორც **რუსეთისა და კავკასიონის მეორე გიგანტი,** *ყაბარდო-ბალყარეთში მდებარე* **დიხთაუ (5205 მ.)**, რომელიც **სულ რაღაც 2 მეტრით მაღალ ნიშნულად შერაცხეს** საქართველოს უმაღლეს მწვერვალ **შხარასთან** შედარებით.

რაც შეეხება **ოდესღაც საბჭოთა კავშირად სახელდებული ქვეყნის** უმაღლეს მწვერვალებს, სსრკ-ის შემადგენლობაში არსებული 15 რესპუბლიკის წყალობით, საბჭოური გიგანტების პირველი ხუთეული ასე გამოიყურებოდა: 1. **კომუნიზმის პიკი (7495 მ.** *პამირი, მეცნიერებათა აკადემიის ქედი, თავდაპირველად, 1933-1962 წლებში —* ***სტალინის პიკი,*** *ამჟამად* ***ისმოილ სომონის პიკი,*** *იგივე —* ***უზგერტი,*** *ტაჯიკეთი);* 2. **გამარჯვების პიკი (7439 მ.** *სამამულო ომში გამარჯვების აღსანიშნავად, ტიან-შანისა და ყირგიზეთის უმაღლესი მწვერვალი, ყირგიზეთ-ჩინეთის საზღვარი, ყირგიზულად —* ***ჯენიშ ჩოკუსუს მწვერვალი,*** *ჩინურად —* ***ტომურის პიკი****);* 3. **ლენინის პიკი, (7134 მ.** *1928 წლამდე —* ***კაუფმანის პიკი,*** *2006 წლიდან —* ***აბუ ალი იბნ სინას პიკი,*** *პამირი, ყირგიზეთ-ტაჯიკეთის საზღვარი);* 4. **კორჟენევსკის პიკი (7105 მ.** *პამირი, ყოფილი კომუნიზმის პიკიდან 13 კილომეტრში. 2020 წლიდან —* ***ოზოდის პიკი,*** *ტაჯიკეთი);* 5. **ხანტენგრის პიკი (6995 მ.** *ტიან-შანი, ყირგიზეთის, ყაზახეთისა და ჩინეთის საზღვარი).*



**მყინვარწვერი. 5054 მეტრი**




**იალბუზი. 5642 მეტრი**

### P.S.

ასე რომ, **კავკასიონის ქართული ბუმბერაზები,** ვერც დეკლარირებული ევროპული კრიტერიუმებით და ვერც საბჭოთა გეოდეზიურ-ტოპოგრაფიული გათვლებით, ვერ ჯდებოდნენ ამა ქვეყნის მაღალთა რეალურ თუ ფალსიფიცირებულ გაბარიტებში.

***გიორგი ოქროსცვარიძე***



**თეთნულდი. 4858 მეტრი**



**დიხთაუ. 5205 მეტრი**

*თემის გაგრძელება მე-10 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**მამუკა მდინარაძე**
*„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი*



**თამაზ გინტურის** მკვლელობა არის **უმძიმესი დანაშაული,** რომელზეც სრული პასუხისმგებლობა ოკუპანტ მხარეს ეკისრება — **პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა ვერც ის პოლიტიკური ძალა, ვინც თავისი მოღალატეობრივი ქმედებებით რუსეთს ქვეყანაში ოკუპაციის საშუალება მისცა.**

„ინტერპრესნიუსი“

**შოთა მალაშხია**
*პარტია „თავისუფალი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე*



თუ გგონიათ, რომ ევროკავშირი წევრად მიიღებს ქვეყანას, რომლის მთავრობაც **პრეზიდენტზე ნადირობს, არ ატარებს დემოკრატიულ არჩევნებს, დამორჩილებული აქვს სახელმწიფო ინსტიტუცია და აკონტროლებს სასამართლოს,** მაშინ თქვენ ოცნებობთ.

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი ჯაჭვლიანი**
*მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსი*



**რუსო ოკუპანტებო!** გგონიათ, ყველაფრის უფლება გაქვთ — **მოგვკლათ, გაიტაცოთ ჩვენი თანამემამულეები, დაიტაცოთ ჩვენი ტერიტორიები?!** — დადგება დრო, **ყოველი ქართველის დაღვრილი სისხლისთვის დიდ ფასს გადაიხდით!**

„ინტერპრესნიუსი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



დღეს **იმ რუს მკვლელთან ერთად მისი ქართულ მიწაზე ჩამომყვანი ძალაც უნდა გასამართლდეს,** რასაც ჩვენი საზოგადოება ვერა და ვერ ეღირსა! წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ამ დანაშაულებრივი **„ნაც-რუსეთის“ ტანდემი** არ გაჩერდება.

„ინტერპრესნიუსი“

# საქართველო -




## თემის დასაწყისი მე-9 გვერდზე

***„მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ევროპელი!“ — განაცხადა ტრიბუნიდან საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლულმა ზურაბ ჟვანიამ. დაახლოებით იმ პერიოდიდან, სახელმწიფო დაწესებულებში და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში საქართველოსთან ერთად ევროკავშირის დროშაც გამოიფინა...სად გადის ევროპასა და აზიას შორის საზღვარი, საზღვრის რამდენი ვარიანტი არსებობს და შედის თუ არა საქართველო გეოგრაფიულად, ისტორიულად, პოლიტიკურად, ეკონომიკურად ან სხვა ნებისმიერი თვალსაზრისით ევროპის ფარგლებში? გვესაუბრება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს გეოგრაფიის კათედრის გამგე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების გეოგრაფიის 30-მდე სახელმძღვანელოს ავტორი, პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი:***

— **ევრაზია** დედამიწის ყველაზე დიდი კონტინენტია, რომელიც მდებარეობს პლანეტის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. ევროპასა და აზიას შორის საზღვრები პირობით ხასიათს ატარებს და სამ ძირითად კრიტერიუმს — ისტორიას, კულტურას და ბუნებას, ანუ გეოგრაფიას ეფუძნება. **ევროპისა და აზიის საზღვარი დღემდე გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის, რადგან მოსაზრებები ისტორიულ ცნობადობასთან დაკავშირებით პერიოდულად იცვლება.** თუკი წარსულში გამოთქმულ მოსაზრებებზე უნდა ვისაუბროთ, მოგვიწევს ბერძნებზე დაყრდნობა, რომლებსაც კონტინენტთან დაკავშირებით ძალიან მწირი ინფორმაციები გააჩნდათ. **მათი ცოდნის თვალსაწიერი კასპიის ზღვის მიდამოებით შემოიფარგლებოდა და ამიტომ ისინი ევროპასა და აზიას შორის საზღვარს ატარებდნენ სამ მდინარეზე: რიონზე, ყვირილასა და მტკვარზე.** სხვათაშორის, ამ მოსაზრებამ ძალიან დიდხანს იარსება. მოგეხსენებათ, თვით ტერმინების: **„აზია“ და „ევროპა“** შემომტანები ხომ ბერძნები იყვნენ.

**— როდემდე იყო ეს მოსაზრება გაბატონებული?**

— **ევროპისა და აზიის წარმოსახვითი საზღვრის ცნება რომაელებმა შეცვალეს. მათ მიჯნა კავკასიონის წყალგამყოფ და გვერდითა ქედებზე გაატარეს.** ამ მოსაზრებამაც საკმაოდ დიდხანს იარსება, ვიდრე ახალ პოზიციას რუსები დაამკვიდრებდნენ. მათ წარმოსახვითი საზღვარი გაატარეს ურალის ქედზე, მდინარე ურალზე, კასპიისპირა დაბლობებზე და ე.წ. კუმა-მანიჩის ღრმულზე, რომელიც აკავშირებს ყუბან-აზოვისპირა და კასპიისპირა დაბლობებს. ეს საზღვარი გადის ჩრდილოეთ კავკასიის ჩრდილო პერიფერიულ ნაწილში.

**— ევროპისა და აზიის წარმოსახვითი საზღვრის შესახებ სულ რამდენი მოსაზრება არსებობს?**

— ჯამში საზღვრის **10 ვარიანტი** არსებობს. სამზე უკვე მოგახსენეთ. მე-4 გახლავთ ლანდშაფტური მიდგომა. საუბარია ევროპისთვის დამახასიათებელი ლანდშაფტის მიხედვით საზღვრის გავლებაზე. ლანდშაფტები, თავის მხრივ, კლიმატის ტიპებს უკავშირდება. დანესტიანების ხარისხის მიხედვით სულ 4 ტიპის კლიმატი არსებობს, რომელთაგან საქართველოში გვხდება სამი. ამავდროულად, საქართველო ლანდშაფტურად ძალიან ჰგავს ალპურ ქვეყნებს.

**— მეხუთე მოსაზრებაზე რას გვეტყვით?**

— მეხუთე მოსაზრებას პოლიტიკა განაპირობებს. **პოლიტიკურად კავკასიის საზღვრები გადის სახელმწიფოთა საზღვრების, კერძოდ, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გასწვრივ და ამ მოსაზრების მიხედვით ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკა ევროპაშია მოქცეული.**

**— მაგრამ „გუგლის“ საძიებოში ვერ ვნახე ვერცერთი რუკა, რომელიც ასეთ საზღვრებს ადასტურებს და ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკას ევროპის ფარგლებში აქცევს.**

— ცალსახად, ასეთ რუკას ვერ ნახავდით, რადგან ეს ის ვარიანტებია, რომლებიც სხვადასხვა წყაროებშია გაბნეული. მაგალითად, **ახლახან ინტერნეტში გამოჩნდა რუკა, სადაც ევროპასა და აზიას შორის საზღვარი გადის ურალის ქედზე და კასპიის ზღვაზე, ანუ კასპიის ზღვა საზღვრის წარმოსახვითი წირით არის შუაში გაჭრილი, მისი დასავლეთ ნაწილი ეკუთვნის ევროპას, ხოლო აღმოსავლეთი — აზიას.** ასეთი რამ მეც კი, მრავლისმნახველმა გეოგრაფმა, პირველად ვნახე!

**— ახლა ვუმზერ ყველაზე გავრცელებულ რუკას, რომელზეც ამიერკავკასიაში ევროპისა და აზიის გამყოფი 6 წირი გადის. როდის გაჩნდა ეს რუკა?**

— 1995 წელს დაისვა საკითხი, საქართველოს ფეხბურთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე უნდა ეთამაშა თუ აზიის? მაშინ გაზეთ „დროში“ გეოგრაფებმა გამოვაქვეყნეთ სტატია იმის შესახებ, თუ სად მდებარეობს ჩვენი ქვეყანა — ევროპაში თუ აზიაში. იქ იყო მოყვანილი საზღვრის 6 ვარიანტი და თქვენ რასაც უმზერთ, იმ ვარიანტების გამოძახილია. ჩვენ მაშინ დავასაბუთეთ, რომ საქართველოს აზიაში კი არა, ევროპაში უნდა ეთამაშა.

**— კარგით, გადავიდეთ საზღვრის გავლების მე-6 მოსაზრებაზე.**

— ეს არის ტყეების გავრცელების თემა. წინა აზია უტყეო ტერიტორიაა. ტყეების გავრცელების მიხედვით საქართველოს უდიდესი ნაწილი ხვდება ევროპაში. მცირე ნაწილი — ელდარის ვაკე და დავით გარეჯის მიმდებარე ტერიტორია — აზიაში, რადგან იქ ამჟამად ტყე არ არის, თუმცა, ეს არც იმას ნიშნავს, რომ ისტორიულ წარსულში, თუნდაც, ვახუშტი ბაგრატიონის პერიოდშიც, არ იყო ტყიანი. თუ წყაროებს შეისწავლით, აღმოაჩენთ, რომ ჯავახეთიც კი, რომელიც თითქმის მთლიანად უტყეოა, ვახუშტის დროს ტყით იყო მოფენილი და მისი ფრაგმენტები რამდენიმე ლოკაციაზე — ტბების — კარწახის და ტაბაწყურის მიდამოებში ბუნებრივი სახით არის შემორჩენილი.

**— მე-7 მოსაზრება რაღას უკავშირდება?**

— უდაბნოებს! საქართველოში არ გვაქვს უდაბნოები, რაც, ძირითადად, აზიისთვის არის დამახასიათებელი. ევროპაში უდაბნოები გვხვდება, ისინი იწყება აზერბაიჯანის ტერიტორიიდან.

შემდეგი, მე-8 მოსაზრება უკავშირდება ტერმინს **„კავკასიის ეკო რეგიონი“.** ის მოიცავს როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ კავკასიას. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და ჩრდილო დასავლეთიდანაც ეს რეგიონი, პრაქტიკულად, ევროპას წარმოადგენს.

მე-9 მოსაზრება — შავი ზღვის



### *ნოდარ ელიზბარაშვილი:*

# ევროპისა და აზიის წარმოსახვითი საზღვრის 10 ვარიანტი არსებობს!

## კვირგვინოსნები

**მირიან ყარაულაშვილი**
*ექსპერტი*



ჩვენ არაფერი გვესაქმებოდა **არც მოლდოვასთან, არც უკრაინასთან.** ჩემთვის შეურაცხმყოფელიც კი არის **საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის** ამ ტრიადასთან ერთად განხილვა. საქართველოს თავისი გზა აქვს. **პრემიერს მხურვალედ ვუჭერ მხარს, როცა ამბობს, რომ ჩვენ ქართული საქმე უნდა ვაკეთოთ** და სხვის ტენდენციურ შეფასებებს ყურადღება ნაკლებად მივაქციოთ.

„საერთო გაზეთი“

**გიგი წერეთელი**
*„ევროპული საქართველოს“ წევრი*



**კანდიდატის სტატუსის** მიღების შემდეგ კიდევ უფრო მკაფიო ხდება **მმართველობის დემოკრატიული არჩევნებით ცვლილების ამოცანა,** იმისათვის, რომ სწორედ **ახალმა პროდასავლურმა ხელისუფლებამ** სწრაფად გაიაროს წევრობამდე არსებული გზა.

„ინტერპრესნიუსი“

**ანა დოლიძე**
*პარტია „ხალხისთვის“ ლიდერი*



ევროკავშირის **კანდიდატის სტატუსი** არის საკითხი, სადაც **ყველას ერთიანობა გვმართებს** და ეს საქმე ყველამ ერთად უნდა მივიყვანოთ ბოლომდე.

„ინტერპრესნიუსი“

**ანა ბუჩუკური**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი, პარლამენტარი*



ევროკომისიისგან ძალიან მკაფიო გზავნილი მივიღეთ, რომ **საქართველოსთვის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი რეკომენდაცია არის ქართველი ხალხის დამსახურება!** მადლობა ქართველ ხალხს!

„ინტერპრესნიუსი“

**რასა იუკნევიჩიენე**
*ევროპარლამენტარი*



საქართველოს მთავრობა თუ ისე მოიქცევა, როგორც დღემდე იქცეოდა, **კანდიდატის სტატუსს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება,** გარდა იმისა, რომ შეიძლება, მოიგონ არჩევნები.

„ფორმულა“

# ევროპა თუ აზია?




აუზის მდინარეებთან კავშირ-შია. შავი ზღვა არის კლასიკური შიდა კონტინენტური აუზი, რომლის უდიდესი ნაწილი, მათ შორის, დასავლეთი, ჩრდილო-დასავლეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი — ევროპაში შედის.

**— მაშ, აზიაში რაღა შედის?**

**— აზიაში შედის შავი ზღვის სამხრეთი, თურქეთის ნაწილი.**

**— და თურქეთი ევროპას ეკუთვნის თუ აზიას? თუ იქაც ბოლომდე გაურკვეველი სიტუაციაა?**

— არა, იქ ყველაფერი გარკვეულია. შავ ზღვაზე საზღვარი გადის ამ ზღვის ცენტრზე, გრძელდება ბოსფორის სრუტეში, სტამბოლის ხიდის ქვეშ, იქიდან — ეგეოსის ზღვასა და დარდანელის სრუტეში. შესაბამისად, **მთელი თურქეთი ექცევა აზიაში, გარდა ბოსფორიდან ჩრდილოეთით მდებარე სტამბოლის ხიდს გაღმა ნაწილისა, რაც ევროპის შემადგენლობაშია.**

მე-10 მოსაზრება ისტორიიდან, რელიგიიდან და ეკონომიკიდან გამომდინარეობს და მიგვითითებს, რომ საქართველო არის ევროპის ნაწილი. ისტორიულად, საქართველოს შავი ზღვის ნაპირზე ბერძნული ახალშენები ადასტურებს, რომ ჩვენ ერთი, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყანა, ანუ ევროპა ვართ.

**— მაგრამ რელიგიურად რატომღა? მე-10 საუკუნიდან ევროპის უდიდეს ნაწილს, რომელიც კათოლიკე გახდა — მართლმადიდებელი სარწმუნოება ხომ გაემიჯნა? განა აზიაში მდებარე მართლმადიდებელი სირია უფრო ქრისტიანული არ არის, ვიდრე — კათოლიკური ევროპა?**

— აქ რელიგიურ წიაღსვლებზე კი არა, ზოგადად, ქრისტიანულ კულტურაზეა საუბარი. ევროპული კულტურა არის ქრისტიანული კულტურა.

**— ეკონომიკა? საქართველო ამ მხრივაც ევროპის თანასწორია?**

— ჩვენ არ ვართ მესაქონლეები, არც მომთაბარეები. თუ ჩვენ ვისაუბრებთ, რომ საქართველო არის **გეორგია — მიწათმოქმედების სამშობლო,** საქართველო კლასიკური ევროპული ქვეყანა გამოდის!

**— ყველაფრიდან გამომდინარე, მიგვანიშნებთ, რომ კავკასია და საქართველო ცალსახად ევროპის ნაწილია?**

— არა. **კავკასია განიხილება, როგორც შუალედური არეალი ევროპასა და აზიას შორის. ასე რომ, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება საზღვრის გატარება სუბიექტურ ხასიათს ატარებდეს.** 10 მოსაზრებიდან 5 — საქართველოს ევროპულობაზე, 2 — აზიურობაზე, ხოლო 3 — გარდამავალ ადგილმდებარეობაზე მიუთითებს. ამ 10-დან ყველაზე „ახალგაზრდა" მოსაზრებებად უდაბნოების, ტყეების, ეკორეგიონის და პოლიტიკური საზღვრების თემები ითვლება. ანალოგიური საკითხები — **თუ სად გადის საზღვარი** — სხვა კონტინენტებზეც არსებობს. მაგალითად, ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკა განიხილება როგორც კონტინენტები, ამ დროს ეს ერთიანი კონტინენტია და მათი პირობითი საზღვარი პანამის არხია. ასევე აფრიკასა და აზიას შორისაც გვაქვს პირობითი საზღვარი, სუეცის ხელოვნური არხის სახით. ამიტომ ეს პირობითი საზღვრები ხშირად დაზუსტებას მოითხოვს გეოგრაფიიდან გამომდინარე სხვადასხვა პარამეტრის საფუძველზე.




**— ოდესმე შეიძლება, საქართველო აზიის შემადგენლობაში აღმოჩნდეს?**

— ისტორია ისეთი მეცნიერებაა, წინასწარ ძნელი განსაჭვრეტია, 100 კი არა, 10 წლის შემდეგ როგორი სიტუაცია შეიქმნება. ასე რომ, გამორიცხული არაფერია. პატარა მაგალითს მოვიშველიებ: **ევროპასა და აზიას შორის საზღვარი გატარებულია ურალის ქედზე და მდინარე ურალზე, რომელიც კასპიის ზღვაში ჩაედინება. ეს საზღვარიც პირობითია, რადგან ბუნებრივად ევრაზია ერთიანი სივრცეა.** ევროპაში დაწყებული ბალახეული საფარი, სტეპური, ნახევრად უდაბნოების ლანდშაფტები და ბუნება შეიძლება, აზიაშიც გადადიოდეს. ასე, მაგალითად, აღმოსავლეთ უკრაინის ტყე-სტეპები ყაზახეთის პირველ ნაწილში მთავრდება, ასევე — ცენტრალური რუსეთის სტეპები. თუ ვიტყვით, რომ კასპიისპირა დაბლობი (ურალიდან დასავლეთით), რაც ნახევრად უდაბნოს წარმოადგენს — შედის ევროპაში, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ნახევარი ყაზახეთი ნახევრად უდაბნოს წარმოადგენს და ამ ერთიან სივრცეში გეოპოლიტიკური მოცემულობით მანიპულაცია მომავალში როგორ მოხდება, დამოკიდებულია ისტორიისა და პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე. **ასე რომ, წინასწარ განსაზღვრა, თუ მომავალში საქართველო სად მოხვდება, ძალიან ძნელია.**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები



**შალვა პაპუაშვილი**, *პარლამენტის თავმჯდომარე*

**2007 წლის 7 ნოემბერი იყო პოლიტიკური განაჩენი, რომელიც ხალხმა გამოუტანა ნაციონალურ მოძრაობას,** სამწუხაროა, რომ რეჟიმის შემოქმედს კიდევ **პოლიტიკაში ყოფნის ამბიცია** აქვს.

„პირველი არხი"



**რატი იონათამიშვილი**, *პარლამენტარი*

ნაციონალურ მოძრაობას **საბოლოო განაჩენისთვის** მარტო **7 ნოემბრის დანაშაული ეყოფა.**

„იმედინიუსი"



**დიტო სამხარაძე**, *პარლამენტარი*

ბომბების წვიმა რომ არ გვინდა, **ეს არის ლოიალური პოლიტიკა?** — **ეს ლოიალური კი არა, ქვეყნის ინტერესების დაცვის პოლიტიკაა,** რასაც აუცილებლად გავაგრძელებთ!

„აიპრესი"

***ბოლო პერიოდში საქართველოში ევროკავშირში გაწევრების განაცხადის პარალელურად, ხშირად გაისმოდა ლოზუნგი „შინ — ევროპაში!" არის კი საქართველო გეოგრაფიულად, პოლიტიკურად ან ნებისმიერი სხვა თვალსაზრისით ევროპა? ამის შესახებ „ასავალ-დასავალმა" ერთგვარი გამოკითხვა ჩაატარა:***



**თამაზ ჭეიშვილი**, *მწერალი:* — გეოგრაფიულად საქართველოს დიდი ნაწილი **აზიაში** მდებარეობს. მენტალურად ქართველები მკვეთრად განვსხვავდებით ევროპელებისგან და აზიელებისგანაც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საუკუნეების მანძილზე შედიოდა ამა თუ იმ აზიური ქვეყნის იმპერიაში, ქართულმა კულტურამ, სარწმუნოებამ და ტრადიციებმა საუკუნეების მანძილზე ისეთი ძლიერი „ეროვნული იმუნიტეტი" გამოიმუშავა, რომ 21-ე საუკუნემდე მოაღწია თავისი მამულით, ენითა და სარწმუნოებით!



**დიმიტრი ლორთქიფანიძე**, *უფლებადამცველი:* — საქართველო ქრისტიანული ცივილიზაციის აკვანია და, თუ ევროპა ფორმალურად ემყარება ქრისტიანულ ცივილიზაციის მონაპოვარს, გამოდის, რომ საქართველო ევროპის უკანასკნელი ბასტიონია ისლამის ოკეანის მიჯნაზე! **საქართველო ცალსახად არ არის აზია!**



**ალი ბაბაევი**, *პოლიტოლოგი:* — **ევროპაა,** მაგრამ საქართველოზე გადის ევროპის და აზიის საზღვარი.



**ამირან ამირანაშვილი**, *რეჟისორი, მსახიობი:* — საქართველო არის **აზია!**



**მიხეილ ქლენტი**, *საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი:* — **აზიაა, აზია!** იქ სადაც ბაზარია და გადაძახილ-გადმოძახილი, **აზიაა.** ევროპასთან ვიყავით, ვიდრე ქრისტიანობა გაიყოფოდა!



**ლაშა გოლუბიანი**, *ადვოკატი:* — **არც ევროპაა და არც აზია.** უძველესი კულტურის და ტრადიციების მქონე ერი ვართ. ჩვენი თვითმყოფადობა გაგვაჩნია და **ვართ კავკასიელები!** კავკასიის ქედზე კი ცივილიზაციის აკვანი ქართველებმა დავარწიეთ!



**ელიზბარ ელიზბარაშვილი**, *პროფესორი:* — **არცერთი არ არის.** ორთავეს ელემენტებია, მაგრამ დაფუძნებულია კოლხურ-იბერიულ ძირებზე.



**ზვიად ტომარაძე**, *ორგანიზაცია „ერი და სახელმწიფოს" ლიდერი:* — მენტალობით **აზია** ვართ, კულტურით — **ევროპა.**



**დავით მარტიაშვილი**, *ტერიტორიული მთლიანობისათვის მეომარი, ვიცე-პოლკოვნიკი:* — **აზიაა,** ულაპარაკოდ! ყოველთვის, ყველა ნიშნით **აზია იყო და ახლაც ასეა!**



**გიორგი მამაცაშვილი**, *ჟურნალისტი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე:* — **აზიაა,** მაგრამ **ევროპული სულისკვეთებით!** გზაგასაყარზეა, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზეა.



**ფრიდონ ინჯია**, *პოლიტიკოსი:* — საქართველო **მხოლოდ საქართველოა,** რომლის ფესვებიდან ჩამოყალიბდა ევროპა, ახლო აღმოსავლეთი — მხედველობაში მაქვს თეთრი ადამიანი. დიახ, თეთრი ადამიანის სამშობლო საქართველოა (კავკასია)! — ასე თქვა მედიცინის პროფესორმა, ანთროპოლოგიის ფუძემდებელმა, გერმანელმა მეცნიერმა **იოჰან-ფრიდრიხ ბლუმენბახმა** 1785 წელს და მას ბოლომდე ვეთანხმები!



**ჯამბულ გამცემლიძე**, *სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული გიორგი გამცემლიძის მამა:* — **საქართველო ევროპაა წინარე აზიაში!**



**ზურაბ ქადაგიძე**, *პოლიტოლოგი:* — გეოგრაფიული დაყოფის თვალსაზრისით, **საქართველო გზაჯვარედინზეა.**



**შოთა იამანიძე**, *სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი პოლიტპატიმარი, თანამოსახელე ლეგენდარული ფეხბურთელის შვილიშვილი:* — უპირველესად, **კავკასიაა!** ევროპული და აზიური შენაკადების გზაჯვარედინზე ვართ.



**მამუკა კარტოზია**, *ისტორიკოსი:* — კავკასიის სამხრეთით გეოგრაფიულად ევროპა კი არ გრძელდება, არამედ **აზია** იწყება. საქართველო ევრაზიის კონტინენტის **ის მცირე აზიური ნაწილია,** რომელიც მდებარეობს იმპერიული ტრადიციების მქონე ქვეყნების გვერდით (რუსეთი, თურქეთი, ირანი).



**გია სულაქველიძე**, *ფსიქოთერაპევტი:* — საქართველო მწვანე ხიდია **ევროპასა და აზიას შორის!**



**რომა რცხილაძე**, *მომღერალი:* — **ევროპაც** არის და **აზიაც!**



**ბესო ზანგური**, *მსახიობი:* — საქართველო არის **კავკასია.** მე კავკასიელი ბიჭი ვარ, მართლმადიდებელი — ასე ვიტყვი.

*მოამზადა* ***ნინო პაპოშვილმა***



# „ვიცი რა იმ პროვოკაციის შესახებ, რომელსაც ვაჟა ექიმის მეშვეობით საქართველოს წინააღმდეგ გეგმავდნენ, არ გამოვრიცხავ, ახლაც იგივე უბედურებასთან გვქონდეს საქმე და ნაცებმა თამაზ გინტური გაწირეს!“

თამაზ გინტური



## ერეკლე კუხიანიძე:

# „ქართულმა ოცნებამ“ გამრიყა, რადგან პროვოკატორი ვაჟა ექიმი ვამხილე!

***ჩვენი სტუმარია თბილისის საკრებულოს ყოფილი წევრი „ქართული ოცნებიდან“, ისტორიკოსი ერეკლე კუხიანიძე, რომელიც ოთხი წლის წინათ დიდ სკანდალში გახვიეს ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის დატყვევების ფაქტზე საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების გამო:***

— ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ 2019 წლის 9 ნოემბერს საოკუპაციო ხაზთან რუსებმა და ოსებმა დაიჭირეს ქართველი ექიმი, ტრავმატოლოგი **ვაჟა გაფრინდაშვილი,** რომელიც ვითომდა ფეხმოტეხილი ქალის დასახმარებლად ახალგორში მიდიოდა. ამ ამბიდან ოთხ დღეში, 13 ნოემბერს გამოვაქვეყნე ჩემი ე.წ. პირველი ფეისბუქსტატუსი, რასაც ნაცსექტისგან საშინელი ლანძღვა-გინება მოჰყვა.

**— შევახსენოთ საზოგადოებას, რა შინაარსის კომენტარი გაუკეთეთ ოკუპანტების მიერ ე.წ. ვაჟა ექიმის დაპატიმრებას?**

— როგორც კი **ვაჟა გაფრინდაშვილი** დაიჭირეს, ნაცების ტელევიზიებმა ერთი ამბავი ატეხეს და მისმა მეუღლემ, ექიმმა **თამილა ლაფანაშვილმა** საქართველოს ხელისუფლება, ფაქტობრივად, ღორებს შეადარა, როცა განაცხადა — **რა გეზეიმებათ, ჩემი ქმარი დაიჭირესო!** იმ დღეებში საქართველო ევროკომისიის თავმჯდომარე ქვეყანა ხდებოდა და საზოგადოებაში მართლაც იყო საზეიმო განწყობა. ქალბატონი თამილას ამ სამარცხვინო განცხადების გამო, როგორც „ქართული ოცნების“ წევრი და ქალაქის საკრებულოში გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე, სახლში აღელვებული მივედი და ფეისბუქის მეშვეობით ასეთი განცხადება გავავრცელე:

> *„ძალიან სერიოზული მყრალი პროვოკაციის ოხშივარი ასდის ამ ამბავს! პირდაპირ გეუბნებით — როდესაც იცი, იქ ოკუპანტია და დაგიჭერს და მაინც სპეციალურად მიდიხარ... ისიც იცი, რომ შენი ქვეყანა მოკლებულია იმას, რომ ქმედითი წინააღმდეგობა გაუწიოს ოკუპანტს და ამის შემდეგ შენი ოჯახი სახელმწიფოს უპირისპირდება — ან მთელი ოჯახი იდიოტები ხართ, ან პროვოკატორები... თქვენი დედაც!“*

არ დაგვავიწყდეს, რომ მთელი ეს ამბავი 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების ფონზე ვითარდებოდა, როცა ე.წ. **„გავრილოვის ღამის“** გამო „ქართული ოცნება“ შეშინდა, პარლამენტის თავმჯდომარეობიდან **ირაკლი კობახიძე** გადააყენა და თავის მართლების რეჟიმში გადავიდა... ზემოხსენებული ფეისბუქპოსტი არ წამიშლია, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი სიტყვებით მლანძღავდნენ. **დღესაც მიმაჩნია, რომ ექიმი და ნაცაქტივისტი ვაჟა გაფრინდაშვილი არის პროვოკატორი, რომელიც მაშინ საქართველოს მტრების დავალებას ასრულებდა!**

**— ამას რით ასაბუთებთ?**

— როცა **ვაჟა ექიმი** ოკუპირებული ახალგორის ტერიტორიაზე გადავიდა, მას ტელეფონზე დაურეკა უცნობმა პიროვნებამ, რომელმაც მისი გეგმების შესახებ ყველაფერი იცოდა. მათ შორის დაახლოებით ასეთი დიალოგი გაიმართა:

> *— რა ხდება?*
>
> *— უკვე შემოვედი, მაგრამ ჯერჯერობით ყურადღებას არავინ მაქცევს!*
>
> *— ახლა რას აპირებ?*
>
> *— რა ვიცი, სადღაც კაფეს ვნახავ, დავჯდები და ყავას დავლევ!*

წარმოგიდგენიათ? ე.ი. ტიპი მიდის, არ აქვს გეგმა, არ იცის მარშრუტი და ვიღაცას ეუბნება, სადმე კაფეში ყავას დავლევო! აი, ეს ხდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რომელსაც რუსული „კაგებე“ აკონტროლებს და ნებისმიერ უცხო პირს მაშინვე იჭერს! **ანუ ყველაფრიდან ჩანს, რომ ვაჟა ექიმი ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმისთვის კი არ შევიდა, რომ ვიღაც ფეხმოტეხილი ქალისთვის ემკურნალა, არამედ რუსებსა და ოსებს რომ დაეჭირათ და მერე ნაცტელევიზიებს ღრიანცელი აეტეხათ!** სწორედ ასეც მოხდა — **ვაჟა გაფრინდაშვილი** დაიჭირეს, ცხინვალის ციხეში გადაიყვანეს და 49 დღის შემდეგ, როცა მან ე.წ. **„პრეზიდენტ“ ბიბილოვის** სახელზე შეწყალება დაწერა, გამოუშვეს! მთელი ოსური ვებ-გვერდები ამის გამო ქართველებს „გვაღადავებდნენ“ და თავს ლაფს გვასხამდნენ — **თქვენმა ექიმმა შეწყალება ითხოვაო!**

ყველაზე საინტერესო მოვლენები ცხინვალში განვითარდა. არსებობს ასეთი პიროვნება — იურისტი **ბადრი მანჯავიძე,** რომელიც რუსეთისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქეა. მან ვაჟა გაფრინდაშვილის ოჯახს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე დახმარება შესთავაზა და მზადყოფნა გამოთქვა, ჩასულიყო ცხინვალში და სასამართლოზე დაეცვა ვაჟა გაფრინდაშვილის ინტერესები. **ოჯახმა ქართველ ადვოკატს ამ წინადადებაზე კატეგორიული უარი უთხრა და ვაჟა ექიმს დაუქირავა ვლადიკავკაზელი ადვოკატი ვლადიმერ ფიდაროვი!**

**— ქართველ ადვოკატს ოსი ამჯობინეს?**

— დიახ, ოსი ამჯობინეს, მაგრამ ეს არ არის ყველაზე მთავარი. **ბადრი მანჯავიძე,** რომელიც გულიანი ქართველია, ოჯახის უარის მიუხედავად, ცხინვალში მაინც ჩავიდა, რათა ამ სამარცხვინო **ვაჟა გაფრინდაშვილის** სასამართლო პროცესს დასწრებოდა. **ვლადიმერ ფიდაროვი და ბადრი მანჯავიძე** პროცესის დაწყების წინ ერთმანეთს გაესაუბრნენ... როგორც კი საოკუპაციო ხელისუფლებამ შეიტყო, რომ პროცესზე ქართველი ადვოკატიც აპირებდა დასწრებას, სასამართლო, რომელიც ღია უნდა ყოფილიყო, მაშინვე დახურეს. მოკლედ, **ნაცებს ჰქონდათ ასეთი გეგმა** — ქართველი „გმირი“ ექიმის გათავისუფლებაში, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფეხმოტეხილი ქალის სამკურნალოდ გადავიდა და რუსმა ოკუპანტებმა დაიჭირეს, უნდა ჩართულიყო მსოფლიო თანამეგობრობა, „ექიმები საზღვრების გარეშე“, „წითელი ჯვარი“, გაერო, ევროკავშირი... **„გმირ“ ექიმს საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლის შედეგად რუსი ოკუპანტები გაათავისუფლებდნენ, „გმირი“ ვაჟა ექიმი გადმოკვეთდა საოკუპაციო ხაზს და ამის შემდეგ სათავეში ჩაუდგებოდა ანტისამთავრობო მოძრაობას!**

მოკლედ, ყველაფერი მიდიოდა ნაცებისა და მათი პატრონების გეგმის მიხედვით, მაგრამ უკაცრავული პასუხია და **„გმირმა“ ვაჟა ექიმმა** ცხინვალში ჩაისვარა და **ბიბილოვის სახელზე შეწყალება დაწერა,** რითიც სეპარატისტული რეჟიმი და საოკუპაციო ხელისუფლება, ფაქტობრივად, აღიარა! **მხოლოდ ამის შემდეგ გაათავისუფლეს „გმირი“ ვაჟა ექიმი და საოკუპაციო ხაზს აქეთ ნახმარი ჩვარივით გადმოგვიგდეს.** როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამის გამო ოსები მასხრად გვიგდებდნენ...

სხვათაშორის, მაშინაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: ჩვენ სრულიად უაზროდ დავუპირისპირდით რუსებს და შევუქმენით განცდა, რომ საბჭოთა კავშირი ჩვენი ქმედებების შედეგად დაიშალა, რაც იყო სრული სისულელე და სიბრიყვე. ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ თვითონ რუსები გაცილებით უფრო დაჩაგრულები იყვნენ სისტემისგან, ვიდრე ჩვენ და სხვათაშორის, ჩვენგანაც არ აკლდათ დაჩაგვრა. ამას მოყვა საშინელი შედეგები — **გააფთრებული და დამარცხებული გიგანტი, რომელიც შეურაცხყოფილი იყო ჩვენი „ღალატით“, გადავიდა შურისძიების რეჟიმში და სისხლიანი კალო დაატრიალა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. დაიღუპა უამრავი ჩვენი სრულიად უდანაშაულო მოქალაქე...** საბჭოთა კავშირი ყველა შემთხვევაში იშლებოდა სრულიად სხვა მიზეზების გამო, მაგრამ ჩვენ შევეცადეთ, საკუთარი „წვლილი“ შეგვეტანა ამ პროცესში, რაც ძალიან ძვირი დაგვიჯდა.

**— სოფელ კირბალის სასაფლაოზე მომხდარ მკვლელობასა და ვაჟა ექიმის „გმირობას“ შორის საერთო შტრიხებს ხომ ვერ ხედავთ?**

— ნაცებმა შექმნეს ისეთი დღის რეჟიმი, ვინმემ რომ იკით-





## „დღესაც მიმაჩნია, რომ ექიმი და ნაცაქტივისტი ვაჟა გაფრინდაშვილი არის პროვოკატორი, რომელიც მაშინ საქართველოს მტრების დავალებას ასრულებდა!“



„ისტორიკოსი კაცი ვარ და ზუსტად ვიცი, რომ ამას ქრისტიანობასთან არავითარი კავშირი არა აქვს, თუმცა, ლევან ბერძენიშვილმა გინებით ეკლესიის კარის შელეწვა „გმირობად“ შერაცხა!“

ხოს — **„კი მაგრამ, ხომ იცით, რომ ტერიტორია ოკუპირებულია და იქ გადასვლა შესაძლოა, სიკვდილის ფასი დაგიჯდეს?“ — მაშინვე წამოგესევიან და მოგდგებიან — „შე, პუტინის მონავ, როგორ, ქართველ კაცს არა აქვს წინაპართა საფლავებზე ასვლის უფლება, რათა ეკლესიაში სანთელი დაანთოს და გარდაცვლილთა სულები მოიგონოს?“**

ადრეც ვაცხადებდი და ახლაც ვიმეორებ — ჩვენი დასავლეთელი მეგობრები და პარტნიორები განუწყვეტლივ მოგვიწოდებენ, რუსეთთან დავალაგოთ ურთიერთობა და არ გადავდგათ რაიმე ისეთი ნაბიჯი, რომელიც კიდევ უფრო გაართულებს ჩვენს ისედაც სავალალო და უღონო მდგომარეობას. თუ რა მოიტანა ჩვენი დასავლეთელი მეგობრების რჩევის გაუთვალისწინებლობამ, კიდევ ერთხელ დავინახეთ 2008 წელს. ამიტომ **ნებისმიერი ადამიანი, თუ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც არ ითვალისწინებს შექმნილ რეალობას და ცდილობს, იგნორირება გაუკეთოს ყოველივე ამას, მიმაჩნია პროვოკატორად და ქვეყნის მტრად, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზეზით და რა ფორმით ხდება ამ პირობების დარღვევა.**

სისხლის ფასი გადაიხადა ჩვენმა ხალხმა და ქვეყანამ ამ დაუნდობელ ძალასთან თამაშის გამო და კიდევ ახალი სისხლი აღარ არის საჭირო! ძალიან ძნელი სათქმელია, სოფელ კირბალის სასაფლაოზე რა მოხდა... **მე არ გამოვრიცხავ, რომ სოფელ კირბალში ვიღაც მართლაც გამწარდა, როგორც ქართველი, რომელსაც მიწა წაართვეს და ცხელ გულზე სალოცავში ავიდა, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ისე გამოდის, რომ იმ გამწარებასაც და ემოციასაც ის ნაძირალები მართავენ, რომლებმაც ვაჟა ექიმს „გმირობა“ დააბრალეს!** თან ყურადღება მიაქციეთ, როდის მოხდა ეს ყველაფერი — მაინცდამაინც მაშინ, როცა საქართველოსთვის ევრორეკომენდაცია უნდა მოენიჭებინათ!

**— მოკლედ, თქვენც რაღაც ეჭვები გაქვთ?**

— სადაც ნაცები იქნებიან გარეული, არ შეიძლება, იქ ასეთი ეჭვი არ გაგიჩნდეს! თან ყურადღება მიაქციეთ ერთ დეტალს — **მესამე, ვინც ვიდეოს იღებს, უარს ამბობს ეკლესიის კარის შელეწვაზე, რასაც აწ განსვენებული თამაზ გინტური და ლევან დოთიაშვილი აკეთებენ!** კი, მართალია, დაგვიპყრეს, აგვიკლეს და მიწა წაგვართვეს, მაგრამ ეკლესიის კარის ასე შელეწვა და ამ ფორმით სალოცავში შესვლა, რამდენად ქრისტიანული საქციელია, არ ვიცი! უფრო სწორად, **ისტორიკოსი კაცი ვარ და ზუსტად ვიცი, რომ ამას ქრისტიანობასთან არავითარი კავშირი არა აქვს, თუმცა, ლევან ბერძენიშვილმა გინებით ეკლესიის კარის შელეწვა „გმირობად“ შერაცხა.**

არ შეიძლება, საოკუპაციო ხაზს იქით ასე და ამ ფორმით გადასვლა, რადგან არამარტო შენს თავს, არამედ ქვეყანასაც უდიდესი რისკის ქვეშ აყენებ! მაგრამ ეს ყველაფერი იცით, რისი ბრალია? იმის, რომ ჩვენი საზოგადოების უზარმაზარ ნაწილს ემოციისა და სისულელის გარდა ტვინში არაფერი აქვს! არის ასეთი ვაჟკაცი კაცი **პაატა აბულაძე,** რომელმაც სწორი ანალიზი გააკეთა და ხაზი გაუსვა იმას, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში ამ დღეებში ძალიან საეჭვოდ დაეძებენ ამერიკული „მ-4“-ებით შეიარაღებულ უცნობ პირებს... ანუ რუსები ამზადებენ ნიადაგს... ამ დროს კი **ქაცარავა და ძმანი მისნი** გაიძახიან — ყოველგვარ რაციონალურ აზროვნებას უნდა შევეშვათ და რუსებს უნდა დავერიოთო!

**თუ ჩვენ გონიერებას არ მოვუხმობთ, რუსეთი სწორედ ისე გაგვანადგურებს, როგორც უკრაინას ანადგურებს და კაციშვილი ჩვენს გვერდით არ დადგება!** ხომ ხედავთ, დასავლეთი რუსეთის შიშით უკრაინას ვერ აძლევს იმ იარაღს, რომელიც რუსეთს სერიოზულად დააზიანებს... მოკლედ, მანდ ისეთი სიბინძურე ტრიალებს, ჩვენს მტერს! **უბედური უკრაინელები გაასულელეს და ასეულიათასობით კაცი რუსებს ჩაახოცინეს. უარესს გვიზამენ ჩვენც და გონიერებას მოვუხმოთ — დათვის ხახაში თავს ნუ შევყოფთ!**

**საოკუპაციო ხაზის მიღმა მთვრალი და გამწარებული ხალხის გინება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ვერ აღადგენს... ეს უდიდესი და უბინძურესი გეოპოლიტიკური თამაშია და საქართველომ ეს თამაში სულ სხვა გზითა და მეთოდით უნდა მოიგოს!**

**— დღეს „ქართულ ოცნებასთან“ რა ურთიერთობა გაქვთ?**

— „ქართულმა ოცნებამ“ გამრიყა და დამიპირისპირდა, რადგან პროვოკატორი **ვაჟა ექიმი** ვამხილე! როცა გაფრინდაშვილი ცხინვალში ჰყავდათ დაჭერილი, ნაცები სოციალურ ქსელებში ხალხს საქართველოს საბოლოოდ დანგრევისკენ მოუწოდებდნენ — **ელიავაზე ოსები დავიჭიროთ, ხოლო ის კლინიკები, რომლებიც ოსი ეროვნების ავადმყოფებს მიიღებენ, დავხუროთო!** აი, ამას დავუპირისპირდი და „ქართულმა ოცნებამ“ ნაცების შიშით გამწირა და ზურგი მაქცია... აქედან გამომდინარე, **„ქართულ ოცნებასთან“ არავითარი ურთიერთობა არ მაქვს!** ისევ და ისევ ვუბრუნდები სოფელ კირბალთან მომხდარ მკვლელობას და ვაცხდებ: **ვიცი რა იმ პროვოკაციის შესახებ, რომელსაც ვაჟა ექიმის მეშვეობით საქართველოს წინააღმდეგ გეგმავდნენ, არ გამოვრიცხავ, ახლაც იგივე უბედურებასთან გვქონდეს საქმე და ნაცებმა თამაზ გინტური გაწირეს!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



# მამა სპირიდონ ცქიფურიშვილი:

# „ქართული ოცნება“ და ნაც-მოძრაობა ერთი მამის შვილები არიან სხვადასხვა ქალისგან!



*თერჯოლის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი* ***სპირიდონ ცქიფურიშვილი*** *ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ, თუ რუსეთთან მოლაპარაკებას არ დავიწყებთ, ცხვირ-პირს უსათუოდ დავიმტვრევთ, ხოლო, თუ დავილაპარაკებთ, შესაძლოა, რაღაც შედეგს მივაღწიოთ:*

— მოგეხსენებათ, 2023 წლის 8 ნოემბერს ევროკომისიამ ევროპარლამენტს რეკომენდაცია მისცა, რომ 15 დეკემბერს საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭოს. თავიდანვე ვაცხადებ: კანდიდატის სტატუსს მოგვცემენ, მაგრამ საქართველოს ევროკავშირის წევრად არავინ მიიღებს, ეს გამორიცხულია!

**— მამა სპირიდონ, ევროკავშირში რატომ არ მიგვიღებენ, რა არის ამის მიზეზი?**

— ამის მიზეზი ის არის, რომ ევროპას თავის ტოლად და სწორად არ მივაჩნივართ და თავისი კონკურენტი რუსეთის წინააღმდეგ მხოლოდ საზარბაზნე ხორცად ვჭირდებით. **დღევანდელი ევროკავშირი ანგლოსაქსების, ანუ ამერიკა-ბრიტანეთის მიერ მართული მარიონეტული ორგანიზაციაა. კანდიდატის სტატუსის მონიჭება ჩვენთვის სატყუარაა, რათა ანგლოსაქსებმა თავიანთი პოლიტიკური დღის წესრიგი თავს მოგვახვიონ და საქართველოში გადატრიალება უფრო ადვილად მოაწყონ.** გადატრიალება იმისთვის სჭირდებათ, რომ საქართველო რუსეთ-უკრაინის ომში ჩაითრიონ... შესაძლოა, ვიღაცამ იკითხოს — მხოლოდ პატარა საქართველომ რა პრობლემები უნდა შეუქმნას რუსეთს? აქ მარტო საქართველოზე არ არის ლაპარაკი, აქ გათვლა სულ სხვა რამეზეა... დავიწყოთ სომხეთით! სომხეთში **სერჟ სარქსიანის** რეჟიმის დამხობის შემდეგ ხელისუფლებაში მოიყვანეს სოროსის ლეკვი **ნიკოლ ფაშინიანი,** რომელიც დასავლეთის აგენტია. **სწორედ ამის გამო დასაჯა რუსეთმა სომხეთი და ყარაბაღის ახალი ომით სომხეთს დააკარგვინა ის ტერიტორიები, რომელიც ერევანმა აზერბაიჯანს ამ ოცდაათი წლის წინათ წაართვა.**

ერთი სიტყვით, ანგლოსაქ-

*გაგრძელება მე-14 გვერდზე*

„ჩემდა უნებურად მახსენდება ვაჟა ექიმის, ანუ ვაჟა გაფრინდაშვილის დატყვევება ოკუპანტების მიერ. დღევანდელი გადასახედიდან უკვე აშკარაა, რომ იგი ოკუპანტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე განგებ გადავიდა, რათა ნაცებს თავიანთი ტელევიზიები მთელი ერთი თვის განმავლობაში ეყვირებინათ!“



*დასაწყისი მე-13 გვერდზე*

სებმა მოახერხეს და სომხეთსა და რუსეთს შორის მტრობა დათესეს... დარჩა აზერბაიჯანი, რომელიც თურქეთის „უმცროსი ძმა“ და უახლოესი მეგობარია. ფაქტობრივად, ეს არის ერთი ერი ორ სახელმწიფოში... მთელი ჩრდილოეთ კავკასია, ოსების გარდა, მუსლიმანურია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ საქართველოს რუსეთს აუმხედრებენ და უკრაინის ომში ჩაითრევენ, ჩვენი აფეთქებით ავტომატურად აფეთქდება მთელი ჩრდილოეთ კავკასია, სადაც თურქოფილური განწყობები ტრადიციულად ძლიერია. აი, ასეთ სიტუაციაში კავკასიაში, უნდა ეს ვინმეს თუ არა, ძალაუნებურად გაიზრდება თურქეთის როლი და შეიქმნება იმის წინაპირობები, რომ კავკასიიდან რუსეთი გაძევებულ იქნას. ცხადია, ბუნებაში ცარიელი ადგილი არ არსებობს და თუ ერთი წავა, მის ადგილს მეორე დაიჭერს, **ანუ კავკასიაში რუსეთის ნაცვლად შემოვა თურქეთი, რომელიც აზერბაიჯანთან ერთად ტანდემში აბსოლუტურად შეცვლის გეოპოლიტიკურ სურათს.** აი, ეს საფრთხეები არსებობს და ანგლოსაქსებს აწყობთ დიდი და ხანგრძლივი ომი!

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ძალიან კარგად იცის, რომ ახლა, როცა მას კრიზისული პერიოდი უდგას, ომი საუკეთესო გამოსავალია. **როგორც პირველი, ისე მეორე მსოფლიო ომიდან ამერიკა გაძლიერებული გამოვიდა, რადგან აურაცხელი იარაღი გაყიდა.**

### ანგლო-საქსებისთვის ომი ყველაზე დიდი და სარფიანი ბიზნესია. მათი სურვილია, ააფეთქონ კავკასია და მერე ჩვენი შვილების გვამებით რუსეთთან სარფიანად ივაჭრონ!

**— სოფელ კირბალში რუსებმა და ოსებმა თამაზ გინტური მოკლეს, ხოლო ლევან დოთიაშვილი დაატყვევეს, რომელიც უკვე გათავისუფლებულია. მომხდარის გამო რიგი პოლიტიკური ძალები კონფლიქტის ზონაში ვითარების ესკალაციას ცდილობდნენ... არის ეჭვი, რომ ევრორეკომენდაციის მონიჭებამდე ერთი დღით ადრე, ნაცმოძრაობის წევრი და ყოფილი სპეცრაზმელი თამაზ გინტური კონფლიქტის ზონაში ბნელი ძალების გეგმებს შეეწირა. თქვენ რას იტყვით?**

— ყურადღებით ვნახე ის ვიდეოკადრები, რომელიც სოციალურ ქსელებში გავრცელდა. შეუძლებელია, ადამიანურად აწ განსვენებულ **თამაზ გინტურს** არ გაუგო — კაცი ნასვამი იყო, წინაპართა სალოცავში ავიდა, კარი აჭედილი დახვდა, რომელიც წიხლით შელეწეს და ტაძარში ასე შევიდნენ... მაგრამ

### მე მაკვირვებს, ვისთვის ან რისთვის იღებდნენ ეკლესიის კარის შელეწვას? როგორც წესი, ასეთ რამეებს ვიდეოთი არ იღებენ. ეს

### არაბუნებრივი ქმედებაა... ვერაფერს დავამტკიცებ, მაგრამ მიჩნდება ეჭვი და ვკითხულობ – ეს ხალხი იქ სხვა მიზნით, კერძოდ, ოკუპანტების პროვოცირების მიზნით ხომ არ იყო მისული?

ღმერთმა დამიფაროს, ოკუპანტები რამეში გავამართლო, მაგრამ ეს ყველაფერი პროვოკაციას ჰგავს! თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ვერაფერს დავამტკიცებ და ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია!** ჩემდა უნებურად მახსენდება **ვაჟა ექიმის,** ანუ **ვაჟა გაფრინდაშვილის** დატყვევება ოკუპანტების მიერ. დღევანდელი გადასახედიდან უკვე აშკარაა, რომ იგი ოკუპანტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე განგებ გადავიდა, რათა ნაცებს თავიანთი ტელევიზიები მთელი ერთი თვის განმავლობაში ეყვირებინათ!

**— უკრაინაში მებრძოლმა ვანო ნადირაძემ ქართველ ახალგაზრდებს მოუწოდა — სადაც რუსს ნახავთ, ყველგან მოკალითო!**

— ეს ადასტურებს იმას, რომ ნაცმოძრაობის მიზანი საქართველოს ომში ჩათრევაა! კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **კავკასიის აფეთქება უნდათ, რათა რუსეთი აქედან გააგდონ და თურქეთი შემოიყვანონ!** ცხადია, ამ გლობალურ გეგმაში **ვანო ნადირაძეს** პაიკის ფუნქციაც კი არ აქვს და ის უფრო სასარგებლო იდიოტის როლშია.

**— ევროკომისიამ პირდაპირ გვითხრა, რომ საქართველოში ლგბტ ნაძირის კრიტიკა უნდა შეწყდეს და მათ საქმიანობას ხელი არ უნდა შეეშალოს! ეს რას გამოიწვევს?**

— ეს გამოიწვევს უბედურებას! ამიტომაც ვამბობ, რომ **საქართველოს ევროკავშირში შესვლას არც რუსეთი დაუშვებს და არც — თურქეთი... ვერც უკრაინა შევა ევროკავშირში, რომელიც იარსებებს თუ არა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ღმერთმა უწყის.** ევროკომისიის რეკომენდაცია ერთია, მაგრამ ამ ხელისუფლებას ერთი მოსმენით უკვე მიღებული აქვს კანონპროექტი, რომლის თანახმადაც ჰომოსექსუალისთვის **„პედერასტის“** წამოძახება დასჯადი გახდება! არადა, ამ დროს

### ჩვენს ეროვნულ და საეკლესიო სიწმინდეებს უმაღლეს დონეზე შეურაცხყოფენ და სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გარკვევით გვითხრა, რომ, თურმე, პრეზერვატივზე წმინდა თამარ მეფის გამოსახვა „გამოხატვის თავისუფლება“ ყოფილა...

**— მაინც ვინ დააინიცირა საქართველოს პარლამენტში კანონპროექტი, რომლის თანახმადაც სოდომისტისთვის „პედერასტის“ დაძახება დასჯადი ხდება?**

— ეს კანონპროექტი ერთი მოსმენით უკვე მიღებულია და დარჩენილია მეორე და მესამე მოსმენა! ჯერჯერობით შეჩერებული არიან და აწი რას იზამენ, ვნახოთ! ჩვენდა სამარცხვინოდ და სამწუხაროდ, იმ ხუთ კაცში, რომლებმაც ეს კანონი პარლამენტს წარუდგინეს, ერთ-ერთი გახლავთ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი **ბეჟან წაქაძე!** თუ აღმოჩნდება, რომ რამეში ვცდები და რასაც თქვენ გეუბნებით, ასე არ არის, მზად ვარ, შენდობა ვითხოვო! მაგრამ უბედურება ის არის, რომ არ ვცდები და რასაც ვამბობ, სწორედ ისეა ყველაფერი...

**— ხუთივე დეპუტატი, ვინც ამ კანონპროექტის ინიცირება მოახდინა, „ქართული ოცნების“ წევრია?**

— დიახ, რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ წევრები არიან! „ქართული ოცნება“ თქვენ ეროვნული და კონსერვატორული ძალა გგონიათ? „ქართული ოცნება“ ჩვეულებრივი **ლგბტ პარტიაა,** ოღონდ ნაცებისგან განსხვავებით, მათ გამბედაობა არ ჰყოფნით, რომ ტყვიები დაგვიშინონ ან ციხეებში ხალხი აწამონ და გააუპატიურონ, როგორც ამას სააკაშვილი და მისი ხროვის წევრები სჩადიოდნენ! **იდეოლოგიურად ესენი ერთნი არიან! უფრო სწორად, „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა ერთი მამის შვილები არიან სხვადასხვა ქალისგან!**

**— თქვენი აზრით, რა შეაჩერებს რუსეთის იმპერიას და რა გზას უნდა დაადგეს რუსეთთან ურთიერთობისას საქართველო?**

— რუსეთს აწი ვერაფერი შეაჩერებს, რადგან რუსული სამხედრო მანქანა უკვე დაქოქილია! ეს სამხედრო მანქანა უნდა შეაჩეროს მეორე სამხედრო მანქანამ, რომელიც ჯერჯერობით რუსეთს ვერ და არ აჩერებს. აქედან გამომდინარე, რუსეთი სადამდეც გაიწევა, გაიწევს... რაც შეეხება საქართველოს სტრატეგიას რუსეთთან ურთიერთობაში, მოლაპარაკების გარდა, ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს! უფალი ბრძანებს — **ჭკვიანი მეფე როცა დაინახავს, რომ მტერი კარს მოადგა, დათვლის თავის შესაძლებლობებს და თუ დარწმუნდება, რომ მტერს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს, მტერთან მოსალაპარაკებლად ხალხს გაგზავნისო!**

### თუ ჩვენ ჭკვიანები ვართ და პოლიტიკური ალღოც გვაქვს, რუსეთთან მანამ უნდა დავიწყოთ მოლაპარაკება, სანამ უკრაინაში ომს დაასრულებს!

ჯერ კიდევ გვაქვს შანსები და **თუ ეს მოლაპარაკება დაიწყება, ღრმად ვარ დარწმუნებული, გარკვეულ შედეგებს დავდებთ. თუ რუსეთთან მოლაპარაკებას არ დავიწყებთ, ცხვირ-პირს უსათუოდ დავიმტვრევთ, ხოლო, თუ დავილაპარაკებთ, შესაძლოა, რაღაც შედეგს მივაღწიოთ!**

რუსეთთან მოლაპარაკების დროს ჩვენი მთავარი მოთხოვნა უნდა იყოს **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება,** ხოლო დასავლეთთან ურთიერთობაში — **გარყვნილების პროპაგანდის აკრძალვა და ლგბტ პარადების კატეგორიული მიუღებლობა!** დასავლეთთან ამ პრინციპულ საკითხში არავითარ შემთხვევაში უკან არ უნდა დავიხიოთ, თორემ ქვეყანას დავღუპავთ!

**— მერედა, დღევანდელი ხელისუფლება რუსეთთან მოლაპარაკებას შეძლებს?**

— თუ ასეთი რამ მოხდება, მზად ვარ, შენდობა ვითხოვო, მაგრამ მეტი არაა ჩემი მტერი! იმ ევროინსტრუქციაში მხოლოდ გეიპროპაგანდის თავისუფლებაზე არ არის მოთხოვნა, ევროპა ამ ხელისუფლებისგან ასევე ითხოვს 5 და 30 ივლისის აქციების მონაწილეთა დაპატიმრებას, „კონსერვატიული მოძრაობის“ დევნას და ბიჭების დაპატიმრებას. მათ შორის მეც მოვიაზრები. „ქართულ ოცნებას“ ამის სურვილი აქვს, მაგრამ ვერ ბედავს.... თან იმასაც აცნობიერებს, რომ ეს ასე მარტივად არ ჩაივლის. თუმცა, ერთი რამეც უნდა ითქვას — **„ქართულ ოცნებას“ რუსეთთან ომი რომ უნდოდეს, მე და ჩემნაირები თავდაყირა რომც დავდგეთ, ომი მაინც მოხდება!** ხოლო იმის არდანახვა, რომ ამ ხელისუფლებამ ომი თავიდან აგვაცილა, დიდი უმადურობა იქნება!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***




**„რუსეთთან მოლაპარაკების დროს ჩვენი მთავარი მოთხოვნა უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება, ხოლო დასავლეთთან ურთიერთობაში — გარყვნილების პროპაგანდის აკრძალვა და ლგბტ პარადების კატეგორიული მიუღებლობა!“**

## *მამა სპირიდონ ცქიფურიშვილი:*

# ამ ხელისუფლებას ერთი მოსმენით უკვე მიღებული აქვს კანონპროექტი, რომლის თანახმადაც ჰომოსექსუალისთვის „პედერასტის“ წამოძახება დასჯადი გახდება!



**„იმ ხუთ კაცში, რომლებმაც ეს კანონი პარლამენტს წარუდგინეს, ერთ-ერთი გახლავთ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი ბეჟან წაქაძე!“**

№63 (231) ★ 2023 წლის 13 ნოემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან



# სააკაშვილი თუნდაც მარტო იმის გამოა ჩასაძაღლებელი, გორში სტალინის ძეგლი რომ დაამხო!







## არის ასეთი აზრი! ★

***დიდი აჟიოტაჟის შემდეგ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა. ხმის აღტაცებით აღტყინებული საზოგადოების ერთი ნაწილი სტატუსს ზეიმობს, მეორე ნაწილი კი ხვდება, რომ ეს წმინდა წყლის ფიქციაა! — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, კასპის რაიონის ყოფილმა გამგებელმა, ცნობილმა სამბისტმა***

***ოლეგ იაძემ:***

— 30 წლის განმავლობაში გულდასმით ვაკვირდები საქართველოს მისწრაფებას ნატოსა და ევროკავშირისაკენ და ვრწმუნდები, რომ ამან მხოლოდ ნეგატიური შედეგები მოგვიტანა. გვსურდა დამოუკიდებლობის მეტი ხარისხი და მივიღეთ დასავლეთის სრული დიქტატი. იმავე დასავლეთის სრული დუმილისა და წაქეზების შედეგად მოკლულია თანამედროვე ქართული სახელმწიფოს დამაარსებელი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია,** პარალელურად, „დემოკრატიის შუქურად“ მოგვინათლეს საერთაშორისო თაღლითი და სისხლისმსმელი **სააკაშვილი!** ტყუილები სიმართლედ გვასაღეს, არ და ვერ დაგვიბრუნეს სამაჩაბლო და აფხაზეთი, თუმცა, „გმობა და ვიშვიში“ არ დააკლეს...

**— ევროკავშირის წევრობის კანდიდატობა, როგორც იქნა, მოგვიგდეს. განვეწყოთ, რომ აქედან სრულუფლებიან წევრობამდე მოკლე გზაა?**

— ჯერ ბოლომდე არც მოუგდიათ, საბოლოოდ, დეკემბერში გადაწყდება, მაგრამ მანამდე **საქართველოს ხელისუფლებას წინაპირობას უყენებენ, დაიჭირონ ყველა აქტივისტი, რომლებიც 2021 წლის 5 ივლისს ლგბტ აღლუმის წინააღმდეგ აქციაში მონაწილეობდნენ.**

**საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა გეი-აღლუმების წინააღმდეგია და, გამოდის, ევროკავშირი მოითხოვს, საქართველოს ხელისუფლებამ პირი ამოუკეროს და გამოხატვის თავისუფლება წაართვას ქართველი ხალხის უმრავლესობას!**

**ასეთ კავშირში შეღწევას კი არ უნდა ვცდილობდეთ, იქიდან თავპირისმტვრევით უნდა გამოვრბოდეთ!** და, საერთოდ, ეს სტატუსი ჩვეულებრივი სატყუარაა! **მინდა, შეგახსენოთ, რომ თურქეთი 1999 წლიდან ევროკავშირის წევრობის კანდიდატია და აქამდე ამაოდ ელოდება გაწევრიანებას!** ჩრდილოეთ მაკედონია — **2005 წლიდან,** ხოლო მონტენეგრო **2010 წლიდან** წევრობის კანდიდატია, სერბეთი — **2012 წლიდან,** ალბანეთი — **2014 წლიდან...** ჩვენ ამდენი ლოდინისთვის მზად ვართ? სულ სხვა პროცესები ვითარდება მსოფლიოში. **პირდაპირ გეუბნებით — საქართველო ევროკავშირის წევრი ვერასოდეს გახდება!**

**— რატომ?**

— საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია და ევროკავშირში სამაჩაბლოს და აფხაზეთის გარეშე რომც შევიდეთ, ეს იქნება ამ ტერიტორიების დაკარგვის საბოლოო იურიდიული გაფორმება! არც ევროკავშირი და არც ნატო ჩვენ არ გვთავაზობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მხოლოდ რიტორიკით და განცხადებებით იფარგლებიან! თანაც, რუსეთისთვის საქართველოს მეტად მგრძნობიარე გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია, რის გამოც ევროკავშირი და ნატო აქამდეც ერიდებოდნენ საქართველოსთან ურთიერთობის უფრო აქტიურ ფაზაში გადაყვანას.

ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა კავშირი დროებითია. საბჭოთა კავშირი დაიშალა, ევროკავშირიც ოდესმე დაიშლება და ყველა გარემოება მიანიშნებს, რომ ეს არცთუ დიდი ხნის მერე მოხდება.

**დასანანი ის არის, საქართველოს კონსტიტუციაში რომ არის ჩაწერილი ევროკავშირსა და ნატოსკენ საქართველოს მისწრაფების შესახებ!**

**ასე რომ, უმალ ნატო და ევროკავშირი დაიშლება, ვიდრე საქართველო ამ სტრუქტურებში გაწევრიანდება!**

**— მაშ, საითკენ უნდა იყოს მიმართული საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია?**

— „კანდიდატის“ სტატუსი ახალ ვალდებულებებს გვაკისრებს, რომელთაგან თითოეულის შესრულება ისედაც დაბალი სუვერენიტეტის ხარისხს კიდევ უფრო შეზღუდავს! **ურსულები და ორსულები** ევროკავშირის



ტრიბუნიდან მათ მიერვე გაღვივებულ დაპირისპირებათა აღმოფხვრისკენ მოგვიწოდებენ, სინამდვილეში კი ამ ოპოზიციას აქეზებენ და სახელმწიფო გადატრიალებას გვიმზადებენ!

**ვინმე ტყუილად ნუ ელის, რომ მას მერე, რაც საქართველომ კანდიდატის სტატუსი პირობითად მიიღო, მოქალაქეებს ხელფასები ან პენსიები გაეზრდებათ! ევროკავშირის მოთხოვნებს რომ გადავხედე, მივხვდი – ძალიან „ძვირი“ გვიჯდება ეს სტატუსი!**

აღშფოთება მიპყრობს, პირველკლასელი ბავშვებივით რომ გვასწავლიან ქალის პატივისცემას უძველესი ტრადიციების მქონე იმ ერს, ვისაც ორი ქალი მეფე გვყავდა! ვისაც 1918-1921 წლებში პარლამენტში 7 ქალი დეპუტატი გვყავდა! **მე ვფიქრობ, ევროკავშირს უფრო მეტად სჭირდება საქართველო, ვიდრე საქართველოს — ევროკავშირი. ისინი მალე თავად შეგვეხვეწებიან წევრობაზე დათანხმებას, მაგრამ ქართველებს წინ შეუდარებლად უკეთესი, რამდენიმე არჩევანი გვექნება!**

**— უფრო კონკრეტულად?**

— იმ ფონზე, როცა გააქტიურდა ე.წ. 3+3 ფორმატი, რომელიც გულისხმობს, რომ პლანეტის სამმა უძლიერესმა ქვეყანამ — **რუსეთმა, ირანმა და თურქეთმა** ამიერკავკასიის 3 რესპუბლიკასთან — **საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან** ერთად მოაგვაროს რეგიონალური პრობლემები; როცა ძალას იკრებს **ბრიქსის ქვეყნების** (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა) თანამშრომლობის ფორმატი; როცა **რუსეთ-ჩინეთს შორის** თანამშრომლობა აქტიურ ფაზაში შედის — იკვეთე-

*გაგრძელება მე-2 გვერდზე*

# «უმალ ნატო და ევროკავშირი დაიშლება, ვიდრე საქართველო ამ სტრუქტურებში გაწევრიანდება!»

# ოლეგ იაძე:

## აღშფოთება მიპყრობს, პირველკლასელი ბავშვებივით რომ გვასწავლიან ქალის პატივისცემას უძველესი ტრადიციების მქონე იმ ერს, ვისაც ორი ქალი მეფე გვყავდა!



მეფე თამარი



მეფე რუსუდანი

დასაწყისი პირველ გვერდზე

ბა ევროკავშირის ალტერნატიულ ალიანსებში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივა. ამასთან ერთად, იკვეთება რეალური პერსპექტივა, რომ საქართველო გახდეს არა რუსეთთან საომარი დაპირისპირების კერა, არამედ ნეიტრალური სახელმწიფო, რომლის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და სიმშვიდის გარანტი გახდებიან მძლავრი სახელმწიფოები — **რუსეთი, ჩინეთი და თვით ევროპაც,** რომელიც, თავის მხრივ, აღმოსავლეთთან სატრანსპორტო და ეკონომიკური თანამშრომლობის კორიდორის გაჭრით არის დაინტერესებული.

**ჩვენი ორიენტაცია იმ ქვეყნებსა თუ კავშირებზე უნდა იყოს, ვინც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უმოკლეს გზას შემოგვთავაზებს!**

**— ბოლოს და ბოლოს, საქართველო ევროპაა თუ აზია?**

— ჩვენ ვართ კავკასიელები და დაე, ევროპელებმაც და აზიელებმაც ჩვენგან ისწავლონ ყველაფერი! ევროპა იმდენად გადააჯიშა ლიბერასტულმა დღის წესრიგმა, რომ ქართულ ტრადიციულ ღირებულებებთან თანამედროვე ევროპულ ცრუ ღირებულებებს არანაირი საერთო არ გააჩნიათ! ამჟამად აზია უფრო მშობლიურია ქართველებისთვის, ვიდრე ევროპა! რაც შეეხება ეროვნების ცნებას — ევროპელმა ხალხებმა უკვე თითქმის დაკარგეს იგი, მას მერე, რაც ევროკავშირის კონგლომერატში გაერთიანდნენ. **შეხედეთ თუნდაც საფრანგეთს — სადღაა ფრანგი ერი?** საფრანგეთის ფეხბურთის ნაკრები, სადაც არაევროპული ჰაბიტუსის სპორტსმენები სჭარბობენ, ამისი ნათელი სახეა!

**თანამედროვე აზია რით არის თანამედროვე ევროპაზე ნაკლები? ამდენად, სრულიად მიუღებელია ევროპის განდიდება და, პარალელურად, აზიის მიმართ დამამცირებელი დამოკიდებულებების გაღვივება.**

გინდ ტრადიციებით, გინდ ეკონომიკური მიღწევებით აზიაში მდებარე ჩინეთი და იაპონია არცერთ ევროპულ ქვეყანას არ ჩამოუვარდება, პირიქით, აღემატება! **აზიელად თავი მიაჩნდა და აზიელობით ამაყობდა თვით სტალინი.** მახსენდება ისტორიული პასაჟი, როდესაც სტალინმა ერთ-ერთი ქვეყნის ლიდერი მნიშვნელოვან კომპრომისზე იოლად დაიყოლია მას მერე, რაც განუცხადა — ბოლოს და ბოლოს, ჩვენ, ორივენი, აზიელები ვართო! სააკაშვილი თუნდაც მარტო იმის გამოა ჩასაძაღლებელი, გორში სტალინის ძეგლი რომ დაამხო! სწორედ სტალინის ეპოქამ 70 წლით შეაჩერა პლანეტაზე უზნეობისა და უღმერთობის ბუმი.

პროევროპელების და პროამერიკელების მთავარი მიდგომა არის ხალხის რჩეულ ავტორიტეტებთან ბრძოლა, რადგან თავად ვერასოდეს იქცევიან ავტორიტეტებად, ვიდრე მეხსიერებაში გმირების სასახელო საქმეებია შემორჩენილი! ამაოდ ცდილობენ, ჭადრაკში **ნონა გაფრინდაშვილზე** მაგრებად გამოჩნდნენ, ჭიდაობაში — **ლევან თედიაშვილის,** ხოლო მეცნიერებაში — **ელიზბარ ჯაველიძის** მჯობებად. სამწუხაროდ, თანამედროვე ევროპა უზნეობისათვის გუნდრუკის მკმეველი გახდა და პირადად მე, **ოლეგ იაძეს,** არ მსურს, ჩემი ქვეყანა ამ სიბინძურის არეალში მოიაზრებოდეს!

*ესაუბრა* **ზაზა დავითაია**

**არის ასეთი აზრი! ★**

# რა საიდუმლოს

*პროფესორი* **სიმონ მასხარაშვილი** ***იმ წინამძღვრებსა და მიზეზებზე საუბრობს, რის გამოც ფაშისტური გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და პირადად ადოლფ ჰიტლერის დამოკიდებულება სტალინის პერსონისადმი რადიკალურად შეიცვალა და სულ მალე საბჭოთა კავშირს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა:***

— მას შემდეგ, რაც ფაშისტური გერმანიის სამხედრო დაზვერვის, ანუ „აბვერის“ შეფის, ადმირალ **ვილჰელმ კანარისის** სეიფი გატეხეს და ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის **ედვარდ ბენეშის** ხელით, 3 მილიონი საბჭოთა მანეთის სანაცვლოდ, სტალინს აგენტურული მასალები გადასცეს, აშკარა გახდა, რომ მარშალი **მიხეილ ტუხაჩევსკი,** სხვა შეთქმულებთან ერთად, ბელადის დამხობას გეგმავდა.

1937 წლის 22 მაისს საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, მარშალი **მიხეილ ტუხაჩევსკი** დააპატიმრეს... გერმანელების მიერ მოწოდებულ მასალებში იმდენად ნათლად იყო გამოკვეთილი და დადასტურებული ტუხაჩევსკისა და მისი გუნდის მავნებლობა, რომ პროკურორ **ანდრეი ვიშნევსკის** მხოლოდ ნახევარი საათი დასჭირდა მათი დანაშაულის დასამტკიცებლად. **მიხეილ ტუხაჩევსკი დამნაშავედ ცნეს და 1937 წლის 12 ივნისს დახვრიტეს!**

ახლა კი მოგახსენებთ **აგენტ „ვერტერის“** შესახებ, რომელიც შვეიცარიაში არსებული სადაზვერვო ცენტრიდან ზესაიდუმლო ინფორმაციებს პირდაპირ სტალინს აწვდიდა. მოგეხსენებათ, **„ვერტერი“** გოეთეს ცნობილი რომანის გმირის სახელია.

**— მაინც რა ინფორმაციები მიაწოდა აგენტმა „ვერტერმა“ სტალინს?**

— **„ვერტერმა“** სტალინს ზუსტი ინფორმაცია მიაწოდა კურსკის ბრძოლის დაწყებისა და ახალი გერმანული ტანკებისა და სხვა სამხედრო ტექნოლოგიების შესახებ. საერთო ჯამში საუბარია ისეთ ინფორმაციებზე, რომლის თაობაზეც გერმანიაში ოთხმა-ხუთმა კაცმა თუ იცოდა. რაღაც ეტაპზე **ვალტერ შელენბერგიც** და სხვებიც ვარაუდობდნენ, რომ შესაძლოა, „ვერტერი“ ყოფილიყო **მარტინ ბორმანი** — ჰიტლერის თანაშემწე და პირადი ხაზინადარი. დღევანდელი მონაცემებით, ეს ვერსია გამოირიცხა... სხვა ვერსიით, „ვერტერი“ შესაძლოა, იყო „გესტაპოს“ შეფი **ჰაინრიხ მიულერი,** მაგრამ ასეთ ინფორმაციებზე მას ხელი აშკარად არ მიუწვდებოდა. იყო საუბრები **ვილჰელმ კანარისზეც,** მაგრამ 1943 წლიდან ჰიტლერმა კანარისი მოისროლა და „ჩამოწერა“.

**გვაქვს სერიოზული ეჭვი, რომ აგენტი „ვერტერის“ უკან, რომელიც სტალინთან პირდაპირ ხაზზე იყო, ფაშისტური მესამე რაიხის უშიშროების მთავარი სამსახურის მეექვსე განყოფილების უფროსი, ბრიგადენფიურერი ვალტერ შელენბერგი იდგა,** რომელიც 1944 წლიდან, რაც **კანარისი** დააპატიმრეს, გერმანიის, როგორც პოლიტიკური დაზვერვის, ისე საგარეო დაზვერვის, ანუ „აბვერის“ მეთაური გახდა.

**— საიდან ასეთი სკანდალური დასკვნა?**

— **ვალტერ შელენბერგს** თავი ისე მოჰქონდა, თითქოს საშინელი ანტისემიტი იყო, არადა, ამ დროს ებრაელებთან მჭიდროდ თანამშრომლობდა და აგენტებად ხშირად სწორედ ებრაელები ჰყავდა. იგი თავის მემუარებში აშკარად ამჟღავნებს პროამერიკულ განწყობებს და ოცნებობს იმაზე, რომ გერმანიამ სწორედ ამერიკელებთან გააფორმოს სეპარატიული ზავი... მაგრამ მთავარი საიდუმლო, ჩვენი ღრმა რწმენით, პოპულარულ საბჭოთა ფილმში იმალება, რომელსაც **„გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“** ჰქვია. მოგეხსენებათ, ზუსტად 50 წლის წინათ, 1973 წელს, საბჭოთა კავშირში რუსმა კინორეჟისორმა **ტატიანა ლიოზნოვამ** გადაიღო 12-სერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“, რომელიც დოკუმენტურ მასალებსა და ფაქტებს ეფუძნება. **ფილმი გადაღებულია იულიან სემიონოვის ამავე სახელწოდების წიგნის მიხედვით.** ფილმში საბჭოთა მზვერავის **ისაევის, ანუ შტანდარტენფიურერ შტირლიცის** როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი **ვიაჩესლავ ტიხონოვი,** ხოლო ბრიგადენფიურერ ვალტერ შელენბერგის როლს — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი **ოლეგ ტაბაკოვი.**



**სიმონ მასხარაშვილი:**

## სტალინი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, ჰიტლერის ფიზიკური ლიკვიდაციის მიზნით სპეცოპერაცია ჩაეტარებინათ და ფიურერი მოეკლათ!

ფილმის სიუჟეტის თანახმად, გამოგონილი პერსონაჟი **შტირლიცი** საბჭოთა ხელმძღვანელობას ზუსტად იმ ხარისხის ინფორმაციას აწვდის, რა ხარისხის ინფორმაციასაც **აგენტი ვერტერი** უშუალოდ სტალინს აწვდიდა. ცნობისათვის, წიგნისა და ფილმის ავტორი **იულიან სემიონოვი** საბჭოთა „კაგებეს“ შეფს **იური ანდროპოვს** დაშვებული ჰყავდა ყველა საიდუმლო დოკუმენტაციაზე, რაც კი მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა აგენტურას ჰქონდა მოპოვებული. საინტერესოა ის ფაქტი, რომ არცთუ მაღალი წოდების მიუხედავად, ახალგაზრდა **შტირლიცი** ითავსებს საგარეო პოლიტიკური დაზვერვისა და „აბვერის“ შეფის თანამდებობას, ანუ **სემიონოვმა,** რომელსაც **ანდროპოვის** ნებართვით, ზესაიდუმლო მასალებზე წვდომა ჰქონდა, **შტირლიცი** არა „გესტაპოს“ შეფის **ჰაინრიხ მიულერის,** არამედ **ვალტერ შელენბერგის** მოადგილედ გამოიყვანა. **შტირლიცი** რა დონის ინფორმაციებსაც ფლობს, იმ დონის ინფორმაციას **ვალტერ შელენბერგის** არცერთი მოადგილე არ ფლობდა. აქედან გამომდინარე, ვიცნობ, რა **შელენბერგის** მემუარებსა და სხვა უამრავ ფაქტს, მიმაჩნია, რომ აგენტი **ვერტერი** სწორედ **ვალტერ შელენბერგი** იყო.

იულიან სემიონოვის მიერ შექმნილი **შტირლიციც** მენტალურად საოცრად ჰგავს **ვალტერ შელენბერგს.** აქედან გამომდინარე, გვაქვს სერიოზული ეჭვი, რომ **შტირლიცი** სწორედ **ვალტერ შელენბერგია!** როგორც ჩანს, მწერალმა **იულიან სემიონოვმა** „კაგებეს“ არქივებში ნახა უტყუარი ფაქტები **ვალტერ შელენბერგის** საბჭოთა „ენკავედეს“ აგენტობის შესახებ და რადგან ამის თაობაზე პირდაპირ ვერ განაცხადა, ფილმში ნართაულად მაინც მიანიშნა. თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ ციხიდან გათავისუფლების შემდეგ 42 წლის **შელენბერგი** ტურინში არ გარდაცვლილა და მოულოდნელად სადღაც გაქრა, შეგვიძლია, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ 1973 წელს, როცა „გაზაფხულის ჩვიდმეტ გაელვებას“ იღებდნენ, 60 წელს მიღწეული **შელენბერგი** ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და თავის აგენტურულ საქმიანობას აგრძელებდა. აქედან გამომდინარე, **შელენბერგის** ბოლომდე გაშიფვრა საბჭოთა „კაგებეს“ ხელს არ აძლევდა და **იულიან სემიონოვსა და ტატიანა ლიოზნოვას** ფილმი ისე გადააღებინეს, რათა ბოლომდე ყველაფერი არ გაცხადებულიყო. როგორც ვიცი, **ტატიანა ლიოზნოვას,** რომელსაც **არჩილ გომიაშვილთან** რომანი ჰქონდა, **შტირლიცის** როლი სწორედ გომიაშვილისთვის ჰქონდა გამიზნული, მაგრამ **ვიაჩესლავ ტიხონოვი** „ცეკაში“ წავიდა და ენა მიიტანა — **რუსი მზვერავის როლი ქართველმა რატომ უნდა ითამაშოსო?** ამის გამო კრემლმა **არჩილ გომიაშვილის** კანდიდატურა ჩააგდო.

**— ვალტერ შელენბერგის მემუარების თანახმად, 1936 წელს ჰიტლერი ზრუნავდა სტალინის უსაფრთხოებაზე და ბელადს აფრთხილებდა, რომ მიხეილ ტუხაჩევსკი და სხვა მოღალატე გენერლები საბჭოთა კავშირში გადატრიალებას აპირებდნენ! რამდე-**



**ისტორიკოსის თვალით ★**

# მალავს «გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება»?

**ნიმე წელიწადში ფაშისტური გერმანია თავს ესხმის იმავე სტალინს, ხოლო 1944 წელს იოახიმ ფონ რიბენტროპი მზადაა, გაწიროს თავი, ოღონდაც სტალინი მოკლას! რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, საიდან და როგორ ასეთი პოლიტიკური ფერისცვალება?**

— გეთანხმებით, რომ **ჰიტლერმა** და მთელმა მისმა ხროვამ **სტალინის** მიმართ პოზიცია შეიცვალეს და ბელადსა და საბჭოთა კავშირს სულ მალე სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ, მაგრამ სტალინის დამოკიდებულება ჰიტლერისადმი ყოველთვის უცვლელი იყო. აი, მაგალითად, ყველაზე კულმინაციურ მომენტშიც კი, როცა ზუსტად ვერავინ იტყოდა, თუ ვინ გაიმარჯვებდა მეორე მსოფლიო ომში, როგორც გერმანიის, ისე საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების ცნობით, სტალინი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, ჰიტლერის ფიზიკური ლიკვიდაციის მიზნით სპეცოპერაცია ჩაეტარებინათ და ფიურერი მოეკლათ!

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ სტალინს ჰიტლერის ფსიქოტიპი ზედმიწევნით კარგად ჰქონდა შესწავლილი და ზუსტად იცოდა, რომ,

**თუ ჰიტლერს მოკლავდნენ, ფაშისტური გერმანიის ხელისუფლების სათავეში მოვიდოდა ისეთი პიროვნება, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დიდ ბრიტანეთთან აუცილებლად იფიქრებდა სეპარატიული ზავის გაფორმებაზე. ეს კი საბჭოთა კავშირის ინტერესებში არანაირად არ შედიოდა.**

ამიტომ სტალინი მოწადინებული იყო, **ჰიტლერს** ეცოცხლა და თავიდან თმის ღერი არ ჩამოვარდნოდა მანამ, სანამ საბჭოთა არმია ბერლინში არ შევიდოდა!

**— ანუ სტალინი დარწმუნებული იყო, რომ ბერლინს აიღებდა?**

— დიახ, 1943 წლის 31 იანვრის შემდეგ, როცა გენერალ-ფელდმარშალ **ფრიდრიხ პაულუსის** მე-6 არმია სტალინგრადთან დანებდა და 300 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დატყვევებული აღმოჩნდა, სტალინს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ომს მოიგებდა და ბერლინს აიღებდა. შესაძლოა, ომი უკიდურეს შემთხვევაში კიდევ რამდენიმე წლით გახანგრძლივებულიყო, მაგრამ ბელადი გამარჯვებაში დარწმუნებული გახლდათ. ერთადერთი პიროვნება, რომელიც ბრიტანელებთან და ამერიკელებთან სეპარატიულ ზავზე არ წავიდოდა და საბჭოთა კავშირს, ფაქტობრივად, პირში ჩალაგამოვლებულს არ დატოვებდა, იყო სწორედ **ადოლფ ჰიტლერი.** ამიტომ ომის ბოლო წუთამდე ჰიტლერის უსაფრთხოდ ყოფნასა და სიცოცხლეს სტალინისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. **სტალინს ჰიტლერის აბსოლუტურად არ ეშინოდა.**

**— მაინც რა ფაქტორებმა განაპირობეს ჰიტლერისა და მისი ხროვის თავდაპირველი კეთილგანწყობის ცვლილება სტალინის პერსონისადმი?**

— საბჭოურ ისტორიოგრაფიაში **ნიკიტა ხრუშჩოვისა და ლეონიდ ბრეჟნევის** დროს ხალხს ატყუებდნენ, თითქოს 1939 წლის 23 აგვისტოს ჰიტლერმა **რიბენტროპის** ხელით იმიტომ გააფორმა საბჭოთა კავშირთან ე.წ. პაქტი, რომ მოედუნებინა კრემლის ყურადღება, რათა მერე ომი დაეწყო! **პირდაპირ ვიტყვი; ეს სისულელეა!** 1939 წელს ჰიტლერი ორ ფრონტზე ბრძოლას ნამდვილად არ აპირებდა, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა 1940 წელს... სხვათაშორის, არსებობს ასეთი რიტორიკაც — **„ჰიტლერი არ აპირებდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმას, მაგრამ 1939 წლის ნოემბერში ფინეთთან დაწყებულმა ომმა, რომელიც 1940 წლის მარტში დასრულდა, მას გაუღვივა ცდუნება, თავს დასხმოდა საბჭოთა კავშირს, რომელიც ფინეთს ძლივს მოერია!“** ესეც სისულელეა... ჯერ ერთი, **სტალინმა** ფინეთთან ომში დიდი მსხვერპლი ნამდვილად ნახა, მაგრამ, რაც უნდოდა, იმ მიზანს მიაღწია და ფინეთს ტერიტორიები წაართვა, რათა ლენინგრადი დაცული ყოფილიყო.

**— სხვათაშორის, იმასაც ამბობენ, თითქოს ფინეთთან ომში სტალინმა განგებ არ აჩვენა თავისი ნამდვილი ძალა, რათა გერმანია შეცდომაში შეეყვანა და საბჭოთა არმიის ბრძოლისუნარიანობაზე არასწორი წარმოდგენა შექმნოდა!**

— ესეც სისულელე და **სტალინის** მტრების მიერ შემოგდებული ხლართია, რაშიც თავადვე იხლართებიან! ფინეთი იმ ომში დამარცხდა და ტერიტორიები დაკარგა. ისიც ფაქტია, რომ ე.წ. **„მანერჰაიმის ხაზი“** სტალინმა გაჭრა, გაარღვია და ტყუილია ის, თითქოს **სტალინმა** ეს დაცული ხაზი ვერ გაანგრია. **ჰიტლერმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ფინეთთან ომი მიმდინარეობდა 40 გრადუს ყინვაში და სტალინმა ეს ომი არ გააგრძელა ერთადერთი მოტივით — არ უნდოდა, კონფლიქტში შესული საფრანგეთთან და ბრიტანეთთან!** წინააღმდეგ შემთხვევაში, 1940 წლის გაზაფხულ-ზაფხულში საბჭოთა კავშირი მთელი ფინეთის ოკუპაციას მოახდენდა და ქვეყანას „გააწითლებდა“.

ასე რომ, 1940 წლის თებერვლის მიწურულს ფინეთთან ომის გაჩერება გერმანიამ სტალინის სწორ დიპლომატიურ სვლად შეაფასა და არა სამხედრო წარუმატებლობად. მოგეხსენებათ, **ჰიტლერს** პოლონეთში სურდა მხოლოდ და მხოლოდ პომერანიის ის ხაზი, რომელიც გერმანიას კენიგსბერგთან დააკავშირებდა, მაგრამ გერმანიამ ვერაფრით მოახერხა ამ ხაზის ისე დაკავება, რომ საფრანგეთთან და დიდ ბრიტანეთთან საომარ მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყო. **სტალინმა** კი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კარელიის ყელი ფინეთს ისე წაართვა, რომ არც საფრანგეთთან, არც დიდ ბრიტანეთთან და, მითუმეტეს, არც ამერიკის შეერთებულ შტატებთან საომარ მდგომარეობაში არ შესულა. უფრო მეტიც, ფინეთთან ომის შემდეგ **სტალინმა** რუმინეთს ჩამოაჭრა ბუკოვინა და ბესარაბია, ხოლო 1940 წლის ზაფხულში ოფიციალურად შეიერთა „დასავლეთ უკრაინად“ და „დასავლეთ ბელორუსიად“ წოდებული ტერიტორიები. **ცნობისათვის, „დასავლეთ ბელორუსია“ დღევანდელი ბელარუსის ნახევარია.** საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამ ყველაფერს გერმანია უსიტყვოდ შეეგუა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის ამბავი, რომ 1940 წლის ზაფხულში ფაშისტური გერმანიის მოკავშირე რუმინეთისთვის ბუკოვინისა და ბესარაბიის ჩამოჭრის ფაქტს **ჰიტლერი,** ფაქტობრივად, პროტესტის გარეშე შეხვდა.

**— მაშ, რა გახდა ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მთავარი მიზეზი?**

— **ვალტერ შელენბერგის** მემუარების თანახმად, 1940 წლის მიწურულს გერმანიაში საბჭოთა კავშირის ელჩად დაინიშნა „სტალინის პირადი მეგობარი“ **ვლადიმერ დეკანოზიშვილი,** რომელიც „ენკავედეს“ მაღალჩინოსანი და ძალიან მაგარი დიპლომატი, უნიჭიერესი კაცი იყო. რა ინფორმაციასაც **დეკანოზიშვილი** ფლობდა, შესაძლოა, **სტალინისა და ბერიას** გარდა, პოლიტბიუროში ის ინფორმაცია სხვას არ ჰქონოდა, ხოლო, რასაც **დეკანოზიშვილი** ჰიტლერს ეუბნებოდა, გამორიცხული არ არის, ამის შესახებ თვით **ვიაჩესლავ მოლოტოვსაც** არაფერი სცოდნოდა.

1940 წლის ნოემბერ-დეკემბერში ვლადიმერ დეკანოზიშვილმა ჰიტლერს სტალინის წინადადება გადასცა — **გერმანიას უნდა დაეთმო პროგერმანულად განწყობილი ბულგარეთი და შეკრულიყო ტრიუმვირატი თურქეთის საკითხის გადასაწყვეტად!** კერძოდ, საბჭოთა კავშირს, ფაშისტურ გერმანიასა და ფაშისტურ იტალიას საერთო კონტროლი დაეწესებინათ დარდანელის სრუტეზე!

**— თურქეთის მიერ ოკუპირებული ქართული მიწების — ტაო-კლარჯეთის დაბრუნების საკითხი ამ შეხვედრაზე არ განიხილებოდა?**

— როგორც **ვალტერ შელენბერგის** მოგონებებიდან ჩანს, თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ მიწებს სტალინი გამუდმებით თავს დასტრიალებდა! **საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჰიტლერი სტალინის ამ კანონიერ მოთხოვნას არ ეწინააღმდეგებოდა, რადგან ყარსის ხელშეკრულება, რომელიც 1921 წლის 13 ოქტომბერს გაფორმდა, საერთაშორისო სამართლით უკანონოდ არის გამოცხადებული და ეს ჰიტლერმაც ძალიან კარგად იცოდა.** იგივე ეხებოდა თურქეთის მიერ მიტაცებულ ძველ სომხურ მიწებსაც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჰიტლერისთვის შეთავაზებული წინადადების თანახმად, **სტალინი** პრეტენზიას არ აცხადებდა ბოსფორსა და კონსტანტინოპოლზე. **დეკანოზიშვილის** წინადადება ჰიტლერმა არ მიიღო, რასაც თავისი ღრმა პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***







**„გვაქვს სერიოზული ეჭვი, რომ შტირლიცი სწორედ ვალტერ შელენბერგია!“**

**„ზუსტად 50 წლის წინათ, 1973 წელს, საბჭოთა კავშირში რუსმა კინორეჟისორმა ტატიანა ლიოზნოვამ გადაიღო 12-სერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება!“**

**„1943 წლის 31 იანვრის შემდეგ, როცა გენერალ-ფელდმარშალ ფრიდრიხ პაულუსის მე-6 არმია სტალინგრადთან დანებდა და 300 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დატყვევებული აღმოჩნდა, სტალინს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ომს მოიგებდა და ბერლინს აიღებდა!“**



# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## ყურმოკვრით მსმენია, რომ სტალინის თანამედროვეს, დიდ რუს მწერალ შოლოხოვს ბელადის სახელით დევნიდნენ. იმასაც ამბობდნენ, რომ მწერალმა სტალინთან შეხვედრას მიაღწია, რომლის დროსაც ეს გაუგებრობა ამოიწურა. იქნებ გვიამბოთ მათი ურთიერთობის და ამ შეხვედრის შესახებ?

ხელისუფლების მხრიდან **მიხეილ შოლოხოვის** დევნას მართლაც ჰქონდა ადგილი. მეტიც, მისი ფიზიკურად განადგურებაც კი სცადეს. თუმცა, **ი. სტალინს** ამასთან აბსოლუტურად არავითარი კავშირი არ ჰქონია.

საქმე ის გახლავთ, რომ **შოლოხოვი,** როგორც **„ანტისაბჭოთა“, „კულაკური“ რომანის „წყნარი დონის“** ავტორი, მაშინდელ მწერალთა კავშირსაც უშლიდა ხელს და მთელ პროპაგანდისტულ მანქანასაც. გარდა ამისა, თავისი როლი შეასრულა უნიჭო ლიტერატორთა შურმა მკაფიო, თვითმყოფადი ნიჭის მქონე დამოუკიდებელი ადამიანის მიმართ, რომელსაც სოცრეალიზმის პროკრუსტეს სარეცლის მოზომება არ სურდა. **1938 წელს** მწერლის დაპატიმრების ორდერიც კი გამოიწერა. **შოლოხოვი,** როგორც ყოველთვის, მაშინაც **როსტოვის ოლქის სტანიცა ვეშინსკაიაში** ცხოვრობდა და ის შინსახკომის ადგილობრივი სამმართველოს უფროსს, ვინმე **პოგორელოვს** უნდა დაეპატიმრებინა. მაგრამ ეს ჩეკისტი მწერლის დიდი თაყვანისმცემელი აღმოჩნდა და დიდი რისკის ფასად გააფრთხილა, თან ურჩია, **„სიმართლე მოსკოვში, სტალინთან ეძებნა“.** მწერალი ასეც მოიქცა და თავისი მეგობრის **ალექსანდრე ფადეევის** დახმარებით **სტალინთან** მიღებაზე მოხვდა. ამ ღირსშესანიშნავი შეხვედრის შესახებ მოგვიანებით თავად შოლოხოვმა მწერალ **ფ. ჩუევს** ასე უამბო: **„სტალინმა მე და ფადეევი დაგვსვა, თვითონ კი კაბინეტში დააბიჯებდა, იღიმებოდა, გარშემო გვიტრიალებდა და თითქოს რაღაცას ყნოსავდა. ბოლოს გვკითხა: „ბიჭებო, რას სვამთ?“ მართლაც, სტალინთან მოხვედრამდე რამდენიმე დღე გადაბმით ვსვამდით ფადეევის აგარაკზე. „ასეთი ცხოვრებისაგან დალევ, აბა, რას იზამ, ამხანაგო სტალინ,“ — ვუთხარი მე და მთელი ჩემი გასაჭირი ვუამბე. მან ყურადღებით მომისმინა, მაგიდასთან მივიდა, ბლოკნოტში რაღაც დაწერა, მერე კი ისევ გვკითხა: „რამდენ ხანს გადააბამთ ხოლმე ლოთობას?“ „ერთ კვირას, ამხანაგო სტალინ“, — წამოროშა ფადეევმა. „არა, ამხანაგებო, ასე არ ივარგებს, — გაეცინა სტალინს, — წინადადება შემომაქვს, პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით გაბმით სმა სამ დღემდე შევამციროთ, დარჩენილი ოთხი დღე კი რუსულ სიტყვიერებას მიუძღვნათ. აბა, შევთანხმდით?“ და ორივე ხელი გამოგვიწოდა. იმ დღიდან ჩემზე თავდასხმას ადგილი აღარ ჰქონია.“**





მეტსაც გეტყვით, **1941 წელს** გაიმართა ლიტერატურის დარგში **სტალინური პრემიებით პირველი დაჯილდოება.** პირველი ხარისხის პრემია სამ მწერალს მიენიჭა — **ალექსეი ტოლსტოის** ტრილოგიისათვის **„გზანი წამებისანი“, სერგეევ-ცენსკის „სევასტოპოლის ბრძოლისთვის“** და **შოლოხოვს „ანტისაბჭოთა“** რომან **„წყნარი დონისთვის“.**

**მაგრამ ამით ბელადის და მწერლის ურთიერთობის ამბავი არ მთავრდება. შოლოხოვმა** გამოარკვია, რომ შინსახკომში ის მწერალთა კავშირის ერთ-ერთმა მდივანმა დაასმინა და დერეფანში შეხვედრისას სახალხოდ სილა გააწნა. იმან, ბუნებრივია, ცკ-ში იჩივლა. რამდენიმე დღის შემდეგ სასტუმრო **„ნაციონალის“** ნომერში, სადაც **შოლოხოვი** ცხოვრობდა, ტელეფონის ზარი გაისმა. **სტალინის** თანაშემწე **პოსკრებიშევი** რეკავდა. **„ამხანაგმა სტალინმა დამავალა, გავარკვიო, მართალია თუ არა, რომ ამხანაგ სტავსკის სილა გააწანით?“ — მკაცრი ხმით ჰკითხა პოსკრებიშევმა. „მართალია, — ამოიოხრა ყურმილში მწერალმა, — იძულებული ვიყავი.“ ბელადის თანაშემწემ პასუხი მოისმინა და მცირე პაუზის შემდეგ მხიარულად უთხრა: „ამხანაგმა სტალინმა მთხოვა, გადმოგცეთ, რომ თქვენ სწორად მოიქეცით.“**

## ლეგენდარული მხედართმთავრის შვილს თემურ ფრუნზეს, ესპანელ კომუნისტთა ლიდერის დოლორეს იბარურის ვაჟს რუბენ იბარურის, სამოქალაქო ომის გმირების – პარხომენკოსა და ჩაპაევის შვილებს და სხვებს, ვინც სამამულო ომში თავი გამოიჩინა და ბრძოლაში დაიღუპა, მაღალი ჯილდოები მიანიჭეს, საბჭოთა კავშირის გმირის წოდების ჩათვლით. რატომ დატოვეს ჯილდოს გარეშე სტალინის ვაჟი იაკობ ჯუღაშვილი, რომელიც გმირულად იბრძოდა და გერმანელთა ტყვეობაში გმირულადვე დაიღუპა, განა ის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების ღირსი არ იყო?

რა თქმა უნდა, წითელი არმიის უფროსი ლეიტენანტი **იაკობ ჯუღაშვილი** ყველაზე მაღალ ჯილდოს იმსახურებდა, არანაკლებს (თუ მეტს არა), ვიდრე მამაცი მფრინავები რუბენ იბარური და თემურ ფრუნზე. მის მიერ ჩადენილი გმირობა უმაგალითოა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ტყვეობაში ყოფნისას, ჰიტლერელთა მხრიდან დარწმუნების, პროვოკაციებისა და პირდაპირი ზეწოლის მიუხედავად, ის არ დანებდა და ღალატს მოწამეობრივი სიკვდილი ამჯობინა. **იაკობ ჯუღაშვილი** ომის პირველ დღეებშიც ვაჟკაცურად ებრძოდა მტერს და, მრავალთა მოწმობით, ერთ-ერთი საუკეთესო მეთაური იყო. აი, რას წერდა გაზეთი **„კრასნაია ზვეზდა“** (თავდაცვის სახკომატის ორგანო) 1941 წლის 15 აგვისტოს ნომერში: **„ჭეშმარიტი გმირობისა და სამშობლოს ერთგულების მაგალითი აჩვენა ვიტებსკთან ბრძოლაში ბატარეის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა ი. ჯუღაშვილმა. გააფთრებულ ბრძოლაში მას უკანასკნელ ჭურვამდე არ მიუტოვებია საბრძოლო პოსტი და მტერს ანადგურებდა.“**

იმავე დღეს **სტალინმა** თავისთან მიიწვია გაზეთის მთავარი რედაქტორი **დ. ორტენბერგი** და, როგორც ეს უკანასკნელი შემდგომში მწერალ **კ. სიმონოვს** უყვებოდა, **„ტყავი გააძრო“. ორტენბერგი** თავს იმართლებდა, რომ ცნობა ფრონტის კორესპონდენტისაგან მიიღო და იფიცებოდა, არ ვიცოდი, **ლეიტენანტი ჯუღაშვილი** ბელადის შვილი თუ იყო.





რაც შეეხება ჯილდოს, ომის შემდეგ თანამოსაგრეებმა ასეთი წინადადებით რამდენჯერმე მიმართეს, მაგრამ **სტალინი** ყოველთვის უარს ეუბნებოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ **გენერალისიმუსმა** უარი თქვა, საკუთარი შვილი ტყვე გერმანელ ფელდმარშალზე გაეცვალა. აი, კიდევ ერთი, ნაკლებად ცნობილი ეპიზოდი. **პოტსდამის კონფერენციის დროს სტალინს** ახლომდებარე ზაქსენჰაუზენში, **იაკობის** გმირულად დაღუპვის ადგილზე გამგზავრება შესთავაზეს. **„აქ პირად საქმეებზე არ ჩამოვსულვარ,“** — მშრალად უპასუხა ამ წინადადებაზე გენერალისიმუსმა. სიკვდილის შემდგომმა ჯილდომ დიდი ბელადის მამაცი ვაჟიშვილი მხოლოდ **1977 წელს „იპოვა“.** სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი მიენიჭა. თუმცა, უდავოა, გმირის ვარსკვლავს იმსახურებდა.

## სტალინის ანტისემიტიზმზე ბევრს ლაპარაკობენ. არადა, უახლოეს გარემოცვაში რამდენი ებრაელი ჰყავდა. კაგანოვიჩი მისი მარჯვენა ხელი იყო. მაგრამ განსაკუთრებით მკაფიო მაგალითი, ჩემი აზრით, მეხლისია, სტალინის რჩეული, რომელსაც ბევრი რამ ეპატია, ქერჩის კატასტროფაც კი. გთხოვთ, უფრო დაწვრილებით გვიამბოთ ამ ადამიანის შესახებ.

**ლევ მეხლისი** (1889-1953), სტალინის ერთ-ერთი თანაშემწე **20-იანი წლების** დასაწყისიდან, **1930 წლიდან გაზეთ „პრავდის“** მთავარი რედაქტორი, **1937-1940 წლებში** წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, **1940 წლიდან** სსრკ სახკონტროლის სახალხო კომისარი (მინისტრი), ერთდროულად, **1941-1945 წლებში,** თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე. ომის წლებში რამდენიმე ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი, მათ შორის, ყირიმისა. სწორედ მისი და ფრონტის სარდლის, **გენერალ კოზლოვის** გამოისობით მოხდა ყირიმის ცნობილი კატასტროფა, რომელმაც ათიათასობით ადამიანის დაღუპვა და პოზიციების გერმანელებისთვის დათმობა გამოიწვია. ამბობენ, რომ ამ დამარცხების შემდეგ ბევრი მოითხოვდა **მეხლისისა** და **კოზლოვის** სამხედრო ტრიბუნალისთვის გადაცემას. თითქოსდა თავად **მეხლისი** ეახლა **სტალინს,** დანაშაული აღიარა და სთხოვა, მისი დახვრეტის ბრძანება გაეცა. **„რა გაეწყობა, რახან ასეთი თვითკრიტიკაა,“** — თქვა **სტალინმა** და... ყოფილ თანაშემწეს აპატია. **კოზლოვიც** იოლად გადარჩა — ის ფრონტის სარდლობიდან მოხსნეს და ჩამოაქვეითეს.







**სტალინისა** და **მეხლისის** ურთიერთობის შესახებ **მიხეილ ბუბენნოვმა** მოგვითხრო. ერთხელ ის, **ფადეევი და სხვა ლიტერატორები იძულებული შეიქნენ, სტალინთან** ეჩივლათ, რომ **მეხლისი** უხეშად ერევა მწერალთა კავშირის საქმეებში, ნორმალურად მუშაობის საშუალებას არ აძლევს მათ. **სტალინმა** ისინი მიიღო, მოუსმინა და უთხრა: **„ეს საშინელი ადამიანია — მეხლისი. რაც გინდათ, მთხოვეთ, მაგრამ მაგასთან ვერაფერს გავაწყობ. ჩემს თანაშემწედ მუშაობდა. ერთხელ შინამოსამსახურემ კრემლის ბინაში ლუმელების დანთება ვერ მოასწრო, სამუშაოზე დაიგვიანა, რადგან შინ რაღაც შემთხვევია. მეხლისმა იმწამსვე დაითხოვა, ქალი ჩემთან ატირებული მოვიდა და მეც სამსახურში აღვადგინე. მეხლისი ფეხდაფეხ მოჰყვა და მაგიდაზე ჩუმად დამიდო განცხადება. ვეკითხები, რაშია საქმე. მიხსნის, რომ, რადგან მე მისი ბრძანება გავაუქმე, ავტორიტეტი შეელახა და თანაშემწედ ვეღარ იმუშავებს. მე მის თვალწინ ვხევ განცხადებას და ვეუბნები — წადი, იმუშავე. მიდის, მეორე დღეს კი ისევ ბრუნდება და ახალი განცხადება მოაქვს — „ბევრი ვიფიქრე, ამხანაგო სტალინ, ასეთ პირობებში მუშაობა არ შემიძლია.“ ისევ ვაგდებ, მას კი მესამედ მოაქვს განცხადება. რაღა უნდა მექნა? იძულებული გავხდი, „პრავდაში“ გადამეყვანა. ახლა რომ შენიშვნა მივცე, ვშიშობ, ისევ გადადგომას მოითხოვს, მე კი ის ჯერჯერობით „პრავდაში“ მჭირდება“.**

ვფიქრობ, ეს ეპიზოდი თვალნათლივ გვიხატავს სტალინის „ანტისემიტიზმსაც“ და ადამიანებთან მის დამოკიდებულებასაც.

2023 წლის 13 ნოემბერი, №63 (231)

სარედაქციო კოლეგია

„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.



# იგორ კვესელავა: მერაბ კოსტავა ახალი დაპატიმრებული იყო, როცა პატრიარქსა და ზვიად გამსახურდიას შორის პირველი ღია კონფლიქტი დაფიქსირდა!




მერაბ კოსტავა

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №11-48*

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა მიიჩნევს, რომ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ბედი დიდად განსაზღვრა იმ დაპირისპირებამ, რომელმაც პატრიარქსა და ზვიად გამსახურდიას შორის თავი ჯერ კიდევ 1980 წელს იჩინა:***

— 2004 წელს, როცა ედუარდ შევარდნაძე ხელისუფლებიდან სულ ახალი გაშვებული იყო, მისმა ვაჟმა, **პაატა შევარდნაძემ** „თავისუფალ გაზეთში“ ასეთი რამ დაბეჭდა — *„სამწუხაროდ, მისი გარემოცვა ყოველნაირად ცდილობდა, მამასთვის არასწორი ინფორმაცია მიეწოდებინა. თუმცა, იმას ვერ ვიტყვი, რომ მან არ იცოდა, გარეთ რა ხდებოდა. მამას ყველასთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვინც მის გვერდით პოზიციაში იყო, მათაც კი გაყიდეს... ოპოზიციას ვინ ჩივის!“*

საერთოდ, ხროვა, რომელიც შევარდნაძის გარშემო იყო შემოჯარული, ერთადერთი პრინციპით გახლდათ შეკრული — დაეგროვებინათ მეტი და მეტი ქონება! არცერთ მათგანს შევარდნაძე არ უყვარდა... **როცა მათ შეატყვეს, რომ შევარდნაძე მიდიოდა და ედუარდი მათ საანდერძოდ არაფერს ტოვებდა, მაშინვე დაადგნენ ღალატის გზას და ედუარდს უღალატეს.**

**— განა შევარდნაძემ თავის გუნდსა თუ ხროვას ცოტა რამ უანდერძა?**

— ცხადია, შევარდნაძემ ბევრს მილიონები აშოვნინა, რათა თავად მილიარდები ეშოვა, მაგრამ, როგორც კი საქმე საქმეზე მიდგა, ედუარდსაც უღალატეს! **ამერიკელებმა შევარდნაძეს საქართველოს დანგრევა აცალეს და პოლიტიკური ასპარეზიდან მხოლოდ ამის შემდეგ გაიყვანეს.**

ამდენად, როცა შევარდნაძე გადადგა, საქართველო კი არ ინგრეოდა, დანგრეული იყო! ეს ყველაფერი იმის სადემონსტრაციოდ გავიხსენეთ, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ ვინ დგას შენს გვერდით. აი, მაგალითად, **გიორგი ჭყონდიდელი დავით აღმაშენებლის** გვერდით რომ არ ყოფილიყო, კაცმა არ იცის, საქართველოში პროცესები როგორ განვითარდებოდა.

**— მაშინ რა გამოდის, ხალხი, რომელიც მოსკოვში შევარდნაძესთან დაძვრებოდა, მხოლოდ ფულის შოვნის სურვილით იყო შეპყრობილი?**

— არავითარი სხვა განცდა და სურვილი მათ არ ამოძრავებდათ, გარდა ფულისა! ე.წ. „ელიტარული ინტელიგენცია“ **ზვიად გამსახურდიას** მხოლოდ იმიტომ დაუპირისპირდა, რომ კომუნისტების დროს, შევარდნაძის მიერ ფულზე, საჩუქრებსა და პრივილეგიებზე გაწუწკებულებს, ისევ უზრუნველად ეცხოვრათ და პირადი კომფორტი არ მოკლებოდათ! ესენი შევარდნაძესთან მოსკოვში დაძვრებოდნენ ფულისთვის, თორემ არავითარი აღმატებული და წმინდა იდეა მათ არ ჰქონიათ. არც **ედუარდ შევარდნაძე** ჩასულა მოსკოვში იდეის გამო, ედუარდს კრემლი მხოლოდ კარიერისა და პირადი კეთილდღეობისთვის აინტერესებდა. ამ მიზნის მისაღწევად შევარდნაძემ ყველა და ყველაფერი გაწირა, მათ შორის, უახლოესი მეგობრები და თვით სამშობლოც კი...

შევარდნაძე რასაც კი შეეხო, ყველგან ყველაფერი შებღალა და წაბილწა. აი, მაგალითად, შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ საქართველოში **„ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“** დაფუძნება დაკავშირებულია სწორედ საბჭოთა ხელისუფლებასთან. როგორც **„რუსთაველის საზოგადოება“** შექმნა კომუნისტურმა პარტიამ და ვითომ დისიდენტი **აკაკი ბაქრაძე** დანიშნა მის თავმჯდომარედ, სწორედ ისე საბჭოთა „კაგებეს“ ნომრიან აგენტს, პროფესორ **გურამ მამულიას**, რომელიც დღეს ცოცხალი აღარ არის, შეაქმნევინეს **„ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“**, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს შევარდნაძის „ჯიბის დისიდენტები“ — **თამრიკო ჩხეიძე და ზურაბ ჭავჭავაძე!**

1988 წლის ნოემბერში, ამ 35 წლის წინათ, შევარდნაძის ინსტრუქციით, სწორედ **„ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასა“ და გიორგი ჭანტურიას „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას“** დააწყებინეს პარლამენტის წინ შიმშილობა და **„ეროვნული მოძრაობა“**, რათა ის ადგილი ჭეშმარიტად ეროვნულ ლიდერებს — **ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას** არ დაეკავებინათ! კაგებეშნიკი პროფესორი **გურამ მამულია**, რომელმაც 1991 წლის შემოდგომაზე მოსკოვიდან თბილისში ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დასამხობად ფული ჩამოიტანა, **თავიდანვე არ მალავდა, რომ ზვიად გამსახურდია უნდა მოეკლათ!**

**— მაინც რას ამბობდა?**

— **გურამ მამულიამ** საჯაროდ განაცხადა — *„ზვიად გამსახურდიას განადგურება შესაძლებელია მხოლოდ მისი ლიკვიდაციით!“*

**— მამულიამ ამის შესახებ სად თქვა?**

— **გურამ მამულიამ** ეს დაწერა და უბედურება ის გახლავთ, რომ ამ სიტყვების გამო არც უნანია და არც ბოდიში მოუხდია! მახსოვს, როცა პროფესორმა **სოსო ცინცაძემ** დიპლომატიური აკადემია გახსნა, ერთ-ერთ შეკრებაზე, რომელსაც **გურამ მამულიაც** ესწრებოდა, მეც გახლდით. ბევრი დამემოწმება, რომ იმ შეკრებაზე წამოვდექი და მამულიას ვუთხარი — *თქვენ რომ ზვიადის შესახებ ამბობდით — თუ გვინდა, გამსახურდია გავანადგუროთ, უნდა მოვკლათო! — კარგი იქნება, ახლა ვინმე გამოვიდეს და თქვას — თუ გვინდა,* ***გურამ მამულია*** *გავანადგუროთ, ფიზიკურად გავუსწორდეთ და მოვკლათ-მეთქი?*

**— მერედა, რაო, გურამ მამულიამ, რა გიპასუხათ?**

— არაფერი, თავი ჩაღუნა და ხმა არ ამოუღია! ამას რომ ვამბობდი, ყველა გასუსული იყო. სხვათაშორის, ამ ინციდენტიდან ცოტა ხანში **გურამ მამულია** გარდაიცვალა. სინამდვილეში მამულია კი არ გარდაიცვალა, მოკვდა და თავის თავს განაჩენი თავად გამოუტანა. **ვაი, იმ ხელისუფლებას, გურამ მამულია და მისთანები რომ ეყოლება საყრდენად.**

სხვათაშორის, სწორედ **გურამ მამულიასა** და დანარჩენი კაგებეშნიკების ინიციატივით მოხდა ის ამბავი, რომ მოსკოვიდან საქართველოში ჩამოყვანილი **ედუარდ შევარდნაძე „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“** საპატიო თავმჯდომარეც კი გახდა... ამით საბოლოოდ დამტკიცდა და გაცხადდა, რომ ამ ორგანიზაციის უკან

*გაგრძელება მე-20 გვერდზე*



## „ზვიად გამსახურდიას იმედი ჰქონდა, რომ მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი, გაპატრიარქების შემთხვევაში, რუის-ურბნისის ახალ საეკლესიო კრებას ჩაატარებდა და ეკლესიას გაწმენდდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მოხდა!“





# იგორ კვესელავა:

# შევარდნაძემ ბევრს მილიონები აშოვნინა, რათა თავად მილიარდები ეშოვა, მაგრამ როგორც კი საქმე საქმეზე მიდგა, ედუარდსაც უღალატეს!



*დასაწყისი მე-19 გვერდზე*

დასაწყისი მე-19 გვერდზე

სინამდვილეში „კაგებე“ და ედუარდ შევარდნაძე იდგნენ...

საუბედუროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ „კაგებე“ და **ედუარდ შევარდნაძე** მფარველობდნენ საქართველოს დღევანდელ კათოლიკოს-პატრიარქსა და ეკლესიის უმაღლესი იერარქების მნიშვნელოვან ნაწილს. წლების წინათ, როცა სადოქტორო დისერტაციაზე ვმუშაობდი, „იმელის“ არქივში ვიპოვე ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც დათარიღებულია 1927 წლით. ჩემი სადოქტორო დისერტაციის თემა გახლდათ **„საქართველო 1921-1929 წლებში“...** ზემოხსენებული დოკუმენტის თანახმად, **ლავრენტი ბერია,** რომელიც მაშინ საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურების მაღალჩინოსანი იყო, საქართველოს ცეკას პირველ მდივანს **მიხეილ კახიანს** წერილს უგზავნის და პირდაპირ მიუთითებს — პატრიარქ **ამბროსი ხელაიას** გარდაცვალების შემდეგ ახალი პატრიარქია ასარჩევიო. პატრიარქის თანამდებობაზე რეკომენდაციას ვუწევთ **ქრისტეფორე მურმანისძე ციცქიშვილს,** რომელიც ჩვენი კაციაო!

მართლაც, **ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ,** რომელსაც მანგლელ და ურბნელ ეპისკოპოსად უწმინდესმა პატრიარქმა **ამბროსი ხელაიამ** დაასხა ხელი, 1926 წლის დეკემბერში ქუთაისში საეკლესიო კრება მოიწვია და საქართველოს ეკლესიის თავს დატეხილი უბედურების მიზეზად პატრიარქ **ამბროსი ხელაიასა** და საკათალიკოსო საბჭოს ანტისამთავრობო პოლიტიკა დაასახელა. ასე და ამრიგად, **ლავრენტი ბერიას** მიერ ინიცირებული კანდიდატურა — **ეპისკოპოსი ქრისტეფორე ციცქიშვილი** 1927 წლის 26 ივნისს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აკურთხეს!

## ამის შემდეგ საქართველოს უკლებლივ ყველა პატრიარქისა და მაღალი სასულიერო იერარქის კანდიდატურა საბჭოთა „ენკავედესთან“ და „კაგებესთან“ თანხმდებოდა!

**— ილია მეორის კანდიდატურაც „კაგებესთან“ შეთანხმდა?**

— რა თქმა უნდა! 1977 წელს **გამსახურდია** პირადად ეახლა საბჭოთა საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ალექსი ინაურს** და განუცხადა, რომ საქართველოს ეკლესიას გადაარჩენდა და იმ სიბილწესა და მამათმავლობას, რომელიც ეკლესიაში იყო გამეფებული, აღკვეთდა ერთადერთი პიროვნება — **ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი!**



**— ეს შევარდნაძის სურვილიც იყო?**

— ცხადია, ეს შევარდნაძის დასტურის გარეშე ვერ მოხდებოდა. ამიტომ იყო, რომ ერთხელ შევარდნაძეს, თავისი გაუნათლებლობისა და დაბალი ინტელექტის გამო პატრიარქის შესახებ წამოსცდა — **ამ კაცს მე დავაწყებინე მუშაობა, ამდენი წელია, თავის საქმეს აკეთებს და რას ერჩიანო?!** ე.ი. შევარდნაძეს ეგონა, რომ კათალიკოს-პატრიაქობა ისეთივე „სამუშაო“ იყო, როგორც, მაგალითად, ღვინის ქარხნის დირექტორობა და ა.შ.

**— თუ ზვიად გამსახურდიას ლომის წილი ჰქონდა მიტროპოლიტ ილია შიოლაშვილის პატრიარქად არჩევის საქმეში, მაშინ საქართველოს ისტორიის უაღრესად კრიტიკულ მომენტში რატომ დადგა პატრიარქი თუნდაც ჯაბა იოსელიანის გვერდით და რატომ აქცია ზურგი ზვიად გამსახურდიას?**

— თქვენი შეფასება უზუსტესია! **საქართველოს უახლეს ისტორიაში ძნელად მოიძებნება იმაზე უფრო საკვანძო და კრიტიკული ეპიზოდი, ვიდრე კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, ოპერის ბაღში „მხედრიონის“ მოშიშვლე ლიდერთან ჯაბა იოსელიანთან მისვლა, მისთვის სანთლების მიტანა, დალოცვა, შიმშილობის შეწყვეტისკენ მოწოდება, მხნეობის სურვება და თქმა — „ბატონო ჯაბა, თქვენ საქართველოს სჭირდებით!“**

მიმაჩნია, რომ პატრიარქის ამ სიტყვებმა მაშინდელ საქართველოში ბევრი რამ გადაწყვიტა და განსაზღვრა. აგენტურა, რომელიც ეკლესიაში იყო და არის, თავის შავბნელ საქმეს ყოველ დროსა და ეპოქაში აკეთებდა. აგენტურა იმის აგენტურაა, რომ საჭირო დროს წყალი უნდა აამღვრიოს! აგენტი ქვეყანაში ან ინსტიტუციაში შესაძლოა, სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით შემოაპარონ და ჩანერგონ. აი, მაგალითად, **საააკაშვილმა** საქართველოში ინგლისურის ენის უცხოელი მასწავლებლები რომ შემოიყვანა, მათ შორის ნახევარი მაინც სპეცსამსახურის აგენტი იყო. ერთ-ერთი ასეთი მასწავლებელი — გვარად **ფლეთჩერი,** რომელიც მერე „ასავალ-დასავალმა“ გარყვნილ ქმედებებში ამხილა და მართლაცდა სამარცხვინო სურათები გამოუქვეყნა, ერთ-ერთ ნადიმზე, რომელიც მარტვილში, სოფელ სალხინოს მამათა მონასტერში გაიმართა, სუფრაზეც კი იყო მოპატიჟებული. **ფლეთჩერი მაშინ სუფრასთან ნორმალურად იქცეოდა და ცუდი არავის არაფერი შეგვინიშნავს, მაგრამ მერე რა მოხდა და რამ გადარია, ვერაფერს გეტყვით!**



**— მოდით, საკითხი ცოტა გავამარტივოთ და შეკითხვა ასე დავსვათ — ზვიად გამსახურდიამ იცოდა, რომ ეკლესია სწორედ „ფლეთჩერებით“ იყო სავსე და პატრიარქსა და მას შორის განხეთქილების მიზეზი ეს ფაქტი გახდა?**

— ვიდრე **ილია მეორე** პატრიარქი გახდებოდა, **ზვიად გამსახურდიამ** ბევრ სასულიერო პირზე და შესაძლოა, მომავალ პატრიარქზეც უკეთ იცოდა, თუ რა ხდებოდა ეკლესიაში. **ზვიადი და მერაბ კოსტავა** სწორედ იმიტომ დაირაზმნენ მიტროპოლიტ **ილია შიოლაშვილის** გარშემო, რომ მასში ეკლესიის მხსნელს ხედავდნენ.

**— კი მაგრამ, რა იცოდნენ მათ, რომ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი ეკლესიას აუცილებლად გაწმენდდა?**

— არ ვიცი, ვინ, როგორ და რანაირად, მაგრამ **ზვიადსა და მერაბს** ეს აზრი ჩაუნერგეს და შთააგონეს. **ზვიად გამსახურდიას** იმედი ჰქონდა, რომ **ილია შიოლაშვილი,** გაპატრიარქების შემთხვევაში რუის-ურბ-

> **„1977 წელს გამსახურდია პირადად ეახლა საბჭოთა საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაურს და განუცხადა, რომ იმ სიბილწესა და მამათმავლობას, რომელიც ეკლესიაში იყო გამეფებული, აღკვეთდა ერთადერთი პიროვნება — ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი!“**

## კვირგვინოსნები

**ანა ჯაბაური**
*ცოტნე გამსახურდიას მეუღლე*



ცოტნე აქტიურად შემოდის კონტაქტში, **გამოხატავს ემოციებს, იცინის, ტირის.** ამ ყველაფერს ეპილეფსიური გახანგრძლივებული სტატუსის შემდეგ წელიწადზე მეტხანს ვეღარ ახერხებდა, **ლაპარაკის დაწყებასაც ცდილობს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია...** დიდი იმედი გვაქვს, რომ პროგრესი არ შეჩერდება. ამას ცოტნეს **თავის საკუთარ, მამაპაპისეულ სახლში დაბრუნებაც შეუწყობს ხელს,** როდესაც ამას მოვახერხებთ.

„კვირის პალიტრა“

**ედიშერ გვენეტაძე**
*ისტორიის დოქტორი, პროფესორი*



**ხატია დეკანოიძე** საკუთარი ქვეყნის **შეგნებული მოღალატეა.** ეს ოპოზიციონერი ქალბატონები — **წითლიძეები, აქუბარდიები, სამადაშვილები, სამნიძეები, დეკანოიძეები** და სხვანი კაბაში გამოწყობილი თანამედროვე **შადიმან ბარათაშვილები და ყორღანაშვილები** არიან, რომლებიც მტრებს მოუძღოდნენ, რათა საქართველო აეწიოკებინათ.

„საერთო გაზეთი“

**თამარ ჩიხურიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ნაცვლად იმისა, რომ დამნაშავე რეჟიმის დასჯა მოეთხოვათ, **თავს კოჰაბიტაცია მოგვახვიეს, რის შედეგადაც მკვლელები უფრო გადიდგულდნენ** და კვლავ ძალაუფლებისთვის ბრძოლა დაიწყეს.

„აიპრესი“

# „ზემოხსენებული დოკუმენტის თანახმად, ლავრენტი ბერია, რომელიც მაშინ საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურების მაღალჩინოსანი იყო, საქართველოს ცეკას პირველ მდივანს მიხეილ კახიანს წერილს უგზავნის და პირდაპირ მიუთითებს – პატრიარქ ამბროსი ხელაიას გარდაცვალების შემდეგ ახალი პატრიარქია ასარჩევიო. პატრიარქის თანამდებობაზე რეკომენდაციას ვუწევთ ქრისტეფორე მურმანის ძე ციცქიშვილს, რომელიც ჩვენი კაციაო!“


ლავრენტი ბერია


ამბროსი ხელაია – სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1921-1927 წლებში


ქრისტეფორე ციცქიშვილი – სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1927-1932 წლებში

ნისის ახალ საეკლესიო კრებას ჩაატარებდა და ეკლესიას გაწმენდდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მოხდა! სწორედ ამ მიზნით უტევდა ზვიადი პატრიარქობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო რეალურ კანდიდატს, მიტროპოლიტ **გაიოზ კერატიშვილს,** რომელსაც „ქვაბ-ავაზაკი“ უწოდა.

სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ **ილია მეორემ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას** იმედები აბსოლუტურად ვერ გაამართლა და ეკლესია ისევ „კაგებეს“ აგენტებისა და მამათმავლების თავშესაფრად დარჩა.

ცნობილია, რომ ციხიდან გამოსულმა **მერაბ კოსტავამ,** რომელსაც ეკლესიაში არსებული ვითარების შესახებ წვრილად მოახსენეს, თავი ვეღარ შეიკავა, მუშტი მაგიდაზე დაარტყა და დაიყვირა — **„მაშ, მე და ზვიადი ამისთვის ვეთრიეთ ციხეებსა და გადასახლებებში?!“** მერაბ კოსტავა ახალი დაპატიმრებული იყო, როცა პატრიარქსა და ზვიად გამსახურდიას შორის პირველი ღია კონფლიქტი დაფიქსირდა.

1980 წლის 6 მარტს ზვიად გამსახურდიამ, რომელიც ეკლესიაში ახალი რუის-ურბნისის კრების გამართვას ამაოდ ელოდა, **ილია მეორეს** ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

*„უკანასკნელ ხანებში, ჩვენს მრევლსა და საზოგადოებაში ზოგიერთი უღირსი ადამიანის მიერ გავრცელდა ყალბი ხმები, თითქოს მე თქვენ გებრძვით რაღაც კერძო ინტერესით, თითქოს მე თქვენი „მტერი“ ვარ და ა.შ. სინამდვილეში კი მე თქვენ როდი გებრძვით, არამედ ვებრძვი ჩვენი სამღვდელოების რიგებს შეპარულ მამათმავლებს, გამომძალველებს, მექრთამეებს და სხვა უმსგავსობათა მოქმედ ადამიანებს. თქვენ კარგად გახსოვთ, რომ ყოველივე ამას მე ვებრძოდი ჯერ კიდევ 1967 წლიდან, ე.ი. იმ პერიოდიდან, როდესაც საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ეს მანკიერი მოვლენები სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ჩვენს ეკლესიას. ამავე მიზეზით იყო გამოწვეული ჩემი ბრძოლა* ***ბიძინა კერატიშვილთან*** *(ყოფილ „მიტროპოლიტ გაიოზთან“) და არა სხვა რაიმე ინტერესით. ამჟამად, მე მოგიწოდებთ თქვენ, ჩვენი ეკლესიის მამამთავარს, ებრძოლოთ ამ საგანგაშო მოვლენებს. მე მოვუწოდებ აგრეთვე ყველა ქართველს, ვინც თავისი ერისა და ეკლესიის ღირსებას პატივს სცემს, ამხილოს ეკლესიაში შემოხიზნული ქვაბ-ავაზაკნი და მამათმავალნი, ვიდრე საბოლოოდ არ განიწმინდება მათგან ჩვენი ეკლესია. საჭიროა, აგრეთვე მხილება იმ პირთა, ვინც ანგარებით თუ სხვა მიზნებით ხელს აფარებენ ქვაბ-ავაზაკებს და მამათმავლებს და ამით, ფაქტობრივად, მათი დანაშაულის თანამონაწილენი ხდებიან!“*

**— რა პასუხი მიიღო ამ წერილზე ზვიად გამსახურდიამ?**

— 1980 წლის მარტში, როგორც ჩანს, **ზვიად გამსახურდიას** პასუხი არ მიუღია, მაგრამ 1983 წლის 28 ივნისს მან პატრიარქისგან პასუხი ყველა იმ წერილის სანაცვლოდ მიიღო, რომელიც მან **ილია მეორეს** გაუგზავნა. პატრიარქმა გამსახურდიას, ფაქტობრივად, „კაგებეში“ უჩივლა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოში **ბიჭი შალვას ძე მაისურაძეს** ასეთი საჩივარი გაუგზავნა:

*„მოგახსენებთ, რომ მოქალაქე ზ.კ. გამსახურდია იდენს მოქმედებას, რომელიც არ შეეფერება საბჭოთა მოქალაქეს. იგი ლანძღავს სამღვდელოებას და ეკლესიას, რაც დაუშვებელია სსრკ კონსტიტუციით. ამასთან ერთად წარმოგიდგენთ მის მიერ წარმოდგენილი დეპეშის ასლს. გთხოვთ, მიიღოთ შესაფერისი ზომები მსგავსი ბოროტმოქმედების აღსაკვეთად!“*

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ რატომ გიკვირთ, რომ პატრიარქმა ოპერის ბაღში მოშიმშილე **ჯაბას** მიაკითხა და გაამხნევა — თქვენ საქართველოს ჭირდებითო! ხოლო ზვიად გამსახურდიას არ მიაკითხა და როცა თბილისში გადატრიალება დაიწყო, საპატრიარქოს კარი ეროვნული ხელისუფლების გადასარჩენად ჩაიკეტა?!

**— როგორ ფიქრობთ, პატრიარქს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების გადარჩენა შეეძლო!**

**— პატრიარქს ყველაფერი შეეძლო!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***


გურამ მამულია


თამრიკო ჩხეიძე


ზურაბ ჭავჭავაძე

**„როგორც „რუსთაველის საზოგადოება“ შექმნა კომუნისტურმა პარტიამ და ვითომ დისიდენტი აკაკი ბაქრაძე დანიშნა მის თავმჯდომარედ, სწორედ ისე საბჭოთა „კაგებეს“ ნომრიან აგენტს, პროფესორ გურამ მამულიას შეაქმნევინეს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს შევარდნაძის „ჯიბის დისიდენტები“ — თამრიკო ჩხეიძე და ზურაბ ჭავჭავაძე!“**

## კვირგვინოსნები

**ლადო პაპავა**
*აკადემიკოსი*



დიდი იყო ცდუნება და ზეწოლაც, რომ **საქართველო ჩართული იყო საომარ მოქმედებებში.** ეს განცხადებები ისმოდა და დღემდე ისმის კიევიდან. ჩვენი ხელისუფლების **ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო სწორედ ის, რომ მშვიდობა შევინარჩუნეთ.**

„კვირის პალიტრა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ექსპერტი*



ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ხელისუფლების არა სრულად შეცვლა, არამედ **კოალიციური ხელისუფლების ჩამოყალიბება.** თუ კვლავ დავრჩებით **ორპოლუსიან გარემოში,** ეს შეიძლება, დასრულდეს **სამოქალაქო დაპირისპირებით.**

„კვირის პალიტრა“

**სოსო შაბერაშვილი**
*„მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე*



ოპოზიციას დიდი დაფინანსება და საინფორმაციო მხარდაჭერა აქვს **სამი ტელევიზიიდან, რომლებიც დილიდან საღამომდე შხამს აფრქვევენ. ამ ტელევიზიების სარჩენი ფული საქართველოში კანონდარღვევით შემოდის.**

„საერთო გაზეთი“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტფსიქოლოგი*



ჩვენს პარლამენტში **ქალის უფლებებს პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით იცავენ** და არა იმიტომ, რომ **ქალის უფლებები** აწუხებთ. **თეა წულუკიანს** წინ რომ გაუკრეს უწმაწური გამონათქვამი რუსულად, **ეს არ იყო ქალის შეურაცხყოფა?** სანამ **სალომე ზურაბიშვილი** „ქართული ოცნების“ ფიგურად იყო აღქმული, **არ გახსოვს, რა შეურაცხყოფას აყენებდნენ?** ვინმემ მათი შემადგენლობიდან **ქალის დაცვის სურვილი** გამოხატა?

„კვირის პალიტრა“

# მო გელა ნდებით!



**მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად**

# რეპლიკა აშშ-ში მოწანწალე მამუკი ხაზარაძეს!


მამუკა ხაზარაძე Mamuka Khazaradze is in New York, NY, United States.
5 m ·
ნიუორკში მატარებელზე გვაგვიანდებოდა, ზაზამ წარმოშობით ღებიდან მოგვიყვანა, თანხა არ გამომართვა, ერთი მუჭა ქართველები ვართო...
ჩვენი მეგობრობა ასე დაიწყო..






**ბატონო მამუკი,** აშშ-ში რომ დარბიხართ — ემიგრანტებს უნდა შევხვდე, მათი დახმარებით არჩევნები მოვიგო და „ქართული ოცნება“ ხელისუფლებიდან გავუშვაო, ცოტა ალაოდ ხომ არა ბრძანდებით?

**განა ემიგრანტების დიდი ნაწილი ამ ქვეყნიდან სწორედ თქვენი ვალების გამო არ გაიქცა?**

**განა უამრავი ადამიანი თქვენმა ბანკმა არ გააუბედურა თავისი უმაღლესი პროცენტებით?**

სად დადიხართ? რას დადიხართ? რას დაეხეტებით, რას დაწანწალებთ?

ამოგიჩემებიათ — ბიძინა ივანიშვილი უნდა დავამარცხო-ვო. **ვინც ეგ მოინდომა, ყველა გაგიჟდა, ჭკუიდან გადავიდა, ზოგი „ვივამედში“ წევს, ზოგი ტატრაყუნა დარბის, ზოგი კიდე ქუჩაში თავის თავს ელაპარაკება.** ვერ დაამარცხებთ, არ ხართ თქვენ ის კაცი, ბიძინა ივანიშვილს ბუზი აუფრინოთ. კიდე ჩამოვთვალო მიზეზები? **მერაბ კოსტავაც ვახსენო? სააკაშვილის ზეობის ხანაში რეებს აკეთებდით, ისიც ვთქვა?**

☺

გიხარიათ — **ნიუ-იორკში ღებელმა ტაქსისტმა მიცნო და თანხა არ გამომართვაო...** მე მეგონა, ერთ-ორ ათას დოლარს აჩუქებდით და ეტყოდით, ისედაც ერთი მუჭა ქართველები ვართო. საქართველოდან გადახვეწილმა ორიოდე გროში არ გამოგართვათ და ნასიამოვნები როგორღა დარჩით?

**თქვენს ბანკში ადამიანმა პროცენტის შემოტანა 5 წუთით რომ დააგვიანოს, ეგრევე ჯარიმას აწერთ, აღარაფერს ვამბობ სხვადასხვანაირ ჩათლახობებზე, რატომ აკეთებთ ამას, ერთი მუჭა ქართველები რომ დავრჩით, იმიტომ?!**

☺

მოკლედ, ბატონო მამუკი, რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

**თქვენ ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ მაშინ დაამარცხებთ, როცა ჩუტრუკი ხეზე გავა და „შალახოს“ იცეკვებს.**




2024 წელს არჩევნები უნდა მოვიგოთ და ეს ხელისუფლება გავუშვათო... თორემ, რაც არ უნდა მოგვცენ — გინდა — სტატუსი, გინდა — ფაჩუჩი, ფასი და მნიშვნელობა არ ექნება პრორუსული ხელისუფლების ხელშიო, — ამოახველა **პოლიტიკის ობოლ ხიდზე მიმავალმა ბობოხიძემ.**

☺

გაიგონეთ? — **პრორუსული ხელისუფლება უნდა გავუშვათ და პროევროპელები კიდე მოვიდეთო... მეო, ბოკერიაო, ჩერგოვო, ისაო, ესაო, ჩვენაო, ევროპიული ორიენტაციისანიო.**

**„აყაყიმ“** თქვა, კაცო, მხედრიონელმა **„აყაყიმ“**, 2007 წლის ამ დროს დარბევას პარლამენტის ფანჯრიდან რო უყურებდა და მუცელი ხელით ეჭირა.

☺

ახლა უყურეთ — **აყაყი მაშინ მოვა ხელისუფლებაში, როცა პაპაჩემი დაბრუნდება მეორე მსოფლიო ომიდან...** გამოდის, სტატუსის მიღების თარიღი კაი ხნით უნდა გადავწიოთ.

თუმცა, არ გამოვრიცხავ, პაპაჩემი მართლა დაბრუნდეს მეორე მსოფლიო ომიდან, მაგრამ **„აყაყი“** მაინც ვერ მოვა ხელისუფლებაში, რადგან არც ჰაბიტუსი უწყობს ხელს, არც გამომეტყველება, არც მიხვრა-მოხვრა და გოდორივით თავი კიდე მარტო ბალიშზე დასადებად უნდა.

☺

იცით, რაზე ვხითხითებ?

ამათ ველარ გაიგეს, რომ მატარებელმა, რომელშიც ესენი ისხდნენ, კაი ხნის წინ, 2012-ში ჩაირბინა. მაინც თავის **ამპლუაში** არიან. **ბოდიში, ამპულა უნდა მეთქვა!**

# „ნაცებს“ 18-მეტრიანი ავტობუსების ნაცვლად 25-სანტიმეტრიანეზი რომ შევთავაზოთ, ვერა?



2024 წლიდან თბილისს **18-მეტრიანი** ავტობუსებიც ეყოლება. 160 ასეთი ავტობუსი ჩვენი დედაქალაქისთვის შვება იქნება. **კახა კალაძე** თავის თანამშრომლებთან ერთად მიუნხენში ჩავიდა და ამ საკითხს აგვარებს. თუმცა, „ნაცებს“ მაინც არ უხარიათ — **18-მეტრიანი რა ამბავიაო?** განა ამსიგრძე ავტობუსები ქართული დემოკრატიისა და პლურალიზმის ხარისხზე უარყოფითად არ აისახებაო? ეგ რომ საჭირო იყოს, ევროპარლამენტარები **12-პუნქტიანის** ნაცვლად **13-პუნქტიან** გეგმას მოგვცემდნენო!

**ეგეც რომ არ იყოს, რუსული ავტობუსები რათ გვინდაო?**

ჰო, გერმანიიდან კი ჩამოჰყავთ, მაგრამ საქართველოში **რუსულად** იმოძრავებენო, მძღოლებიც **რუსები** იქნებიან და მგზავრებიცო...

შემოვდივარ წინადადებით — **„ნაცებს“, „გნაცებს“, „შმაცებსა“ და მათთან გათანაბრებულ პირებს შევთავაზოთ 25-სანტიმეტრიანი.**

არა, ის არა, რაც თქვენ იგულისხმეთ, ეგ მაგათთვის ბაირამობა იქნება. აი, შევთავაზოთ, მაგალითად, **25-სანტიმეტრიანი** ჯოხი. პრინციპში, „ჟუვაჩკაც“ შეიძლება, რათა გაწელონ.

## კვირგვინოსნები

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



ყველა, ვინც ცდილობს, რომ თავისი ვიწრო მიზნებისთვის **წარმომადგინოს „დავრდომილ“ ადამიანად, რომელიც ვერ აცნობიერებს ბოლომდე, თუ რას აკეთებს,** ძალიან მწარედ ცდება. სულიერად არასდროს ვყოფილვარ უფრო მტკიცედ, ვიდრე ახლა და **სრულიად ნათლად ვხედავ ჩემი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბრძოლის მიმართულებას.**

„რეზონანსი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილი** ხედავს, რომ **ძველ სახეებს ავტორიტეტი არ აქვთ,** არც **სოფო ჯაფარიძეს,** რომელიც მისი დავალებით, **კბილებს აცლიდა საზოგადოების დიდ ნაწილს** და ასეთი არაჰოლივუდური ღიმილით დატოვეს.

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



**მიხეილ სააკაშვილმა** თავად მისივე განცხადებაში აბსოლუტურად არაორაზროვნად განაცხადა, რომ **ნაციონალური მოძრაობის ლანძღვაგინებას პარტიის შიგნიდან უნდა მორჩნენ.** ვის ეხებოდა ეს წინადადება? — დარწმუნებული ვარ, **ნიკა მელიას,** რადგან მთელი ამ თვეების განმავლობაში ის საუბრობს „პოსტივის“, „იმედის“ და **კობახიძის და ღარიბაშვილის** ენით.

„აიპრესი“

**ბექა დავითულიანი**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილი თანაგუნდელებს აღარ ენდობა** — რაღაც მომენტში გონება გაუბრწყინდა და მიხვდა, რომ **არავითარი რესურსი ამ ხალხს არ აქვს,** მეორე დღეს ისევ დაუბნელდა და თქვა, რომ **ისევ მელიას ენდობა და დიდ ძალად მიიჩნევს.**

„ინტერპრესნიუსი“



**ზურაბ გირჩი ჯაფარიძის ფეისბუქ-პოსტი ლაზარე გრიგორიადისის შესახებ**




# ლაზარეს წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების შემადგენლობაშიც მიგვიღებენ!

ამ ბიჭმა ევროკავშირის წევრობის საკითხს საფუძველი ჯერ კიდევ მაშინ ჩაუყარა, როცა საკუთარი მამა **პირდაპირ კოზლაში** დაჭრა და მამამაც **პირდაპირ პოლიციაში** უჩივლა.

ზოგიერთი ტანკდასერილი მამა საკუთარ შვილს ხელს დააფარებდა და იტყოდა, მთაწმინდიდან რო დავეშვი, სოლოლაკში ეკალბარდებს წამოვეგეო, მაგრამ **ბატონი ქესტუმა** ევროპიულად გაისარჯა — საკუთარი შვილიც კი არ დაინდო და კანონის უზენაესობას შესწირა!

☺

ესე იგი, მამას რო გამოჭრა ტრალი-ვალი, ხომ ჩაუყარა საფუძველი ჩვენს ევროპიულ მომავალს, მერე კიდე პოლიციელებს **მოლოტოვის კოქტეილები** დაუშინა და აგი მომავალი განავითარა — **ჯერაც ბალღმა არ დაუშვა რუსული კანონის მიღება.**

აბა, ჩავუკვირდეთ, მეგობრებო, რომელმა თქვენგანმა გააკეთა ამდენი ჩვენთვის? ჩვენი შვილებისთვის? მომავალი თაობებისთვის? აკი, მიხვდა ამას ყველაზე უწინ **გამოგვირჩეული ზურაბიც,** რომელიც პირდაპირ პალატაშია დასაწვენი. ისე კი, მაგას ფსიქიატრთან ერთად ლოგოპედიც სჭირდება, თორემ მედპერსონალი ვერაფერს გაიგებს, რა უნდა და რის თქმას აპირებს. **გამოდის, რომ თუ მოლოტოვის კოქტეილებს უფრო ინტენსიურად გავისვრით, არათუ ევროკავშირში, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების შემადგენლობაშიც შეიძლება მიგვიღონ!**



# ცოცამს და ჰკროცამს!




ხან ვიტყვი ხოლმე — ამ ყვავზე აღარაფერს დავწერ, ბოლობოლო, თავის „ამპულაშია"-მეთქი, მაგრამ არ გამოდის! არადა, თვითონაც რომ არ ისვენებს, ყოველდღე რაღაცას აფუჭებს და საკმარისია, სადმე **„პუწიოვკის" გარეშე გაცოცდეს,** ეგრევე ავაზაკობს!

ხო გამააცხადა, პარიზში მივდივარო? ვიფიქრე — ამჯერად მაინც მისცეს ნებართვა-მეთქი. თურმე, არ მიუციათ, პირდაპირ **დაადო თავი და წავიდა,** მაგრამ იმასაც ხო დიდი მნიშვნელობა აქვს, სად რას ილაპარაკებს?

☺

„ფრანს 24"-სთვის ინტერვიუ მიუცია და, იცით, რეებსა **ჰკროცამს?**

ხელისუფლება არ იყო მოწოდების სიმაღლეზე, რათა ვალდებულებები შეესრულებინაო.

**გაიგონეთ?**

**მაშინ, როცა საქმე საქმეზეა მიმდგარი, ევროპის გასაგონად იძახის, ხელისუფლება მოწოდების სიმაღლეზე არ იყო, არაფერიც არ გაუკეთებიაო.**

თან ხელისუფლებას ისე ახსენებს, გეგონება, თვითონ ხელისუფლების ერთ-ერთ შტოს არ წარმოადგენდეს.

☺

ისაო... ჩვენ რომ კანდიდატის სტატუსს გვაძლევენ, უკრაინის დამსახურებაა, ლოკომოტივი ეგ იყო-ვო.

**წარმოგიდგენიათ?**

**უკრაინა, რომელმაც პირველივე დღეებიდანვე ომი გამოგვიცხადა, რანაირად იყო ლოკომოტივი?**

პრინციპში, როცა მთვრალი ხარ, ლოკომოტივად შეიძლება, უკრაინაც მოგეჩვენოს, ანგოლაც და ვანუატუც, რა პრობლემაა? ამ შემთხვევაში ყველაფერი დამოკიდებულია კონიაკის ხარისხსა და გუნება-განწყობილებაზე, ანუ აღქმაზე.

ისე, რაღა დაგიმალოთ და... ხშირად მგონია, რომ ეს ყვავჩიტა კონსულტაციებს **ჩაჯვი ბგარამიასთან** გადის და ადრე თუ გვიან **პოლიტიკის უნიტაზთან** მიცოცდება.

## სხვათაშორის, მაინტერესებს, პლეზიდანი ფრანგულადაც ისევე ლაპარაკობს, როგორც ქართულად თუ უფრო უკეთესად ჰკროცამს?

# სხვა რამე რომ მოგცეთ, არა?

ამათ უთქვამთ — „ქართული ოცნება" ცხრა პირობის შემსრულებელი არ არი, ამიტომ **მოგვეცით** შესაძლებლობა და ცხრავე პირობას ყოველგვარი პრობლემის გარეშე უმოკლეს ვადაში შევასრულებთო.

☺

რა, არ გჯერათო?

როცა ხელისუფლებაში ვიყავით, ყველაფერი არ შევასრულეთო?

**რა, ორი ომი არ გადავიტანეთო? ორივეში გამარჯვებულები არ გამოვედითო? ორჯერვე პუტინს ნიღაბი არ ჩამოვხსენითო?**

**რა,** რუსებს გაპარტახებული ე.წ. სტრატეგიული ობიექტები ძალით არ შევტენეთო?

**რა, 170 სოფელი რო ეგონათ, სინამდვილეში ქვების გროვა არ გავატანეთო?**

**რა,** კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი არ დავარქვით და ეგეც არ შევტენეთო?

**ეეეჰ... შესატენი და გასატანებელი ჯერ კიდევ ბევრია, მოგვეცით საშუალება და ყველაფერს უმოკლეს ვადაში მოვაყომარებთ, საქართველოს ხაშურიდან სიღნაღამდე შევამცირებთო.**

☺

ერთი ნახეთ, როგორი გაეშმიშებული სახეები აქვთ, იმედოვნებდნენ, ევროკავშირი ამათ კანდიდატის სტატუსს არ მისცემს და ეგრევე ავწევთ აქციებსო. ახლა ამტკიცებენ — ეს ხელისუფლება არაფრის შემსრულებელი არ არისო.

გახსოვთ? აგვისტოში იძახდნენ, ძაან ცხელი სექტემბერი იქნებაო... ახლა იმედს ცხრა პირობის შეუსრულებლობაზე ამყარებენ. **ამასობაში... მოადგათ კარზე არჩევნები და დაიწყო ამათი ყოფის ატირება.**

ჰა, ჰა, ჰა!

**საშუალება მოგვეცითო... სხვა რამე რომ მოგცეთ — არა?!**

## კვირგვინოსნები

**რომან გოცირიძე**
*„ევროოპტიმისტების" წევრი, პარლამენტარი*



**სააკაშვილის** განცხადება **ახალ სახეებზე** არ ნიშნავს, რომ მან პარტიის **„ძველ გვარდიას"** ხაზი გადაუსვა — **ნაციონალურ მოძრაობას გადატვირთვა სჭირდება,** რაც მალე დალაგდებიან, მით უკეთესი. „ინტერპრესნიუსი"

**ვიქტორ ჯაფარიძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*



**მიხეილ სააკაშვილის საავადმყოფოში გადაყვანა შეცდომა იყო.** ეს კაცი არის დაბადებული იმისთვის, რომ ქვეყანა ამყოფოს გაუგებრობაში, ტერორში, უბედურებაში. **გადასაყვანია ციხეში!** „ინტერპრესნიუსი"

**ლაშა ფარულავა**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



პირადად მე ვარ **მიხეილ სააკაშვილის პარტიაში** „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში" — **ეს პარტია არის სააკაშვილის** და მისი პოლიტიკური მემკვიდრეობა არის ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი. „იმედინიუსი"

**მურმან დუმბაძე**
*პარტია „ემსახურე საქართველოს" დამფუძნებელი*



თუ ჩატარდა 2024 წლის არჩევნები და **პარტიული სიები დაიწერება,** ეს სიები იქნება **დედაქალაქის სიები** — კარაქიან პურზე გაზრდილი ხალხი ჩაეწერება. „პირველი არხი"

**ზურაბ ჭიაბერაშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**ნაციონალური მოძრაობა ვაცხადებთ, რომ,** სტატუსის საკითხის გადაწყვეტის პარალელურად, **აუცილებელია პრეზიდენტ სააკაშვილის გათავისუფლება.** „პირველი არხი"

**გიგი უგულავა**
*თბილისის ყოფილი მერი*



**სალომე ზურაბიშვილმა,** რომ გახდეს რეალური პრეზიდენტი, **უნდა შეიწყალოს მიხეილ სააკაშვილი.** „TV პირველი"

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №48*

***ძველი ჩინური ტრადიციის თანახმად, ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემების სათავე კუჭ-ნაწლავია. საკვები პირის ღრუდან სწორ ნაწლავამდე დიდ და რთულ გზას გადის. დროთა განმავლობაში ამ გზაზე სერიოზული პათოლოგიები ჩნდება, რაც სიცოცხლისთვის საშიშია. პირის ღრუდან დაწყებული, ყელის, საყლაპავი მილის, კუჭისა და ნაწლავების ანთებითი პროცესები არცთუ იშვიათად კიბოში გადაიზრდება. ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, რომ ხშირი „იზჟოგა“, კუჭის ეროზია, გასტრიტი და წყლული, რეალურად, კიბოს სტადიებია:***



## „კომბოსტოს მწნილი შეიცავს რძემჟავა ბაქტერიების ერთ-ერთ სახეობას – ლაქტობაცილას, რომელსაც უძლიერესი ანთების საწინააღმდეგო და ანტისიმსივნური თვისებები გააჩნია!“



## კახა საბახტარიშვილი:

# კიბო იწყება იქ, სადაც კუჭის მჟავიანობა დაბალია!

— ადამიანის ორგანიზმში ლორწოვანი გარსი თითქმის ყველგან გვხვდება. ეს არის სპეციალური უჯრედების თხელი შრე, რომელიც გარემოსა და ორგანიზმს შორის ერთგვარი ბარიერის ფუნქციას ასრულებს და ბაქტერიების, ვირუსებისა თუ უცხო აგენტების შემოჭრისგან გვიცავს. არცთუ იშვიათად, სხვადასხვა მიზეზის გამო, პირის ღრუსა და ენის ლორწოვანი გარსი ზიანდება და ვითარდება ანთება. დარწმუნებული ვარ, ბევრმა არ იცის, რომ სიგარეტის ყოველი ნაფაზის დარტყმისას პირის ღრუში მყისიერად დაახლოებით 800 გრადუს ცელსიუსამდე ტემპერატურა წარმოიქმნება! საბედნიეროდ, ასეთი მაღალი ტემპერატურა პირის ღრუში მხოლოდ წამის მეათედის განმავლობაში ნარჩუნდება, მაგრამ სიგარეტის ხშირი მოწევა პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დამწვრობას მაინც იწვევს. **მსგავსი რამ ხდება ზედმეტად ცხელი ჩაის, ყავისა და სხვა საკვების მიღების შემთხვევაში.** ყველა ზემოხსენებული მიზეზის გამო პირის ღრუში ვითარდება ლორწოვანი გარსის ანთება და თუ ის ქრონიკულ ხასიათს მიიღებს, ლოყის შიდა ზედაპირზე ან ენაზე შესაძლოა, გაჩნდეს გარქოვანებული უბნები. ეს უბნები, უმეტეს შემთხვევაში, თეთრი ფერისაა და მას **ლეიკოპლაკია** ეწოდება.

**— ლეიკოპლაკია სიცოცხლისთვის საშიში პათოლოგიაა?**

— **ლეიკოპლაკია** ბერძნულად „თეთრ ლაქას“ ნიშნავს. უმრავლეს შემთხვევაში ის უსაფრთხოა და უკვალოდ ქრება, მაგრამ ზოგჯერ ლეიკოპლაკია მიდრეკილია კიბოსკენ. თავიდან ლეიკოპლაკია უსიმპტომოდ ვითარდება. **პირის ღრუში ლორწოვანი გარსის გარქოვანებული და თეთრი უბანი პაციენტმა შესაძლოა, ვერც იგრძნოს და სრულიად შემთხვევით გაიგოს, რომ ლეიკოპლაკია აქვს.**

ლეიკოპლაკიის დროს გარქოვანებული კერა ლორწოვანი გარსის დონეს არ ცდება და სიმაღლეშიც არ იზრდება. თუ პაციენტმა პირის ღრუში გაჩენილ თეთრ ლაქას ყურადღება არ მიაქცია და მექანიკური ან თერმული ზემოქმედებით მისი გაღიზიანება გაგრძელდა, მაშინ ეს თეთრი ლაქა მოცულობაში გაიზრდება, ზემოთ აიწევს და მისი დაწყლულების ან ეროზიის საფრთხე გაჩნდება. ეს გამოიწვევს პირის ღრუში ნახეთქებსა და წყლულებს, რომლებიც ცუდად ხორცდება და ყოველი ჭამა და სმა უდიდეს ტანჯვასთან და ტკივილთან არის დაკავშირებული. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა **პირის ღრუს ან ენის კიბო.** ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **როგორც კი პირის ღრუში ან ენაზე თეთრ, გარქოვანებულ უბანს შეამჩნევთ, მაშინვე მიმართოთ არა სტომატოლოგს, არამედ ონკოლოგს.** გვახსოვდეს, რომ ამ თეთრმა ლაქამ დასაწყისში ტკივილი არ იცის და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, ლეიკოპლაკიის შემთხვევათა 30 პროცენტი აუცილებლად გადაიზრდება პირის ღრუს სიმსივნეში! განსაკუთრებით უნდა გაფრთხილდნენ სიგარეტის მწეველები... **ვინც სიგარეტს 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეწევა, 90 პროცენტს ლეიკოპლაკია აქვს. საკმარისია, ასეთმა ადამიანმა მოწევას თავი გაანებოს, რომ, დიდი ალბათობით, ლეიკოპლაკია უკვალოდ გაქრება.**

## „ეს პრეპარატი არამარტო კიბოს პროფილაქტიკას ახდენს, არამედ სიმსივნური დაავადებების დროს ყველა შემთხვევაში უნდა დაინიშნოს!“




**— ლეიკოპლაკია მხოლოდ პირის ღრუში ჩნდება?**

— რაკი ადამიანს ლორწოვანი გარსი ბევრგან აქვს, შესაბამისად, ლეიკოპლაკიაც ყველა ამ უბანზე შეიძლება გაჩნდეს!

**ვინც ბევრ სიგარეტს ეწევა და ალკოჰოლსაც ხშირად ლებულობს, ყელისა და საყლაპავი მილის შიდა ლორწოვანი გარსი უზიანდება. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ლოთებს ხმა ჩახლეჩილი აქვთ.**

ნიკოტინი საყლაპავი მილისა და ყელის ლორწოვან გარსს რომ აზიანებს, ეს საქვეყნოდ ცნობილია, მაგრამ, **როცა ნიკოტინს ემატება ალკოჰოლი, რაც ხშირად ქეიფის თანმდევი პროცესია, ეს დაზიანება ათჯერ იზრდება.** სუფრასთან ალკოჰოლის თანხლებით ერთი ღერი სიგარეტის მოწევა, თავისი მავნე შედეგებით, სუფთა ჰაერზე ნახევარი კოლოფი სიგარეტის მოწევას უტოლდება! შესაბამისად, ქეიფის დროს, სუფრასთან ორი ღერი სიგარეტის მოწევა სიფხიზლეში ერთი კოლოფი სიგარეტის მოწევას უდრის! **თუ ადამიანს ყელში ან საყლაპავ მილში ლეიკოპლაკია გაუჩნდა და სიგარეტისა და ალკოჰოლის ერთდროულად მიღება გააგრძელა, დროთა განმავლობაში დაეწყება ტკივილები, გაუჭირდება ცივი და ცხელი საკვების მიღება, დაეწყება სისხლის ამოხველება და ყველაფერი დამთავრდება იმით, რომ ლეიკოპლაკია გადაიზრდება ყელის ან საყლაპავი მილის კიბოში!**

**— ლეიკოპლაკიის გარდა, კიდევ რამ შეიძლება გამოიწვიოს ყელისა და საყლაპავი მილის კიბო?**

— საყლაპავი მილის სიგრძე, რომლის მეშვეობითაც საკვები პირიდან კუჭში გადადის, საშუალოდ 25-30 სანტიმეტრს შეადგენს. საყლაპავი მილის შიდა ზედაპირი ძალიან მგრძნობიარეა თერმული და ნიკოტინის ზემოქმედების მიმართ. **როდესაც სპირტიან სასმელს ნიკოტინს ვაყოლებთ, საყლაპავის შიდა ზედაპირზე ნიკოტინის ზემოქმედება ათჯერ იზრდება. ნიკოტინი კი კიბოს გამომწვევი კანცეროგენია და თუკი მისი მავნე გავლენა სპირტის ზემოქმედებით ათმაგდება, ცხადია, ათმაგდება ნიკოტინისგან გამოწვეული საყლაპავი მილის კიბოს რისკიც.** ამიტომ რესტორნებში სიგარეტის მოწევის აკრძალვა უდავოდ მისასალმებელია, რადგან ამით საყლაპავი მილის კიბოს რისკს ვამცირებთ!

**— ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ გულძმარვისა და გულწვის, ანუ ე.წ. „იზჟოგის“ შესახებ. ვისაც „იზჟოგა“ ხშირად აქვს, არის თუ არა საყლაპავი მილის კიბოს რისკის ქვეშ?**

— ე.წ. „იზჟოგის“ დროს კუჭის წვენი, რომელიც უძლიერესი მჟავე რეაქციის მატარებელია, საყლაპავში ხვდება და იწვევს საყლაპავი მილის ანთებას, ანუ **ეზოფაგიტს.** თუ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა, საყლაპავი მილის ანთებითი უბნები დროთა განმავლობაში დაწყლულდება და პროცესი კიბოში გადაიზრდება.

**თუ ყლაპვა გვიჭირს, გული გვერევა და გვაღებინებს, ყლაპვისას ყელი გვტკივა, წონაში ვიკლებთ, ბეჭებს**

### კვირგვინოსნები

**ევა ბაბალუაშვილი**
*მწერალი, მხატვარი, მსოფლიოს ქართველ ქალთა ასოციაცია „ეხოს“ პრეზიდენტი, ჯამლეტ ხუხაშვილის მეუღლე*



**ჯამლეტი** გრძნობდა, რომ **მე საპატიო თბილისელი უნდა გავმხდარიყავი** და მისი საქმე უნდა გამეგრძელებინა.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ბაია ფოცხიშვილი**
*რეჟისორი*



სამი დღე აეროპორტში ვიყავი, გზაში გავიჭედე და არაფერი მქონდა ნაჭამი. **გვერდით მყოფ ქალს დიდ გახსნილ ჩანთაში შოკოლადი ედო. ერთი ცალი ავიღე და შევჭამე,** ეძინა, დაველოდე, სანამ გაიღვიძებდა და ვუთხარი, თქვენგან ერთი ცალი შოკოლადი ავიღე-მეთქი.

„თბილისელები“

**მიხეილ რამიშვილი**
*პუბლიცისტი*



პატრიარქმა მითხრა: **ისეთი რაღაც უნდა შექმნა, რასაც მსოფლიო ტაშს დაუკრავსო.** წლების შემდეგ დაიბადა **ჩემი ლიზა,** რომელიც ცნობილი მუსიკოსია და **მართლაც მსოფლიოს მასშტაბით უკრავენ ტაშს.**

„თბილისელები“



**„სიგარეტის ყოველი ნაფაზის დარტყმისას პირის ღრუში მყისიერად დაახლოებით 800 გრადუს ცელსიუსამდე ტემპერატურა წარმოიქმნება!“**

## შორის გვტკივა ან მკერდის ძვლის უკან დისკომფორტს ვგრძნობთ, ე.წ. „იზჟოგას“ ვერ ვიშორებთ, გვახველებს და ხმა გვეხლიჩება, აუცილებლად მივმართოთ ონკოლოგს, რათა საყლაპავი მილის სიმსივნე გამოირიცხოს!

ონკოლოგს მაშინაც კი უნდა მივმართოთ, როცა არცერთი ეს ნიშანი გამოხატული არ არის, მაგრამ მაინც ვგრძნობთ **მუდმივ ტკივილს ბეჭებს შორის,** რომელიც მხრებსა და კისერზე ვრცელდება... ეს შესაძლოა, საყლაპავი მილის კიბოს ყველაზე ნაადრევი და პირველი ნიშანი იყოს! ამ ტკივილის მიზეზი ის არის, რომ საყლაპავი მილი ზურგის მხრიდან ხერხემალს ეკვრის... **ასეთი ტკივილი კისრის ოსტეოქონდროზსაც ახასიათებს, მაგრამ უმჯობესია, პირველ რიგში, მაინც სიმსივნე გამოვრიცხოთ და მერე წავიდეთ ხერხემლის სპეციალისტთან.**

**— საყლაპავი მილიდან გადავიდეთ კუჭზე! რა უნდა ვიცოდეთ კუჭის კიბოს შესახებ?**

— გასტრიტი, ეროზია და წყლული, რეალურად, კუჭის კიბოს სტადიებია! თუ ამ სტადიებს არ გაივლის, კუჭის კიბო ვერავითარ შემთხვევაში ვერ განვითარდება გარდა იმ შემთხვევისა, როცა კუჭში პოლიპებია და დიდია იმის ალბათობა, რომ ისინი სიმსივნეში გადაიზარდოს. კუჭის კიბოს გამომწვევი მიზეზი დადგენილია და ეს გახლავთ **ჰელიკობაქტერია პილორი,** რომელიც იმდენად გამძლეა, კუჭის წვენის ზემოქმედებასაც კი იტანს. ჰელიკობაქტერია პილორი გამოყოფს განსაკუთრებულ ფერმენტს — **პროტეაზას,** რომელიც ბურღავს კუჭის კედლებს და ბაქტერიას საშუალებას აძლევს, კუჭის შიდა შრეში შეაღწიოს. ამის შემდეგ, როცა კუჭის შიდა შრეში მოხვდება, **ჰელიკობაქტერია პილორი** გამოყოფს სპეციალურ ცილას, რომელიც კუჭის უჯრედებში შეიფრქვევა, შეცვლის მათ სტრუქტურას და კუჭის უჯრედებს წყლულებად და სიმსივნურ უჯრედებად აქცევს.

**— როგორ უნდა ვებრძოლოთ ჰელიკობაქტერია პილორს?**

— **ჰელიკობაქტერია პილორს** ანტიბიოტიკებით ებრძვიან, მაგრამ ეს გზა უპერსპექტივოდ მიმაჩნია. საქმე ის გახლავთ, რომ ანტიბიოტიკების ხანგრძლივი მიღება მათ მიმართ ორგანიზმის მდგრადობას იწვევს. გამორიცხული არ არის, ანტიბიოტიკების ხშირმა მიღებამ გამოიწვიოს **სოკო კანდიდას** გამრავლება, რომელიც არანაკლები უბედურებაა. დაბოლოს, უკვე გამოჩნდა ჰელიკობაქტერია პილორის ისეთი შტამები, რომელიც ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადია. **საუკეთესო გამოსავალია ჰელიკობაქტერიის არა ანტიბიოტიკებით განადგურება, არამედ იმ მდგომარეობაში გადაყვანა, როცა ისინი ორგანიზმს ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებენ.** ამ მხრივ შეუდარებელია კომბოსტოს წვენი. პირდაპირ უნდა ითქვას: კომბოსტოს წვენი კუჭის კიბოს გამომწვევ ჰელიკობაქტერია პილორს ანადგურებს! კომბოსტს წვენი კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულების შესახორცებლად უებარი საშუალებაა. **რაც შეეხება კომბოსტოს მწნილს, ის შეიცავს რძემჟავა ბაქტერიების ერთ-ერთ სახეობას — ლაქტობაცილას, რომელსაც უძლიერესი ანთების საწინააღმდეგო და ანტისიმსივნური თვისებები გააჩნია.** საერთოდ გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი სიმსივნე ტუტე გარემოში ვითარდება და **კიბო იწყება იქ, სადაც კუჭის მჟავიანობა დაბალია!**

**— რას იტყვით სწორი ნაწლავის კიბოს შესახებ, რომელიც ხშირად ბუასილში ეშლებათ?**

— **სწორი ნაწლავის კიბოსა და ბუასილს თავიდან იდენტური ნიშნები აქვთ და ბევრი გამოუცდელი ექიმი ერთს მეორისგან ვერ არჩევს!** სიმსივნეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული გახლავთ სწორედ მსხვილი ნაწლავის, კონკრეტულად, სწორი ნაწლავის კიბო. **ეს ვერაგი დაავადება სრულიად უსიმპტომოდ შესაძლოა, 20-25 წლის განმავლობაში მიმდინარეობდეს. ამიტომაც აუცილებელია, რომ 50 წლის შემდეგ ყოველმა ადამიანმა წელიწადში ერთხელ მაინც ჩაიტაროს კოლონოსკოპია და დაითვალიეროს ნაწლავები.**

თუ ადამიანი გენეტიკურად კიბოსკენ მიდრეკილია, მაშინ კოლონოსკოპიის ჩატარება 25-30 წლის ასაკშიც არის რეკომენდებული!

სწორი ნაწლავის კიბოს დროს აღინიშნება სისხლდენა, განავალში ლორწო, სწორ ნაწლავში უცხო სხეულის შეგრძნება, უმიზეზო სისუსტე, დეფეკაციის დარღვევა ცრუ მოთხოვნიდან გაძნელებამდე. ამ სიმპტომების მქონე პაციენტებს სწორი ნაწლავის კიბოს უკვე შორს წასული ფორმა აქვთ. ამიტომაც **როგორც კი განავალში სისხლს შევნიშნავთ, მაშინვე მივმართოთ ექიმს! უფრო მეტიც, განავალში შესაძლოა, სისხლი შეუიარაღებელი თვალით საერთოდ არ ჩანდეს, მაგრამ ფარული სისხლდენა მაინც სახეზე გვქონდეს.** ამიტომ

### 50 წლის შემდეგ თითოეულმა ადამიანმა პერიოდულად უნდა ჩაიტაროს განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე. ამით ჩვენ სწორი ნაწლავის კიბოს ნაადრევ დიაგნოსტიკას მოვახერხებთ!

**— თუ ადამიანს მშობლები და ბებია-ბაბუა კიბოთი დაეხოცა, მაგრამ თვითონ ჯანმრთელია, რა უნდა გააკეთოს, რათა კიბო არ დაემართოს?**

— **კიბო გენეტიკური დაავადებაა!** ამიტომ ყველა ჩემს პაციენტს, რა დაავადებითაც გინდა მოხვდეს ჩემთან, თუკი ანამნეზში აღენიშნება მშობლებისა და უახლოესი ნათესავების კიბოს შემთხვევები, მათ ყოველთვის ვაძლევ ჰომეოპათიაში ცნობილ პრეპარატს **„კარცინოზინუმს“,** რომელიც სიმსივნური ქსოვილისგან მზადდება. ეს პრეპარატი არამარტო კიბოს პროფილაქტიკას ახდენს, არამედ სიმსივნური დაავადებების დროს ყველა შემთხვევაში უნდა დაინიშნოს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***












## კვირგვინოსნები

**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



რაც უნდა ხდებოდეს, **სახლში ქმრის დაბრუნებისას მოწესრიგებული უნდა ვიყო.** ვხუმრობ ხოლმე, ყავა რომ კლავდეს, დიდი ხნის მკვდარი უნდა ვიყო-მეთქი, **არასოდეს მომიწევია სიგარეტი, ალკოჰოლს არ ვეკარები,** მაგრამ ყავაზე უარს ვერ ვამბობ, დღეში 8 ჭიქას მაინც ვსვამ.

„სარკე“

**რუსუდან კობექაძე**
*მსახიობი*



ერთი რამ ჰქონდათ აჩემებული — **ხშირად ამბობდნენ, რომ მე და გია აბესალაშვილი ცოლ-ქმარი ვიყავით.** ერთხელ გია თავის მეუღლესთან ერთად კლინიკაში იყო მისული. მეორე დღეს იმავე საავადმყოფოში მეც მივედი და ერთმა ექიმმა ჩუმად მითხრა — **ქალბატონო რუსუდან, გუშინ თქვენი მეუღლე ვიღაც ლამაზ ქალთან ერთად იყო მოსულიო.**

„სარკე“

**ქეთევან კიკნაძე-ლორთქიფანიძე**
*მსახიობი*



განა ყველაფერი მომწონს „ოცნების“, მაგრამ **მკვლელების, რეციდივის, კორუფციის მხარეს ვერ გადავალ!** რაც არ მომწონს, იმასაც ვიტყვი. „ოცნებამ“ არაფერი გააკეთა თავისი მომხრეებისთვის!

„კვირის პალიტრა“

**ლაშა რამიშვილი**
*მუსიკოსი და დრამის მსახიობი*



**თამადობა, ლხინის გაძღოლა ძალიან საპატიოა.** ჩემი ოჯახის სარჩენი თანხის ნახევარზე მეტი **ამ საქმიანობიდან** შემომდის.

„სარკე“

**გიორგი ნაზღაიძე**
*ტელეწამყვანი*



**ძველ სახლებში უფრო საინტერესო, კოლორიტული ადამიანები ცხოვრობენ.** ასეთ ადგილებში **სულ სხვანაირი სამეზობლო** და ურთიერთობებია.

„სარკე“

**ელიზბარ ჯაველიძე**

# ვართ-



***მას შემდეგ, რაც ცნობიერების უნარი და აღქმის ნიჭი აღმეძრა, დიდმა წუხილმა და სევდამ შემიპყრო. ყველა ჭეშმარიტად მოაზროვნე ქართველს არ ასვენებს ეს სატკივარი, რაც რამდენიმე სიტყვით ასე შეიძლება გადმოიცეს: რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით?!***

თუ გავიხსენებთ ჩვენ წარსულს, მიუხედავად გაუსაძლისი ვითარებისა და უბედურებისა, რასაც იწვევდა მოძალადე მტრების დაუცხრომელი სურვილი ჩვენი ერის განადგურებისა, შეიძლება მაინც ვიამაყოთ, რომ მეტ-ნაკლებად გავუძელით ამ ქარიშხალს და წამლეკავ აზვირთებულ ტალღებს: **სულიერად არ გავტეხილვართ, ღირსება არ დაგვიკარგავს და, რაც მთავარია, ქართველობა, ჩვენი ეროვნების საფუძველი რომ არის, არ დაგვიწყებია და ვითარცა ნიმუში ადამიანური ღირსებისა, და ქართული ჯიშის საყრდენი საფუძვლისა, დღემდე შევინარჩუნეთ და ამით სამართლიანად ვამაყობთ კიდეც.**

წარსულით სიამაყე ცუდი როდია! მაგრამ უფრორე მნიშვნელოვანი და საშურია: გავაცნობიეროთ რანი ვართ დღეს და ახლო მომავალში რას ვიქმთ?! ეს კი, თუ თვალთ არ დაგვიბნელდა და გონება არ დაგვიჩლუნგდა, ერთობ საშიშია და თავზარდამცემი! **ეს ჩვენი სული მრავალ საუკუნეთა მანძილზე ერთობ უთანასწორო ბრძოლაში, ამაყი და გაუტეხელი რომ იყო, დაუძლურდა და უსუსურობის საბურველში გაეხვია და ის იმედი, ციცინათელას ნათების შესაბამისად აქ-იქ რომ გაციალდებოდა, გაუჩინარდა და ღამურებისა და ყვავ-ყორნების ჩხავილმა და ხრიალმა დააბნელა და გააქრო.** ეს სიბნელე თუ უკუნეთი წამიერად არ დამდგარა, ის დროთა განმავლობაში თანდათან ფართოვდებოდა და მკვიდრდებოდა.

როცა ამ ბნელეთით შექმნილი ჩვენი უსუსურობის მიზეზის ახსნას დავაპირებ, ეროვნული სულის მოძღვრის და წმინდანის, დიდი ილიას მწუხარების ზარის საგანგაშო რეკვა მზარავს და მიპყრობს.

**უპირველესად, ილიას აწუხებს ის ფაქტი, რომ ქართველებმა დაკარგეს უნარი ცხოვრების არსის წვდომისა და ირონიით შეჯერებული გულისტკივილით გვამცნობს:**

*„იმ ხავსმოკიდებულს გუბეს, რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამასხროდ, ცხოვრებას ვეძახით, რომელშიაც ჩვენ, რაღაც დაუდეგარის კმაყოფილებით ვჭყუპალაობთ, და რომლიდამაც ათასი სხვადასხვაფერი ნაკადული იწრიტება ცალკ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის, და „რაოდენადაც ერთმანეთზედ შორსა ვალს, ეგოდენ დაუძლურდების“, — ამ გუბეს რომ თვალღია და აუჩქარებლივ დააკვირდე, მაშინ შენც ჩემთან ამოიკვნესებ და იტყვი:* ***„ვართლაო“.***

უპირველესად, ამ სიტყვით — **ვართლა,** გამოტანილია უკვე დასკვნა, რომ **ქართველები აღარ ვართ, რადგან ის ცხოვრება, რომელსაც სიამოვნებით ვეწევით, ღირსეულ ქართველთა შესაბამისი და საკადრისი არ არის. და თუკი მაინც ამ გუბეში ვჭყუმპალაობთ, ისიც მალე დაიწრიტება, რადგანაც ხავსმოკიდებული გუბე, სხვადასხვა ნაკადულებით, რომლებიც ცალცალკე სხვადასხვა გზით მიდის, უძლურდება და ამოშრება.** მაგრამ სად არის ქართველი და ქართველობა? ერთი ეს მინდა გკითხო: **ვართლა სადმე?..** ილიას გულიდან ამოხეთქილმა ამ შემზარავმა კითხვამ მრავალი გააღიზიანა იმხანად და დღესაც აღაშფოთებს. მაგრამ არსებული რეალობით არის აღძრული და, რაც მთავარია, მომავლის საოცარი წვდომით და ხედვით წარმოთქმული: *„ქართველებს უჭირთ ცხოვრების არსის განსაზღვრა და იმ ხავს მოკიდებულს გუბეს რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამასხროდ ცხოვრებას ვეძაღით“*, სიამოვნებით გავითავისეთ და ჩვენი ცხოვრებაც ისე წარვმართეთ, რომ ცალკეულმა და კერძომ თავი იჩინა, **„მე“** გაბატონდა, და **„ჩვენ“** დაგვავიწყა. ეგოცენტრიზმი გაბატონდა, ურთიერთსიყვარული და პატივისცემა დავკარგეთ, შურმა, მტრობამ იმატა და კუთხურობამ თავი იჩინა და იქამდე მივედით, რომ საკუთარი შემოღობილი მიწა **„მამულად“** მივიჩნიეთ, მთავარი მაინც ის არის, ქართველთ გზები გაიყარა, მაგრამ ილია, ქართველების გადაგვარების ამ თავზარდამცემი განაჩენის გამოტანას როდი სჯერდება, მას სურს, ჩაწვდეს და ახსნას ის მიზეზები, რომლებმაც ქართველ ხალხს ქართველობა დაავიწყა, მიზეზი კი მრავალი და არაერთგვაროვანია, იგი იწყებს მათ განხილვას, რაც ერთგვარად დიალოგის ფორმას იღებს, ცდილობს, იმ ქართველებს, ვინც ზერელედ ეკიდება ქართველობის დაკარგვის პერსპექტივას, თავისი ვრცელი და ღრმა ანალიზით აუხილოს თვალები, დაანახოს ის ჭეშმარიტი რეალობა უპირველესად, გადაგვარების სათავედ რომ მიიჩნევს — **„რომ დედის ძუძუ დიდი ხანია, გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარა ჰსწოვს“.**

როცა ქართველი, ილიას აზრით, წყდება ეროვნების მთავარ განმსაზღვრელ **დედის ძუძუს,** ის კარგავს მშობლიური ქვეყნის სიყვარულს, თავის ტრადიციებს, რწმენას და რაც მთავარია, ურთიერთის სიყვარულს და სიძულვილი ბატონდება მასში, რაც მკვეთრად იკვეთება სოციალურ ყოფით ცხოვრებაში: **„თავადს აზნაური ჰსძულს, აზნაურსა — თავადი, გლეხსა — ორივე“.** ამ სიძულვილმა წარმოშვა მათი დაშორება და ურთიერთვერგაგება, მათ ყველას თავის საკუთარი აზრი აქვთ და ურთიერთს ზურგი აქციეს. და მათ კი ვაჭარი ერთნაირი სიხარბით წოვს. ყოველივე ამის შემხედვარე, ილიას მათი ქართველობა საეჭვოდ მიაჩნია და კითხულობს: **„ნუთუ ესენი თვითვეულად ცალკე და ყოველნივე ერთად ქართველი ჰგონია ვისმე!“** და დასკვნის სახით იქვე აუწყებს თავის მოწინააღმდეგეებს: **„ქართველი საყოველთაო სახელია და ამათში რა არის საყოველთაო?“**

სოციალურ ველში ამ პიროვნულმა დაპირისპირებამ და ურთიერთსიძულვილმა უფრორე განზოგადოებული ფორმა მიიღო და კუთხურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. **გაწყდა ერთობის ჯაჭვი, რომელიც ქართველებს გვაერთიანებდა, ცალკეულ რგოლებად დაიშალა, ზოგი აქეთ და ზოგი იქით დაგორდა. იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი ცალკ-ცალკე არსებობენ, თავის თვისება, ხასიათის მატარებელნი არიან, ქართველ ხალხად მოაქვთ თავი, მაგრამ საერთო ძარღვი გაწყვეტილი აქვთ...**

აი, რა იწვევს ილიას აღშფოთებას და გულის წუხილს ამგვარად გადმოგცემს:

***„ვაი, იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი, იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თვითო არ არის და თვითოში — ყველა, საცა თვითვეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითვეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ — იშვიათი!“.***

ერთობ სამწუხაროა ის, რომ ქართველმა დიდი მამულის ნაშთი თავისად შემოიღობა და იმ შემოღობილში თავისი ქვეყანა ააშენა და კერძო **„მამული“.** ეს ქართველთა განცალკევება, სხვაგვარად **„მეს“** თუ **„შენის“** დაპირისპირება და მხარეთა თუ კუთხეების ურთიერთდაშორებამ, რომელსაც უცილობლად მოჰყვებოდა საქართველოს დაშლა, ჩვენი დიდ წინაპარს გულს უკლავს და მომავლის იმედს უქარწყლავს. **მომავლის ღვთიური ნიჭით დაჯილდოვებული, აცნობიერებს, რომ ქართველთა ეს თვისებრიობა და პირადული, ეგოცენტრიზმზე დაფუძნებული ყოფა-განვითარება აუცილებლად დაანგრევს ქართველ ერს, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს საფუძველს, ამიტომაც მას სწადია, იმ ქართველთ უცოდინარობით დაბინდული თვალები აუხილოს და მათ შთააგონოს თავისი შფოთვის მიზეზი და მართებული პოზიცია.** იგი მათ უხსნის:

*„თქვენ მე მაჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითვეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი:* ***ქართველი აგერ იქ არის მეთქი,*** *ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითვეულის ჩვენგანის ჭკუა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ მეც ვიტყვი:* ***ქართველი აგერ იქ არის-მეთქი.*** *საერთო ლხინი მიჩვენეთ, საერთო ჭირი მაინც, მაგრამ სად არის? ჩემი ლხინი შენი ლხინი არ არის, შენი ჭირი ჩემი ჭირი არ არის. ქართველი საყოველთაო სახელია და კიდევ ამას გკითხავ:* ***საყოველთაო რა გვაქვს?!*** *ჩვენში არის: მე თუ შენ. შენ თუ მე და ორივენი ერთად კი არაო“.*

სწორედ ქართველთა ეს განკერძოება, აზროვნების დაქვეითება აღაშფოთებს ჩვენ დიდ წინაპარს, მეტიც:

***„აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდან მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპგადმოგდებულის ქართლელის მეტმა*** *(ე.ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა)* ***შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნებ კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენსკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოებენ, თითქო იმას არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიან“.***

ამ მსჯელობით ილია ასრულებს იმ ძირითად აზრს, რომელიც აწუხებს და არ ასვენებს მას:

***„ის შემკრებელობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დიდი ხანია, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელიღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ოდესმე ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში თუ ლხინში ერთად ძმურად უწევნია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვია, ლხინში უმხიარულნია, და რომელიც დღესაც ერთისა და იგივე ენით-თუ არაფერს აკეთებს-თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაცა და კაცთანაცა“.***

ილია ის უკლავს გულს, რომ ქართველებმა დაკარგეს თავისი მოდგმის საერთო სახელი, მათ გაუწყდათ საერთო ძარღვი: **იმერელი-იმერელია, გურული-გურულია, მეგრელი-მეგრელია, ქართლელი-ქართლელია,** და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან. და იქვე დასძენს: ***„ვაი, იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი, იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თვითო არ არის და თვითოში — ყველა, საცა თვითვეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითვეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ — იშვიათი!“***

სწორედ ამ განკერძოებამ, **„ჩვენის“** დავიწყებამ და **„მე“**-ს წამოწევამ, გონება დაგვივიწროვა და დიდი და საერთო აზრი ველარ დავიტიეთ და ზნეობით დავპატარავდით: ***„ამრიგად, სიტყვას — ქართველს, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, კერძოობითი მნიშვნელობა მიეცა. სიტყვას — მამულსაც ეგ საქმე დაემართა“.***

მთავარი მაინც ის არის, რომ მამულმა ამ სიტყვის ყოვლად მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელი და ფართო დაკარგა, და დიდებული ქართველის აზრით, ის საყოველთაო სახელი, რომელიც ჩვენში მაშინ ჰქონდა, როცა ჩემი **„მე“** და შენი **„მე“** ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყევარში ერთად ბმულა“. მაგრამ, ახლა გულმოკლული გმინავს ილია:

***„ეხლა ეს დიდებული სიტყვა თვითვეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს-ბინასა, რომელიც ქვისა და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია“.***

სამწუხაროდ, ხორციელადაც და სულიერადაც დაუძლურდა ქართველი, ქონდრისკაცად იქცა, რომელსაც, მამულის ხსენებაზედ თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე:

***„მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადაო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილება-მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვნად შემოწმებული; მამულის სიმაგრე-ტყრუშული ღობეა, ვენახგარშემო შემორტყმული; მამულის პატივი-ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულიშვილობა მხვნელისა და მთესველის სახელიღაა“.***

ამ დაცალკევებით და გათვითებულობით ტვინიც დაგვიჩლუნგდა და დიდის და საერთოს ის უდიდესი აზრი, რასაც **„სამშობლო“** ერქვა, ვეღარ მოიცვა, ამიტომ ქონდრისკაცად ქცეულებმა დავანგრიეთ დიდი სამშობლო ოჯახი, **„რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი მთელი ქართველობისა“.** და მის ნამტვრევებისგან ავაშენეთ ხუხულები და თავის ხვედრი **„მამულის“** ნაშთით ავაგეთ ჩვენი საკუთარი ქვეყანა და კერძო **„მამული“** მამულად მივიჩნიეთ და ამ სახელით მოვნათლეთ, რაც მთავარია, ჩვენმა, ეგოცენტრიკოსმა მემ ხმა აღიმაღლა: **„მე თუ არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ დარჩება თუნდაცაო“,** ამგვარად ყველა თავის ღობეში შეიკეტა და საკუთარი პირადული კეთილდღეობის გარდა, სხვისი ჭირი არად მიაჩნდა.

სწორედ ამ განცალკევებამ, აზროვნების საერთო ძარღვის გაწყვეტამ, ქართველებს ურთიერთგაგების უნარი მოუსპო და ქართულმა დაკარგა მნიშვნელობაც და ფასიც:

***„სადღა არის ეხლა ქართული ენა? — ანდა გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თვითონ ჩვენთა დასაღუპად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვცხოვრობთ, ქართულ ენას აზრს როგორღა გამოვათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარ ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორღა-მოვსთხოვთ ჩვენს ენას?***

*...ჩვენ თვითონ დავცარიელდით გუდაფშუტასავით, ცარიელი სიტყვებიღა გვინდა, ცარიელი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს. სხვა რისთვის გვინდა ენა? საერთო სახელი ქართველი კერძოობითად გავხადეთ, მამული დანეხვილ ნაფუძრად გარდავაქციეთ, პატივი — ნეხვად, თავი — გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ* ***კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ,*** *და მის შემდეგ კიდევ გინდაღათ, რომ ენა გვქონდეს?“*

ამ მცირე მოცულობის წერილს, რომელიც ქართული ეროვნების დამცრობისა და მისი გადარჩენის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს სიღრმისეულად აანალიზებს, ჩვენი, დიდი წინაპარი სადა, გულწრფელი ადამიანური წუხილით ასრულებს:

***„სადღაა ქართული ენა? ქართველობა გათავთავდა, მამული-აგრეთვე, სადღა გაიბას ქართულმა ენამ თავისი ფესვი საერთო აზრიანობისათვის? კიდევ ამას ვიტყვი,რაც ზემოთა ვსთქვი: მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, რომ ერთმანერთის აზრის აღებ-მიცემობისათვის საერთო მნიშვნელობის სიტყვა და ენა შეგვექმნა?*** *შენ შენთვისო, მე ჩემთვისო, ძმებმა ერთმანეთს ვუთხარით, ცივად ერთმანერთს თავი დავუკარით, უცრემლოდ ძმა ძმას გამოვესალმენით, უკანასკნელი საერთო სიტყვა „მშვიდობითო“ უკანასკნელადღა ვახსენეთ, შენ იქით წახველ და მე აქეთ, თვითვეულად, თავთავად, და* ***ვინ იცის, როდისღა შეხვდებით ერთმანეთს, რომ კიდევ ძმური, ერთიანი, განუყოფელი ქართული „გამარჯვება“ მითხრა შენ მე და მე-შენ, ჩემო დაკარგულო ძმაო თუ დაო!..“***

ამ წერილის მკითხველს, ალბათ, გააკვირვებს, ილიას სიტყვების და გამოთქმების ერთობ ჭარბი ციტირება. მაგრამ ჩემი მიზანი ის არის, რომ ნორმალურმა ქართველმა შეიცნოს, რომ ილიასეული ყველა სიტყვა თუ წინადადება მრავლის მომცველი აზრითაა დატვირთული და შეიძლება ითქვას, წარმოადგენს მარგალიტების საგანძურს, რომელიც ჭეშმარიტ ქართველს აღუძრავს თავისი სამშობლოს სიყვარულს და, რაც მთავარია, აღვიძებს მის სულს, ცხოვრების სიამტკბილობამ თუ გაჭირვებამ რომ დაავიწყა ერთი ჭეშმარიტება: **სულის უძლურება თუ სიკვდილი ანადგურებს სხეულის სიჯანსაღეს და ფიზიკურ არსებობას.**

ახლა მოკლედ გავიხსენოთ, რა აწუხებს ჩვენ დიდ წინაპარს:

**1.** ქართველებმა დავივიწყეთ, რა არის ნამდვილი სიცოცხლის და ცხოვრების არსი და ხავსიან გუბეში სიამოვნებით ვჭყუმპალობთ და არ გვადარდებს, ვინ ვართ და რანი ვართ?! ვეღარ ვაცნობიერებთ, რომ ქართველობას ვკარგავთ.

**2.** ამ სულმწირობის და ჩვენი დეგრადაციის მიზეზი კი ის არის, რომ ქართველი დედის ძუძუში რძე გაშრა და ქართველები ვეღარ წოვენ მას. აქ უკვე ქართველი დედა სიმბოლურად გამოხატავს ქართველი ერის ცნობიერების სათავეს, რომლის ძუძუს უნდა წოვდეს ყველა ნორმალური ქართველი, რათა მან არ დაივიწყოს თავისი ჯიშის ტრადიციები, მორალი და ის ძლიერი ურთიერთსიყვარული, რომელიც ოდითგანვე იყო მოცემული ჩვენ ბუნებაში. **რადგან ერთიანობის ცნობიერების წყარო დაშრა, დაიწყო სოციალური სტრუქტურების მოშლა, თავადი, აზნაური, გლეხი და ვაჭარი თავისთავადი, საკუთარი მიზნებით მოქმედებენ, ურთიერთს ზურგი აქციეს, ერთმანეთი შეიძულეს და აღარა დარჩათ ის საერთო ჯაჭვი, რაც ქართველობას აერთიანებს, და ცალკეულ რგოლებად აქეთ-იქით გორაობენ იმერელი, გურული, ქართლელი, კახელი — ქართველები კი არიან, მაგრამ საერთო ძარღვი გაწყვეტილი აქვს და ის საერთო, უდიდესი გრძნობა, რომელსაც „სამშობლო“**

# და? რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით



**ჰქვია, მათ აღარ აერთიანებს. დაივიწყეს, რომ ქართველი სრულიად ერთიანი საქართველოს შვილის სახელია და ქართველთა საზოგადო მნიშვნელობას კერძოობითი აზრი შესძინეს.**

**3.** მეტიც: „მამულს“ ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ჰქონდა, როცა ჩემი „მე“ და შენი „მე“ ჩვენი ერთიანი ხალხის ცხოვრების საყვარელში ერთად ზმულა, კონდრისკაცად ქცეულმა ქართველმა კი დაამცრო მისი მნიშვნელობა და თავის ნეხვდაყრილი სახნავი მიწად მიიჩნია და რაც მთავარია, მამულისათვის ბრძოლა კი სასამართლოში შეტანილი საჩივარი ჰგონია. მამულის ძლევამოსილება — მოგებული საქმის განაჩენი. მამულის სიმაგრე — ტყრუშული ღობე, ვენახის გარშემო შემორტყმული, მამულის პატივი — ნეხვი, მამულიშვილობა მხვნელის და მთესველის სახელია, ასე და ამგვარად დაქვეითდა ქართველთა ცნობიერება, კონდრისკაცებმა თავისი კერძო „მამული“ **შემოიღობა და იგი ეგოცენტრიზმმა მოიცვა და წარმოთქვა: „მე თუ არ მიქნები, ქვა ქვაზე ნუ დარჩება თუნდაცო“.**

ჩვენი დიდი მამულიშვილის ილიას მოაზრებით საქართველო მე-18 საუკუნის დასასრულისკენ კარგავს თავისთავადობას და რაც უფრო საგულისხმოა, ქართველობა, როგორც ერი თუ ჯიში გადაგვარების ზღვარზე გადაჩენის პირასაა. ეს კი, მისი აზრით, თავად ქართველების ბრალია, რომლებმაც ურთიერთსიყვარული და საერთო აზროვნების ძარღვი გაწყვიტეს, გათავისთავდნენ, განკერძოვდნენ, სუბიექტური მე — საკუთარი ეგოცენტრიზმი წამოწიეს წინ, მამულია და სამშობლოს სიყვარული უგულებელყვეს, **„ჩვენ“** დაივიწყეს და **„მე“**, კონდრისკაცის ამორალურობა, შური და სიხარბე წამოსწიეს წინ და პატრიოტიზმის გრძნობა დაახლჩუნეს, ქვეყნის და ქართველი ხალხის შეჭირვება არად მიიჩნიეს, ამან კი ქართული ენა საერთოდ დაგავიწყა და მისი გამოყენება და მნიშვნელობა არად მიაჩნიეთ.

ყოველივე ეს იმიტომ გავიხსენე და ჩვენი დიდი მამულიშვილის სულიერი სამყარო იმად შევაწუხე, რომ მოხმობილი მასალის ფონზე ნათლად წარმოვიდგინოთ, **რანი ვართ დღეს და რა გვჭირს ჩვენ — ქართველებს.**

ერთობ სამწუხაროა, რომ დღესაც ილიას წუხილი: **„როდისღა შევდგებით ერთმანეთს, რომ კიდევ ძმური, ერთიანი, განუყოფელი ქართული „გვარჯგება“ მითხრა შენ მე და მე-შენ, ჩემი დაკარგული ძმაო თუ დაო!...“.**

ჰაი, ჰაი, და ავაჰმე, რომ ეს წუხილი დღესაც აღელვებს ყველა ჭეშმარიტ ქართველს, ვისაც ოდნავ მაინც ერის სიყვარულით უძგერს გული.

მე არ შევეხები მე-19 საუკუნის საქართველოს ძნელბედობას და მხოლოდ დღევანდელობას შევავლებ თვალს. **რა გვჭირს დღეს და რა გვემუქრება?!**

საგანგაშოა, რომ დღევანდელი რეალობა, ნებსით თუ უნებლიეთ, ილიას წუხილით წარმოთქმულ კითხვას: **„ვართლა“** დღეს უფრო მეტი სიმკვეთრით გვახსენებს თავს, და მართლაც, თუ ღრმად ჩავუკვირდებით ჩვენ ამჟამინდელ ცხოვრებას, ერთობ გაგვიჭირდება, იგი უკუვაგდოთ და ყალბი სიამაყით განვაცხადოთ: **აბა, ვინ ვართ თუ არა ქართველებიო, მერე ღვინის თასით ხელში, ისეთ სადღეგრძელოს და ქებას აღვავლენთ საქართველოს, ქართველი ერის და ქართველებზე, რომ გულაჩუყებულ ქართველს თვალთ ცრემლს აფრქვევინებს.** ეს ცუდი როდია! მაგრამ ქართველებმა ისიც კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ **ლამაზი სიტყვებით ქართველობა ვერ გადარჩება და მხოლოდ გამჭრიახი გონებით და მახვილის თვალით ძალგვიძს მისი გადარჩენა. ეს კი გლობალიზაციის ქარიშხლით დანგრეულ და დაზაფრულ სამყაროში არცთუ ისეთი იოლია!**

მაინც რა გვჭირს დღეს ქართველებს, და რა არ უნდა დაგვავიწყდეს? რა საბურველი მოგვახვიეს თავს შინაურმა თუ გარეულმა მტრებმა თუ „მეგობრებმა“?

ახლა, სადაც ჩვენ ვჭყუმპალაობთ თუ ვცხოვრობთ, ხავსიან გუბეზე უარესია; მართალია, გარეგნულად, თვალის ერთი შევლებით, ანკარა და წმინდაა, მაგრამ სინამდვილეში ჭაობია, რაშიც ჩვენმა წახდენილმა და დაცემულმა ბუნებამ ჩაგვძირა ჩვენი პატივმოყვარე და ქედმაღალი, მაღალი წრე საზოგადოებისა, რომელიც თავის თავს **ინტელიგენციას** უწოდებს, რაც ნიშნავს მეცნიერების, ხელოვნების სფეროში მომუშავე ადამიანებს. შემოგვიტევენ: **რას ბლანდავ, რა ჭაობი გელანდება, როცა აუმღვრეველი, წმინდა ცხოვრების ნაკადს მივყვებით და მაღალი ნიჭით ვქმნით შესანიშნავ ქმნილებებს ხელოვნების თუ კულტურის სფეროში, არ იღლებიან, ჩამოთვლიან: ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, ჯაზურ თუ კლასიკურ მუსიკას, ტრაბახობენ: ვქარგავთ დიდ ტილოებს, ვიღებთ ჩინებულ კინოფილმებს, ვწერთ მეცნიერულ ტრაქტატებს და უტიფრად დასძენენ: შენ რაღამ დაგაბრმავა, რაღამ დაგაყრუა, რამ დაგიჩლუნგა გონება,შე, მართლაც საბჭოთა პერიოდში ჩარჩენილო, წითელო აკადემიკოსო!** იქნებ თქვენი რისხვა სამართლიანიც იყოს, რადგანაც ე.წ. „ინტელიგენცია“ ჭრელი და მრავალგვარია, მათ შორის ღირსეული მოაზროვნენიც არიან, და მათ ბოდიშს ვუხდი. მაგრამ, **მე მივმართავ დღევანდელ ე.წ. „ინტელიგენციას“, რომელიც პოსტლიბერალიზმის შხამით არის აღვსილი, ჩვენდა სამწუხაროდ, გარე ძალების დახმარებით საშიშ ძალას წარმოადგენს და ცდილობს, ქართველი ერის ბედი უკუღმა წარმართოს.** ამ აჭრელებულ სამყაროში, ახერხებენ კიდეც, ეროვნული უგულებელჰყონ და ახალი, თავისუფალი სამყაროს მოქალაქეებად წარმოჩინდნენ და საბჭოთა კავშირში გაზრდილ მოღვაწეებზე ირონიით და სარკაზმით ისაუბრონ:

**ახლა, მე თქვენ, განდიდებით შეპყრობილნო, გუდაფშუტებო, გეკითხებით: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეები, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, ოთარ ჭილაძე** და სხვა მრავალი მოღვაწეები, გნებავთ, პროზის დიდოსტატნი: **კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, ლევან გოთუა, არჩილ სულაკაური, რეზო ჭეიშვილი** და სხვანი და სხვანი საბჭოთა პერიოდში არ მოღვაწეობდნენ? გნებავთ მკლევარნი, კრიტიკოსნი: **აკაკი ბაქრაძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, რევაზ თვარაძე** და სხვანი და სხვანი არ იღვწოდნენ საბჭოთა კავშირში? გნებავთ მეცნიერნი, **ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე, დიმიტრი უზნაძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი წერეთელი, თამაზ გამყრელიძე, პავლე ინგოროყვა, სერგი ჯიქია** და სხვანი, საბჭოთა წყობის დროს არ იღვწოდნენ?!...

რომელი ერთი გაგახსენოთ, რომ თქვენი ეს ირონიული სიცილი ბაგეებზედ შეგახმეთ. თუმცა, საეჭვოა, გოგრად ქცეულ ფუყე თავებს რაიმე შევაგნებინო, მაგრამ მაინც გთხოვთ, ერთი თქვენგანი მაინც დამისახელეთ, რომელიც ზემორე ჩამოთვლილ შემოქმედთა ფეხის მტვრად ღირდეს!

მაგრამ, საუბედუროდ, ყოველივე ეს უმნიშვნელოა იმ დანაშაულთან შედარებით, რაც ჩაიდინეთ. **თქვენ, ინტელიგენციად რომ მოგაქვთ თავი, უღალატეთ სამშობლოს, თქვენი ხელშეწყობით, აქტიური ქმედებით და გარე მტრების ჩართვით დაანგრიეთ ეროვნული სახელმწიფო.** დიახ, თქვენ დაამხეთ ეროვნული სახელმწიფო. თქვენ, რომელთაც **„მეს“** ეგოცენტრიზმმა გონება დაგიჩლუნგათ, ბრძოლა გამოუცხადეთ **ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას... ქონდრისკაცებად ქცეულები, არად მიიჩნევთ ზვიად გამსახურდიას, რომლის დარი მოაზროვნე თქვენ შორის კი არა, მთელს საქართველოში არ მეგულება!..** თქვენ ირონიული ისრები სტყორცნით **მერაბ კოსტავას**, კაცური ღირსებისა და ერთგულების სიმბოლო რომ იყო.

როგორ დამავიწყდება ის მოწოდება: **„ცოცხალი არ გაუშვათ ზვიად გამსახურდია, იჩქარეთ, არ გაგვექცესო! მთელი ძალით ხრიალებდა თუ ყროყინებდა გიორგი ხოშტარია, ზვიადმა საგარეო საქმეთა მინისტრად რომ დანიშნა და მალევე გააპანღურა, როგორც კი გაიგო მისი თანამშრომლობა „კაგებესთან“**. არც **ზურაბ კიკნაძის** გველისებური სისინი მავიწყდება: **იქ, სადაც სიტყვა არ ჭრის, რკინამ უნდა გაჭრასო,** რომელსაც იმ ხანად ე.წ. ინტელიგენცია წესიერ და უცოდველ კრავად მიიჩნევდა. ანდა რა დამავიწყებს **ნოდარ ლომოურს,** უნივერსიტეტის პრორექტორად რომ მოჰქონდა თავი, ავტომატით შემართებული დაძრწოდა ერთი რედაქციიდან მეორეში და რედაქტორებს აშინებდა: **არაფერი შეგეშალოთ, თორემ დედას გიტირებთო...** ახლა ჩვენი სახელგანთქმული მომღერალი და მსახიობი **ბუბა კიკაბიძეც** გავიხსენოთ, ნიღაბჩამოცმული, ავტომატის ჯერით როგორ აწიოკებდა ქალებს თუ ბავშვებს.

**დასასრულს არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ ჩვენი მსახიობები, თეატრის დამდგმელნი, კინოს გადამღებნი და ასევე, მწერალთა ჯგუფი როგორ ჩავიდა სომხეთში, რომ ზვიად გამსახურდია შეეპყროთ და გასასამართლებლად საქართველოში ჩამოეყვანათ.** ვფიქრობ, ამ მცირედის გახსენებაც ნათელ სურათს გვიქმნის, რას იქმოდა ჩვენი ე.წ. **„მაღალი საზოგადოება“**, რომ ბედკრული საქართველო **„ეხსნათ და გადაერჩინათ“.** მავანი ე.წ. დიდი ხელოვანი და „ზეგანათლებული“ ადამიანი, რომელიც ნარკობიზნესშიც გარევას არ თაკილობს, ამ ქცევას ქართველი ერის გადარჩენად მიიჩნევს და აქეთ გამკიცხავს და ბრმად, ჩამორჩენილ პატრიოტად ჩამთვლის, მაგრამ, **დღეს თუ ჯანსაღი საზოგადოება და ჭეშმარიტი ქართველობაც ამ აზრს იზიარებს, მაშინ გავკადნიერდები და აკაკი წერეთლის „ვედრებიდან“ გავიმეორებ, რომელიც მიუძღვნა იმათ, ვისაც წაქცეულთა ფეხზე წამოყენება არ სწადიათ:**

„ამას კი ვიტყვი, თუნდაც მომკალით
„ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო“!

**ასევე, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, როგორ, შემოიჭერით აკადემიაში, ჭეშმარიტი მეცნიერნი გარეთ გაყარეთ, თქვენი „პატრიოტული მეცნიერული აზრების“ განხორციელებას შეუდექით.**

ეს იყო თქვენი მიზანი, ამას მიაღწიეთ კიდეც, ქართველი ხალხი, საქართველო, ქართველი ერი საერთოდ არ გახსოვდათ და არ გაწუხებდათ, ის კი არადა, **ეროვნულობის მასულდგმულებელი ძლიერი ძარღვი, ყველა ჭეშმარიტი ქართველის სიცოცხლეს რომ წარმართავდა, გაწყვიტეთ, დაფლითეთ და თავისუფლების მომტან გმირებად, ე.წ. მსოფლიო მოქალაქეებად წარმოდექით, ეროვნული ცნობიერების ბორკილებს და ჭაობს თავი დააღწიეთ და სამყაროს ცაზე მოჭიკჭიკე, თავისუფლების მახარობელ მერცხლებად მოგაქვთ თავი.** კეთილი, მაგრამ, მომკალით, და თქვენ მერცხლობას ვერ დავიჯერებ, უფრო ღამურებს მაგონებთ, თავის წარმომავლობა რომ დაიწუნეს და ფრენა მოიწადინეს.

კიდევ ერთი მოაზროვნე ადამიანის სიტყვები მაგონდება: **კაცი, რომელიც ეროვნულობის დავიწყებით და უარყოფით თავის გადარჩენას ლამობს, მაგონებს ადამიანს, რომელიც ჭაობში ჩაძირული ცდილობს თავისი თმების აქაჩვით და აზიდვით თავის გადარჩენას.** ანუ, სხვაგვარად, ვერარა მოაზროვნე ადამიანი საკუთარი წარმომავლობის უარყოფით ვერ გადარჩება. და მესამეც — ასეთ ადამიანებს ავიწყდებათ ერთი საყოველთაო ჭეშმარიტება — **მშობლიურ სამყაროს, მშობლიურ მიწას მოწყვეტილი სულიერი, სულდგმული ცხოველად ანდა უსულო სხეულად თუ არ ქცეულა, ვერც ხარობს და ვერც ცოცხლობს.**

ეს ყოველივე კარგად უნდა შეიგნოთ, **თქვენ, უსამშობლო ადამიანებო,** თქვენი დიდი „დამსახურებაა“, რომ საქართველო იქცა ველად, სადაც ახალგაზრდები ურთიერთს ხოცავენ, **„ძველგმირებმა“ „მხედრიონად“ წოდებულმა, საქართველოს თითქმის ყველა კუთხე** (აჭარის გამოკლებით) **ააწიოკეს, იქაურობა სისხლის გუბეებად აქციეს. განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ ზვიადისა და მერაბის მხარეში — სამეგრელოში. სიძულვილის და ძალადობის ისეთ ფორმებს მიმართავდნენ, რომ კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს.** თუნდაც გავიხსენოთ, რა ხდებოდა თბილისში — სიბნელეში ჩაძირულ ქუჩებში ლუკმა-პურის მაძიებელ ადამიანს, ქალი იყო თუ კაცი, განუკითხავად იჭერდნენ, მეტიც, ხოცავდნენ... სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან იმ ხანის საქართველოს მდგომარეობის გახსენება მზარავს და სულს მიკლავს.

მაგრამ მაინც შევახსენებ — **ქონდრისკაცებმა ქართველი ერის სიცოცხლის წყარო ამოაშრეთ, ის „ხავსიანი“ გუბე, სადაც ქართველი გადარჩენას ცდილობდა, დაწრიტეთ, უფრო სწორად, ჭაობად და ხრიოკად აქციეთ. ამ ტალახით საკუთარი „მეობის“ ძეგლი გამოჩორკნეთ და შინაგანი, ეგოისტური ზრახვებით აავსეთ, „ჩვენობის“ მნიშვნელობა და აზრი საერთოდ დაივიწყეთ, და თუკი სადმე გაიგონებდით, სიძულვილითა და ღვარძლით ამკობდით, თქვენსავე ჯიშის ადამიანებს არ ინდობდით, ანონიმური წერილებით, საჩივრებით ბრძოლას უცხადებდით, ვინმეს რაიმე რომ არ „შეშლოდა“ და კაცური ღირსების გზას არ დადგომოდა.** ყოველივე ამას დღესაც აგრძელებთ და ამაყად აცხადებთ: **ჩვენ ჭეშმარიტი ქართველები ვართ, თავისუფლებისათვის მებრძოლი მსოფლიო მოქალაქეები და ჩვენი ინტერესი და მზერა მსოფლიოს მოიცავს და არა კავკასიის მთებით შემოფარგლულ მცირე ტერიტორიას, საგანგაშო ის არის, ქონდრისკაცების ამ მსოფლმხედველობას ასაზრდოებს მათი ილუზიასა და სიბრიყვეზე დაფუძნებული რწმენა!**

არ ვიცი, სჯერათ თუ არა ამ შეთითხნილი დევიზის, მაგრამ **თუ ქონდრისკაცობის ბუნებას გავიხსენებთ, მათ უსამართლო და ყოვლად გაუმართლებელ ქართველთა სისხლისღვრას ასაზრდოებდა ემპირიული მე, ეგოცენტრიზმი,** საკუთარი თავის სამყაროს ცენტრად წარმოჩენა, რაც ილიასეული ზემორე მოხმობილი განმარტებით ამგვარად შეიძლება გადმოვცე: **„მე ვიყო კარგად და ბედნიერად, ქვა ქვაზე არ დარჩენილაო და დანარჩენი ქართველი წყალსაც წაუღია“**-ო. ეს ეგოცენტრიზმით გაჯერებული **„მე“** დღესაც თავს იჩენს ე.წ. მაღალ ქართულ საზოგადოებაში, რაც ერთობ სამწუხაროა. მაგრამ ახლა პირველივე სიტყვას მოვიდეთ, საქართველოს ამ ამაოხრებელი ბრძოლის შემდეგ, ჩვენ მივიღეთ **საქართველოს „სახელმწიფო“,** რომლის სათავეშიც მოექცნენ ვერაგი **თენგიზ სიგუა,** ხულიგანი **თენგიზ კიტოვანი** და თავის დროზე კანონიერ ქურდად აღიარებული **ჯაბა იოსელიანი.** მათთვის რომ გეკითხათ, რატომ დაამხეთ ეროვნული ხელისუფლებაო, **განა თქვენ ქართველები არ ხართო?** შეურაცხყოფილად მიიჩნევდნენ თავს და ამაყად გიპასუხებდნენ: **სწორედ რომ ქართველები ვართ, ქართველი ერის გადარჩენისთვის ვიბრძოდით და ჩვენს მიზანს მივაღწიეთო...** ზოგიერთი იმ ამაოხრებელთაგან დღესაც ამ აზრზე დგას, და მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა საწინააღმდეგოს ამტკიცებს... **და არც აინტერესებთ, რას იტყვის მათზე გამოფხიზლებული მომავალი თაობა, ალბათ, იმ იმედით, რომ ეს თაობაც, რომელიც პოსტლიბერალური აზროვნებითაა გაბრუებული და ანტიეროვნული საწამლავით მოწამლული, მათ განადიდებს და შეაქებს კიდეც, რაც ერთობ საგანგაშოა ჩვენი ერის მომავლისთვის!**

ახლა დავუბრუნდეთ სამ „რაინდს“, რომლებმაც იშმაშურეს, აქეთ-იქით მიედ-მოედნენ და მიხვდნენ, რომ ამგვარად სახელმწიფოს ვერ წარმართავდნენ, **ჯაბა იოსელიანმა,** რომელიც მათ შორის ყველაზე გონიერი იყო, გადაწყვიტა, **ედუარდ შევარდნაძე** ჩამოეყვანა. იმ დროს, ამ უკანასკნელს, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაკარგული ჰქონდა, მაგრამ, უტყუარი ინფორმაციით, იქიდან აქტიურად განაგებდა ეროვნული ხელისუფლების დამხობის პროცესს. ასე თუ ისე, იგი ჩამოაბრძანეს საქართველოში და ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი მას ზარზეიმით შეხვდება.

## შევარდნაძის დაბრუნება

ეჭვს არ იწვევს, რომ **შევარდნაძე** საინტერესო ფიგურაა, რომელიც **პოლიტიკურ ველზე ვირზე ამხედრებული მოვიდა, მაგრამ თავისი უნარითა და მოხერხებულობით თეთრ მფრინავ რაშზე გადაჯდა და მთელი მსოფლიო წარმატებით მოიარა...** ის გაუნათლებელი და უწიგნური კაცი იყო (უმაღლესი განათლების დიპლომი, ერთობ მოგვიანებით მიიღო, ისიც გიორგი ჯიბლაძის წყალობით), არც წიგნების კითხვით იკლავდა თავს და მისი გონება განათლებით დიდად არ კიაფობდა. **სამაგიეროდ, ის დაჯილდოებული იყო გამჭრიახობით, ფარისევლობით, მლიქვნელობით, ეშმაკობით, გაიძვერობით, თანამდებობის ხელში ჩაგდებისკენ საოცარი სწრაფვით და ჩანაფიქრის აღსრულების ურყევი და მტკიცე გადაწყვეტილების უნარით, რაც კარიერისტულ კიბეზე სწრაფ ზეასვლას განაპირობებს.** ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ იგი **უბადლო კარიერისტი** იყო, რამაც მისი პოლიტიკაში წინსვლა განაპირობა. მან საკუთარი **„მე“** დიდების შარავანდედით შემოსა, ერთპიროვნული ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად რომ სჭირდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ამას მან ჩინებულად გაართვა თავი. ფარისევლური ბუნება კი კარნახობდა, რომ, **უპირველეს ყოვლისა, შემოქმედი საზოგადოების, ე.წ. ინტელიგენციის გული უნდა მოეგო.**

სწორედ ამიტომ შეეცადა, მეგობრობის ხიდი გაედო ხელოვნების მუშაკებთან, მწერლებთან, მეცნიერებთან, განათლების სფეროში მოღვაწე პირებთან და დიდი პატივით ექცეოდა მათ. **თუ ვინმე იფიქრებს, რომ ყოველივე ამას ხელოვნებისა და კულტურის სფეროს სიყვარულით აკეთებდა, ძალზე ცდება, რადგან იგი ამას სჩადი-**

*გაგრძელება 28-ე გვერდზე*



ელიზბარ ჯაველიძე

# ვართ-ღა?

## რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით

დასაწყისი 26-ე გვერდზე

**ოდა აზრით, რომ იმ აჭრილ ხანაში სახელისა და გავლენის მოპოვება შესაძლებელი იყო შემოქმედებითი მაღალი წრის, ე.წ. ინტელიგენციის მხარდაჭერით და არა უბრალო ხალხის მომხრობით.** მოკლედ, მის ამ „კეთილშობილურ" ქცევას მხოლოდ კარიერისტული ზრახვები ასაზრდოებდა.

ერთი უდავოა, რომ **შევარდნაძე გამოირჩეოდა მოთმინებით, ის ჩამოაბრძანეს საქართველოში, რათა ერთგვარი მშვიდობა და წესრიგი დაემყარებინა;** ეს არ გახლდათ იოლი, რადგან მეამბოხეთა თავკაცებს თავისი პრეტენზიები ჰქონდათ. მას არ ემორჩილებოდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ (გავიხსენოთ თუნდაც, როგორ შეურაცხყო იგი **თენგიზ კიტოვანმა**). მან ეს მოითმინა, მაგრამ შემდგომ, როცა შესაფერისი მომენტი დადგა, ის ციხეში დამსახურებულად გაისტუმრა. შემდეგ მოიცალა **ჯაბა იოსელიანისთვისაც,** რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და თანაც საშიშ შეიარაღებულ ძალას წარმოადგენდა. ჯერ **„მხედრიონი"** განაიარაღა, მერე თავად **ჯაბა იოსელიანი** დაიჭირა და საპყრობილეში გამოკეტა. რაც შეეხება **თენგიზ სიგუას,** ის ჯაბა იოსელიანის და შევარდნაძის დაკრულზე ცეკვავდა და რაიმე მნიშვნელოვან ძალას არ წარმოადგენდა. **როდესაც უკვე მშვიდად იგრძნო თავი ჩვენმა ედუარდმა, მაშინ აიმაღლა ხმა თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსმა დავით ზეიკიძემ და „დიდი პოლიტიკოსის" წინააღმდეგ, თავის მომხრეებთან ერთად, დემონსტრაცია მოაწყო დედაქალაქში, მაგრამ უკვე თავისთავში დარწმუნებულმა კარიერისტმა, თავისი ეშმაკური ხერხითა და მეთოდით, ისიც დააშვიდა.**

არ ჩქარობდა, დინჯად მოქმედებდა, სულსწრაფობა არ ახასიათებდა, ჯერ შექმნა სახელმწიფო საბჭო, რომელშიც შეიყვანა ყველა გონიერი თუ უგონო. ამ საბჭოს თავად თავკაცობდა და თავმჯდომარედაც დაინიშნა თავი, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ამ საბჭოთი, რომელიც ურთიერთსაპირისპირო ადამიანებით შეიქმნა, სასურველ შედეგს ვერ მიაღწევდა. ამიტომ „არჩევნები ჩაატარა" და იმხანად პოლიტიკურ ველზე რადიკალურად განსხვავებულ პარტიებთან საერთო ენის გამონახვას და მსოფლმხედველობის საერთო ქოლგის ქვეშ მათ მოქცევას შეეცადა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. მისი მიზანი სახელმწიფო სტრუქტურის ჩამოყალიბება გახლდათ, პარლამენტის, რომელიც ლეგიტიმურად, კანონებით წარმართავდა ქვეყანას, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი ხდებოდა.

**შევარდნაძის უმთავრესი მიზანი მაინც იყო პრეზიდენტის სტატუსის მოპოვება, კონსტიტუცია „ახალი აზრით" გაამდიდრა, დაამტკიცებინა პარლამენტს და თავად პრეზიდენტად მოევლინა ქვეყანას, რაც მისი ყველაზე დიდი სურვილი იყო.** როცა ეს სურვილი შეისრულა, ხელი ხელს შემოჰკრა, შვებით ამოისუნთქა და დასძინა — ახლა კი ქვეყანაზე მშვიდობას და დემოკრატიას დავამყარებო.

როგორი მშვიდობა დაამყარა **ედუარდ-გიორგიმ** ქვემოთ მოგახსენებთ, მაგრამ როგორ ესმოდა მას დემოკრატია და რა ხერხებს მიმართავდა მის დასამკვიდრებლად, ამის თაობაზე აქვე მცირედს გავიხსენებ. ქალაქ გორში შეხვედრას უწყობდნენ საზოგადო მოღვაწეებს: **მუხრან მაჭავარიანს, ვახტანგ ბოჭორიშვილს, ირაკლი გოცირიძეს, ელიზბარ ჯაველიძეს.** ამ შეხვედრის შესახებ გორში აფიშებიც კი გამოაკრეს, ადგილობრივმა ტელევიზიამ ინფორმაცია გაავრცელა. ამ „თავზარდამცემმა" ფაქტმა დააბნია შიდა ქართლის გუბერნატორი **ბადრი ხატიძე,** რომელმაც შევარდნაძეს რჩევისთვის მიმართა, როგორ მოქცეულიყო. ამ რჩევამ კი „დემოკრატიის განვითარების ამგვარი სურათი წარმოაჩინა" — **გორის შესასვლელის ყველა გზა პოლიციელებმა და სპეცრაზმმა საგულდაგულოდ გადაკეტა, გამოაცხადეს საპასპორტო რეჟიმი და საბუთების გარეშე არავის უშვებდნენ. როცა გაკვირვებული ხალხი კითხულობდა, რა ხდებაო, პასუხობდნენ, რომ მუხრან მაჭავარიანის ხალხი დაიძრა თბილისიდან და ქალაქი რომ არ აგვიოხრონ, ზომებს მივმართეთო.** იმავდროულად, საშიში ლაშქრობის გამოძიება დაიწყეს და სამხარეო პროკურორმა **ამირან ნოზაძემ** და გორის უშიშროების უფროსმა **თამაზ ჩუტკერაშვილმა** დაიბარა კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების თავმჯდომარე **ტარიელ ჭუმბურიძე,** დაუწყეს გამოკითხვა, თუ რატომ და საიდან გაუჩნდა „ხალხის მტრებთან შეხვედრის ეს მოღალატური აზრი". **გუბერნატორმა ეს ზომებიც არ იკმარა და, სადაც შეხვედრა უნდა გამართულიყო, შესაძლო ხანძრის გაჩენის მოტივით, იმ კლუბის კარები ააჭედინა და სექტემბრამდე დალუქა.**

თუმცა, მეორე დღეს, **„მაჭავარიანის პროვინციელმა ფაშისტებმა"** თავისი არ მოიშალეს და ზესტაფონის „დალაშქვრა" მოინდომეს... ზესტაფონის გამგებელმა **ჯემალ გიორგაძემ** ამ „თავდასხმის" მოსაგერიებლად უფრო ეშმაკურ ხერხს მიმართა. კერძოდ, **ის მუხრანის „პროვინციულ ფაშისტებს" „პაჟალუსტა მობრძანდით" შეეგება, მაგრამ საგულდაგულოდ გადამალა ზესტაფონის ყველა კინოთეატრისა თუ კლუბის დირექტორები და დარბაზის კარები საიმედოდ ჩაარაზინა.** ზესტაფონის მილიციის უფროსი **ოლეგ ნაცვლიშვილი** საქვეყნოდ ამაყობდა — **ძლივს გაიწმინდა ზესტაფონი კრიმინალებისგან და ახლა მუხრან მაჭავარიანს ავარევინებ ქალაქსო.** იქ თავშეყრილ საზოგადოებას კი დაჭერით ემუქრებოდა, თუკი სტუმრებს შეხვდებოდნენ.

შეხვედრა მაინც შედგა ღია ცის ქვეშ, პარკში, მაგრამ გულთბილ და გულწრფელ შეხვედრას ზეციდან აკონტროლებდნენ სუპერ რეაქტიული შვეულმფრენები, აქაოდა, **მუხრან მაჭავარიანის** მიმდევრებმა ხიდი არ აგვიფეთქონო. კიდევ ბევრი ფაქტის მოხმობა შეიძლება, მაგრამ თქმულიც კი საკმარისია, რათა გავაცნობიეროთ, როგორ ესმოდა ამხანაგ **გიორგი შევარდნაძეს** დემოკრატია და თავისუფლება!

ეს ყოველივე არ გაგვიკვირდება, თუ გავიხსენებთ, რომ **შევარდნაძემ** ერთ-ერთმა პირველმა გამართა თბილისში **საერთაშორისო მასონური ფორუმი: „კულტურათა დიალოგი სოლიდარობისათვის, აგრესიულობის და ძალმომრეობის დასაძლევად".** ამ ერთობ რთული პრობლემის გადასაჭრელად, თავად **ამხანაგმა ედუარდმა,** „თავისუფლების" მოტრფიალემ და „დიდმა დემოკრატმა" ისეთი ამაღლებული „აზრით" შეჯერებული სიტყვა უთხრა ჩვენს უცხოელ სტუმრებს, დიდძალი გამოცდილება რომ აქვთ აგრესიულობისა და ძალმომრეობის დაძლევის საქმეში, თან სულ ცრემლები აღვრევინა. კერძოდ, მან თქვა: **„გადავარჩინოთ კულტურა და კულტურა გადაგვარჩენს ჩვენ".**

ეს ტენდენცია ერთობ მოეწონათ ჩვენ სტუმრებს, „პრომეთეს ცეცხლის დასანთებად" რომ ჩამობრძანდნენ საქართველოში. უფრო მეტიც, მას ისეთი სიამაყე მოჰგვარა თავისი კულტურის მაღალმა დონემ, რომ განაცხადა: **მე და, ასევე, ჩემს მეგობრებს — კოლს, ბუშს, ბეიკერს, გენშერს და სხვებს, კულტურა დაგვეხმარა ბერლინის კედლის დანგრევაშიო.** დაე, ედუარდ შევარდნაძის კულტურის დონე იმ ადამიანებმა განსაზღვრონ, ვინც კარგად იცნობს მის „მდიდარ" სულიერ სამყაროს. მაგრამ ერთი უდავოა, კულტურა, განსაკუთრებით კი ისეთი, ჩვენს მამა-მარჩენალს რომ ამშვენებს, ანგრევს ადამიანის ფსიქიკას. სწორედ ამ დანგრეული ფსიქიკის წყალობით დაეცა საქართველოს სულიერება, აგრერიგად რომ ეამაყება **ედუარდ-გიორგის და მის ხელდასხმულ ე.წ. ინტელიგენციას,** რომელთა ღვაწლიც ნაციონალური ტირანიისა და დესპოტიზმის დამარცხებაში განუზომელია. გამორჩევით კი აღვნიშნავ იმ „ღვაწლს", რაც მათ „პროვინციული" ეროვნული ტრადიციების დამარცხებასა და „დემოკრატიის გამარჯვებაში" მიუძღვით.

რა ხდებოდა იმხანად საქართველოში და როგორი დემოკრატია და შემწყნარებლობა ბატონობდა, ზემოთ მოხმობილი ეპიზოდებიც ნათლად მეტყველებს. ალბათ, ამიტომაც შეგვახსენა დიდი პოლიტიკოსის და კულტუროლოგის ახლო მეგობარმა, იუნესკოს გენერალურმა მდივანმა **ფედერიკო მაიორ სარაგონმა: „შემწყნარებლობა სწორედ ის არის, აზრთა სხვადასხვაობა ასატანი იყოს".** მაგრამ ბატონ **გიორგი-ედუარდს** და მის თანამებრძოლებს სწორედ მთავარი ავიწყდებოდათ და განსხვავებული აზრის ადამიანებს დევნიდნენ, აპატიმრებდნენ, აწამებდნენ, უკანონოდ ასამართლებდნენ და სასიკვდილოდ იმეტებდნენ.

ახლა მინდა ზოგიერთი ფაქტი გავიხსენო, შევარდნაძის დესპოტი და დაუნდობელი მკვლელის ბუნებას რომ აგვიხსნის. **დიახ, მას ხშირად ავიწყდებოდა, რომ ეწადა, „მშვიდობის მტრედად" აღექვა ის ქართველ ხალხს. მაგრამ ძერად გარდაიქმნებოდა ხოლმე სისხლს მოწყურებული, ძიძგნიდა ყველას, ვინც კარიერისტულ წინსვლის გზაზე წინ აღუდგებოდა.** ასე რომ, „დიდი დემოკრატის და შემწყნარებლის" პოლიტიკის ველში განვლილი კარიერისტული გზა სისხლით არის მორწყული. აი, ზოგიერთი ფაქტი: **ზურაბ პატარიძე,** რომელიც იყო ნიჭიერი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და თავისი პრინციპულობით ხშირად ეწინააღმდეგებოდა ედუარდს, ავარიაში დაიღუპა. დაახლოებით ღამის ორ საათზე, როცა ის კახეთიდან ბრუნდებოდა, მოულოდნელად გზა გადაუჭრა სატვირთო მანქანამ, რამაც მისი სიცოცხლე შეიწირა. ეს რომ არ იყო შემთხვევითი, არამედ, წინასწარ განზრახულ, მოწყობილ ავარიას წარმოადგენდა, ამაზე მაშინაც და დღესაც მსჯელობენ ისინი, ვისაც თვალები არა აქვთ დაბრმავებული და ყურები დახშული. **უფრო ნიშანდობლივია ის, რომ შევარდნაძემ თავისი უახლოესი მეგობარი, როგორც თავად ხშირად ხაზს უსვამს, მართლმსაჯულებას გადასცა და დააxვრეტინა.** რა უნდა ვუწოდოთ სიმართლისათვის მებრძოლ კომუნისტს, ახლობლებსაც რომ არ ინდობდა? ასევე, სხვა პარტიული ხელმძღვანელებისგან განსხვავებით, სასტიკად რომ გაუსწორდა **ახალგაზრდებს, რომლებმაც თავისუფლების ბრმა სიყვარულით, თვითმფრინავი გაიტაცეს თავისუფლების სამყაროში გადასაფრენად?** ისინი და მათი ერთგვარი სულიერი თავკაციც, რომელიც ამ გატაცებაში უშუალოდ არ მონაწილეობდა, დააxვრეტინა? საქმე ის გახლავთ, რომ თვითმფრინავის გატაცების ფაქტი, სხვა რესპუბლიკაშიც მოხდა, მაგრამ ის „გამტაცებლები", არავის დაუხვრეტია. **მაგრამ შევარდნაძე რისი შევარდენი, უფრო სწორედ, ძერა იქნებოდა, რომ თავის ურყევ კომუნისტობაში კრემლში მოღვაწე ბელადები არ დაერწმუნებინა.** მეტიც, საზოგადოების ერთმა დიდმა ნაწილმა წერილი მისწერა და ახალგაზრდების შეწყნარება სთხოვა. **ნაცვლად შეწყნარებისა, მან ისინი დაიბარა და ხელმოწერის უარყოფა აიძულა.** ამგვარი შემწყნარებელი იყო **ედუარდ-გიორგი.** როგორც იმხანად საზოგადოების ღირსეული და ცნობილი ადამიანები დაბეჯითებით გვარწმუნებდნენ, **სულიკო ხაბეიშვილის** სადარბაზოში ჩაცხრილვა, **მიშა ქურდაძის** — ქალაქის პროკურორის მკვლელობა, მშვიდობისათვის მებრძოლი ბატონი ედუარდის ქვენა გრძნობებით იყო ნაკარნახევი და განხორციელებული და მრავალი სხვა...

გონივრული ეჭვი არსებობს, რომ ერთობ საეჭვო ვითარებაში, მისი სურვილით **ჟიული შარტავა და მამია ალასანია** იქ მიავლინეს, საიდანაც სავსებით მოსალოდნელი იყო, ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებოდნენ. და ასეც მოხდა. **არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ მან მოაკვლევინა ზვიად გამსახურდია.** ყველა ჭეშმარიტ ქართველს ახლაც ყურში უწივის შევარდნაძის სიტყვები: **„ცოცხალი ზვიად გამსახურდია არ მჭირდება",** რომელიც უშიშროების მინისტრს **იგორ გიორგაძეს** უთხრა, როცა მას ალყაში ჰყავდა მოქცეული ზვიად გამსახურდია. **ჰოდა, თქვენი სურვილი აღასრულებინე ნაძირალებს, წამებით მოაკვლევინეთ საქართველოს საამაყო შვილი ზვიადი, მერე კი საშინელი სპექტაკლი დადგით, თითქოს მან, ღრმად მორწმუნე კაცმა, თავი მოიკლა!**

„მბრძანებელი" ედუარდის კარიერისტული ზრახვები კარგად იკვეთება ღვინისა და საკონსერვო ქარხნის მუშაკებთან დამოკიდებულებაში. როდესაც ჩვენი მეგობარი ქვეყნის თავკაცმა **ილჰამ ალიევმა** სამართლიანად დაიმსახურა კრემლის ყურადღება და საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავი და ტიტული მიანიჭეს, **ედიკამ** ლამის პერანგი შემოიხია: **„რაო, ალიევი რითი მჯობიაო..."** იხმო იმ რაიონის რაიკომის მდივნები, სადაც ყურძენი იწურებოდა და თითოეულს ჯერაც გაუგონარი რაოდენობის ყურძნის დამუშავება უბრძანა. რა საუბარი იმართებოდა შევარდნაძის, რაიკომის მდივნებსა და წარმოების დირექტორებს შორის, ცნობილია: **ვინც უარი თქვა ამ უზნეო ღონისძიებების ჩატარებაზე, შეუტიეს, დაავალეს და შეახსენეს, რომ უხვად იშოვებოდა ამქვეყნად შაქარი და წყალი და თუ ამ გზას არ დაადგებოდნენ, საკადრისად დაისჯებოდნენ, ციხეში დაისვენებდნენ. რა ექნათ მეღვინეებს, ან ციხეში უნდა წასულიყვნენ, ან უნდა ჩაედინათ ის, რასაც მათგან მოითხოვდნენ.** ერთი სიტყვით, ისინი იძულებულნი იყვნენ, ხელი მოეწერათ ისეთ სიყალბეზე, საქართველოს ისტორიას რომ არ ახსოვს. მაგრამ, ნიშანდობლივია ის, რომ ამ სიყალბით ედუარდმა მკერდი ოქროს ვარსკვლავით დაიმშვენა. მაგრამ ამას არ დასჯერდა, დაერია ყველა მეწარმეს თუ მეღვინეს და, ვინც ხელთ იგდო, ციხისკენ გაუყენა გზას, თანაც ხმამაღლა აცხადებდა: **უსინდისობა მინახავს, მაგრამ ასეთი, რაც მეღვინეებმა ჩაიდინეს, არ გამიგონიაო.** ასევე მოექცა საკონსერვო ქარხნის დირექტორებს და მეწარმეებს.

რა ვთქვა, რით გაგაკვირვოთ?! უსინდისო და გარეწარი კაცი როგორ არ მინახავს, მაგრამ ამ „პატიოსანი" ცეკას მდივნის მსგავსი არც მინახავს და არც არასოდეს მსმენია.

**შევარდნაძე იმდენად გაკადნიერდა, რომ თავი პატიოსნების სიმბოლოდ მიიჩნია და ხალხში ხმა დაირხა, რაც არ უნდა იყოს, შევარდნაძე ფულს არ ეკარებაო.** შეიძლება ის მართლაც არ იღებდა, მაგრამ მისი მეუღლე ამა თუ იმ ადგილს **„მილიონად ყიდდა",** ეს და მრავალი სხვა ყველამ კარგად იცის. და აქვე ერთს ვიტყვი: **იმხანად, როცა კორუფცია, თურმე, არ ბატონობდა, შევარდნაძის უშუალო ბრძანებით, ასზე მეტი მცირე თუ დიდი მოცულობის გემი გაიყიდა.** ამ პროცესს **ზურაბ ჟვანია** არეგულირებდა, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, სახელმწიფოს ბიუჯეტში აქედან არც ერთი კაპიკი არ გადარიცხულა.

**ყველაზე დიდი დანაშაული იყო აფხაზეთთან ბრძოლის დაწყება, მართალია, ის წამოიწყო რუსეთის აგენტმა, თენგიზ კიტოვანმა, რომელმაც რუსეთის ნაჩუქარი 100 ტანკით აფხაზეთის დალაშქვრა გადაწყვიტა და გაილაშქრა კიდეც, მაგრამ, შევარდნაძე, რომელსაც გონებამახვილობას ვერ დაუწუნებთ, ამ გიჟმაჟის შეჩერების ნაცვლად, ანტიპატრიოტობა არ დამაბრალონო, თავად ჩაერთო ამ ბრძოლაში და, შეიძლება ითქვას, ვაჟკაცურად იქცეოდა, ზოგიერთი მისი მომდევნო მთავარსარდალივით, შიშით მიწაზე არ გაკოტრიალებულა და არ აკანკალებულა, პირიქით, პერიოდულად ბრძოლის წინა ხაზზეც ჩნდებოდა.**

მაგრამ შედეგად რა მივიღეთ? დავკარგეთ აფხაზეთი, დავკარგეთ ჭეშმარიტად პატრიოტი, სამშობლოს მოყვარული ახალგაზრდები, შევარდნაძემ კი კვლავ თავისთვის მომგებიანი საჭადრაკო სვლა გააკეთა. ამ დამარცხების შემდეგ მან განაცხადა, რომ ტოვებდა პოლიტიკურ ველს და ხელს იღებდა ქვეყნის მართვაზე. **ამან კი ერთობ ბრიყვი და უგნური საზოგადოება შეაკრთო, აღაშფოთა და დაუჩოქეს, შეევედრნენ, ქვეყანა არ დაეტოვებინა და არ გაეუბედურებინა.** დიდსულოვანმა ედუარდმა თავისი ხალხის ვედრება შეისმინა და კვლავ აიღო ხელთ ქვეყნის მართვის სადავეები, რის გაშვებასაც არც როდის აპირებდა. პოლიტიკური ველის საჭადრაკო დაფაზე იგი მსგავს სვლებს ხშირად იყენებდა. გავიხსენოთ თუნდაც მისი მანქანის აფეთქება, რომელსაც, როგორც თავად აცხადებდა, ძლივს გადაურჩა და გადაწყვიტა, აღარ მიეღო არჩევნებში მონაწილეობა, **აქაც დიდი ხვეწნა-მუდარა მოუწიათ, ე.წ. პოლიტიკოსებს და ინტელიგენციას და ისიც დიდი „ჭოჭმანის" შემდეგ დათანხმდა ხალხის თხოვნასა და ვედრებას. შევარდნაძე ჩაერთო არჩევნებში, მარიფათი დაატრიალა და, ცხადია, გაიმარჯვა კიდეც.**

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ჩვენ მიერ მოხმობილი მასალით, რა გავიგოთ — **რა ამოძრავებდა ამხანაგ ედუარდს?** საქართველოს და ქართველი ერის გადარჩენა?! **არა და არა!** მას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს იმ გზაზე, რომელიც ჩვენს ერს და ქართველობას გადაარჩენდა, ქართულ კულტურას და ჩვენს უძველეს ტრადიციებს დაიცავდა და გაამდიდრებდა. პირიქით, **მასონურ მახეში გაბმული, ის დაუნდობლად ებრძოდა ეროვნულობას, პატრიოტიზმს, სამშობლოსათვის თავდადებულ პიროვნებებს. მათ „პროვინციელ ფაშისტებს" უწოდებდა და როგორც ექცეოდა, ეს კარგად გააცნობიეროს იმ ადამიანმა, ვისაც გონება და თვალი დახშული და დაბრმავებული არ აქვს.**

თუ ედუარდს დავუჯერებთ, იგი დაუცხრომლად იღვწოდა საქართველოში დემოკრატიის დასამკვიდრებლად, მაგრამ მისი გარჯის შედეგად ხელთ დესპოტური ქვეყანა შეგვრჩა, სადაც დემოკრატიის სხივიც კი არ ციალებდა.

**იბრძოდა საქართველოს ძირძველი კუთხეების დასაბრუნებლად და დაგვაკარგვინა აფხაზეთი, დიდებული ჩვენი მხარე, ბაღნარი.**

**იბრძოდა კორუფციის წინააღმდეგ და თავად გაიბლანდა კორუფციაში. იბრძოდა თავისუფლებისათვის, მაგრამ ადამიანები ან ციხეში გამოკეტა, ან სასაფლაოზე მიუჩინა ადგილი.**

**იბრძოდა სამართლიანობის განსამტკიცებლად და თავად ააგო უსამართლობის პირამიდა. იყო უბადლო კარიერისტი, რომელმაც კარიერის მაღალი მწვერვალების დაპყრობა გადაწყვიტა და დაიპყრო კიდეც ქართველი კაცის ღირსების მიწასთან გასწორების სანაცვლოდ.**

როგორც კრემლის მეორე პირი **ლიგაჩოვი** თავის ნაშრომში გვაუწყებს, **ის იყო შეუდარებელი „მლიქვნელი", რომლის მსგავსი არ ახსოვს კაცობრიობას.** ერთი სიტყვით, კარიერისთვის ათასგვარ ხრიკებს იგონებდა, ყოველგვარ სისაძაგლეს სჩადიოდა, თავის ზემდგომებს ენით ლოკავდა, ეპირფერებოდა, ხოლო მოწინააღმდეგეებს სასიკვდილოდ იმეტებდა.

სავსებით რეალურად და ობიექტურად არის გააზრებული ედუარდ შევარდნაძის სახე ქართულ პოლიტიკასა და საქართველოს ისტორიაში და, იმედია, ასეთად გაიცნობს მას მომავალი თაობა.

*გაგრძელება იქნება*

# შევარდნაძის საიდუმლო




## ედუარდ შევარდნაძე: ბიჭებო, სულ ტყუილად ნერვიულობთ, გადადგომის გადაწყვეტილება უკვე მივიღე!

დასაწყისი იხ. „ა-დ". 2023 წლის №46-48

***ალბათ ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო! ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი! ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს" ამოხსნით თუ შეიძლება!***



**შევარდნაძე** დეტალურად იხსენებს 2003 წლის 22 ნოემბერს — იმ ავადსახსენებელ დღეს, როდესაც ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა და მისი ლეგიტიმაცია უნდა მომხდარიყო:

***„დადგა 22 ნოემბერი — ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის დღე. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მოგვახსენა, რომ არჩევნები კანონიერად ჩატარდა და ახალი პარლამენტის შეკრებაც ლეგიტიმური იყო. რეგლამენტის მიხედვით, ეს სხდომა მე უნდა გამეხსნა. იგი დანიშნული იყო ოთხი საათისთვის, მაგრამ ხუთის ნახევრამდე ვერ დავიწყეთ, რამდენიმე დეპუტატს ველოდით, რათა ქვორუმი შემდგარიყო..."*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე." გვ. 25).*

რატომ არ დაინიშნა ახალი პარლამენტის ლეგიტიმურობის დამამტკიცებელი პირველი სხდომა 22 ნოემბრის დილით?!

რატომ ვერ მოხერხდა მოქკავშირელი დეპუტატების სრული მობილიზება დროულად, რომ დილით გასამართი სხდომა საღამოს ხუთის ნახევრამდე არ გადატანილიყო?!

ამ რიტორიკულ კითხვებზე პასუხიც ნათლად ადასტურებს, რა დონის „ბარდაკი" იყო შევარდნაძის ხელისუფლებაში მაშინ, როდესაც თითოეულ წუთს ოქროს ფასი ჰქონდა მმართველი პარტიის ყოფნა-არყოფნისთვის!

მემუარისტი კი ასე აგრძელებს ახალი პარლამენტის პირველი სხდომის გახსნას:

***„როგორც იქნა, სხდომა გაიხსნა. დავიწყე ჩემი გამოსვლის კითხვა — მოკლე გამოსვლა იყო და საკმაოდ ნელა ვკითხულობდი. რამდენიმე სტრიქონიღა მრჩებოდა წასაკითხი, რომ არაადამიანური შეძახილები გაისმა — ერთხელ, ორჯერ... სხდომათა დარბაზის კარი შემოამტვრიეს. ჩამესმა ვიღაცის როყიო წამოძახილი: „გადადექი!" „გადადექი!"*** *თავი რომ ავწიე, ნაცნობი ადამიანები დავინახე, რომლებიც რამდენიმე დეპუტატის და ჩემთვის უცნობი ახალგაზრდების გარემოცვაში იყვნენ. მე მოხსენების კითხვას ვაგრძელებდი. უცებ სხდომათა დარბაზის კართან ჩოჩქოლი ატყდა. ერთი პირობა, შემოჭრილების ნაწილი თითქოს გაიყვანეს კიდეც დარბაზიდან, მაგრამ, ეტყობა, გარედან მათი მომხრეების ტალღა მოაწვა და ისინიც ჯიქურ წამოვიდნენ ტრიბუნისკენ.* ***დეპუტატები ერთბაშად გაიხვეტნენ დარბაზიდან. დაცვის ბიჭები შემომეხვივნენ და გამიყვანეს — ისინი თავიანთ სამუშაოს ასრულებდნენ, რასაც ვერ ვიტყვი იმათზე, ვისაც პარლამენტის შენობაში წესრიგის დაცვა ევალებოდა. უკვე შემდეგ შევიტყვე, რომ მომიტინგეები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შემოიჭრნენ პარლამენტში"*** *(იქვე, გვ. 25).*

**შევარდნაძის** მიერ ასეთი აშკარა ზიზღით მოხსენიებული **„ვიღაცის როყიო ხმა", „გადადექი-გადადექი!"**-ს რომ ყვიროდა, სხდომათა დარბაზში თანამზრახველებთან ერთად შეჭრილი **მიხეილ სააკაშვილი** გახლდათ.

და კიდევ: მემუარისტი ისე განყენებულად ჰყვება, პარლამენტის შენობა ვერ დაიცვეს მომიტინგეების შემოჭრისგანო, თითქოს ეს მისი მთავრობის უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროებს კი არა, მეზობელი სოფლის კლუბის გამგეს ევალებოდა, უბილეთო მაყურებლები რომ შეეპარა „ზიტა და გიტას" წაროვნამდელი ინდური ფილმის კინოსეანსზე!

**შევარდნაძე** იქვე იხსენებს, როგორ შეაფასა მომხდარი სახელმწიფო გადატრიალებად:

***„დაცვამ პარლამენტის ეზოში ჩამიყვანა. იქ მანქანაში ჩავსხედით და მარცხენა ჭიშკრიდან გავედით პარლამენტის შენობის წინ, სადაც თბილისიდან, აჭარიდან და კახეთიდან ჩემ მხარდასაჭერად მოსულ მომიტინგეებს შევხვდი. მოკლედ მივმართე ხალხს და მომხდარი შევაფასე, როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. შემდეგ მანქანაში ჩავჯექი და საკუთარი რეზიდენციისკენ გავემგზავრე. საღამოს, ძალოვნებთან თათბირის შემდეგ, კონსტიტუციის შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობა გამოვაცხადე. სათანადო განკარგულება ტელერადიომაუწყებლობით გადაიცა, მეორე დღეს კი გაზეთებშიც დაიბეჭდა"*** *(იქვე, გვ. 26).*

მაგრამ ეს ბლეფი იყო: **შევარდნაძე,** მისივე აღიარებით, თურმე, არც აპირებდა არავითარი საგანგებო მდგომარეობის შემოღებას:

***„თუმცა, ამ ფორმალურ პროცედურათა დროს და შემდეგაც თვალწინ საშინელი სურათი მედგა: მომიტინგეები და ჯარი*** *(მე ხომ მთავარსარდალიც ვიყავი)* ***ერთმანეთს ეჯახება, სისხლისღვრა გარდაუვალია, შემდეგ შეტაკებები ქვეყნის სხვა რეგიონებშიც გადაინაცვლებს.*** *ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელ მხარეს დაიღუპებოდნენ ადამიანები: იქითაც და აქეთაც საქართველოს მოქალაქეები იდგნენ. ამავეს მეუბნებოდნენ ჩემი მეუღლე და ჩემი შვილი* ***პაატა,*** *რომელიც აღელვებული მირეკავდა პარიზიდან (იგი იუნესკოში მუშაობს).* ***მე ისინი დავამშვიდე და ვუთხარი, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა და არავითარი საგანგებო მდგომარეობა აღარ იქნებოდა. ქვეყანაში, რომელმაც გადაიტანა 1921, 1924, 1937, 1956, 1989 წლები და სამოქალაქო ომი, ეროვნული ხელისუფლების მიერ სისხლის დაღვრა უდიდესი ბოროტება იქნებოდა. მეტიც, თვით ოპოზიციის ლიდერებს მიაჩნდათ, რომ შევარდნაძე სისხლის ღვრაზე არ წავიდოდა, ამიტომაც მოქმედებდნენ ასე თამამად პარლამენტში და სახელმწიფო კანცელარიაში შეჭრისას. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთს ჩემი სრული დისკრედიტაციისთვის მართლაც ხელს აძლევდა სისხლის დაღვრა"*** *(იქვე, გვ. 26).*

მემუარისტი აქაც აშკარად სააკაშვილზე ლაპარაკობს — სწორედ ის შეიჭრა შეიარაღებულ დაცვასთან ერთად პარლამენტის სხდომათა დარბაზში, ქურთუკის ქვეშ მორგებული ჯავშანჟილეტით სასაცილოდ გაბერილი...

რა თქმა უნდა, **შევარდნაძე** აშკარად თვითტრფობაში დამთვრალი წერს, აბა, სისხლს როგორ დავღვრიდი ისედაც ზღვა სისხლდადინებულ საქართველოშიო?!

**თითქოს იმ 1989 წლის 9 აპრილის სისხლისღვრასთან თუ „სამოქალაქო ომად" წოდებულ სისხლიან პუტჩთან მას არანაირი კავშირი არ ჰქონოდა!**

არაფერს ვამბობ იმ **სისხლიან რაუნდებზე,** რომელიც მისი სახელმწიფო საბჭოს მეთაურობისას ხუთჯერ რომ ჩაუტარეს სამეგრელოს...

უბრალოდ, **შევარდნაძე** მიხვდა, რომ მისი ხელისუფლება იმდენად ჩამომპალი იყო, რომ ვერავითარ საგანგებო მდგომარეობას ვერ გაართმევდა თავს!

რა საგანგებო მდგომარეობა უნდა აღესრულებინა უშიშროებისა და შს სამინისტროებს, რომლებმაც სააკაშვილის სულ რამდენიმე ასეული ავანტიურისტისგან სახელმწიფო კანცელარია და პარლამენტი ვერ დაიცვეს?!

მითუმეტეს, მაშინდელი თავდაცვის მინისტრმა **დავით თევზაძემაც** უარი თქვა ყაზარმებიდან ჯარის გამოყვანაზე საგანგებო მდგომარეობის აღსასრულებლად და ამიტომაც შეინარჩუნა თანამდებობა გაპრეზიდენტებული სააკაშვილის მთავრობაშიც!

შემდეგ **შევარდნაძე** იხსენებს, როგორ მივიდნენ 23 ნოემბერს კრწანისში, მის რეზიდენციაში **სააკაშვილი და ჟვანია:**

***„23 ნოემბერს, გვიან საღამოს, ჩემთან, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში, მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ჟვანია მოვიდნენ. ჩემს რეზიდენციას დაახლოებით ათასამდე მომიტინგეც მოადგა. მიშამ და ზურამ ჩემი გადადგომის შესახებ დაიწყეს საუბარი, თუმცა, არც ისე მტკიცედ და კატეგორიულად. ჩემი პასუხი უბრალო იყო: „ბიჭებო, ტყუილად ნერვიულობთ, გადადგომის გადაწყვეტილება უკვე მივიღე და მის შეცვლას არ ვაპირებ. უმჯობესია, ახლა ხვალინდელ დღეზე იფიქროთ. ქვეყნის მართვა ნამდვილი ხელოვნებაა და არ მინდა, ამ საქმეში მარცხი განიცადოთ. თუ რამეში გამოგადგებათ ჩემი კონსულტაცია, მზად ვიქნები". რა თქმა უნდაო, მიპასუხა ორივემ. შემდეგ კი ვკითხე: „დავამთავრეთ საუბარი? სახეზე შევატყვე, მათთვის ეს მოულოდნელი იყო, ეტყობა, ელოდნენ, რომ დავიწყებდი მთელი რიგი დათმობების ან კომპრომისების მოთხოვნას"*** *(იქვე, გვ. 27).*

**შევარდნაძე** ისე ამბობს, ქვეყნის მართვა ნამდვილი ხელოვნებააო, თითქოს ამის თქმისას სწორედ მისი გამოზრდილი „ნამდვილი ხელოვნების ნიმუშები" არ ეჯდა წინ, ჩამოქცეულ სახელმწიფოში, უკაცრავად სლენგისთვის და თანამდებობიდან რომ „მოასრიალეს!"

შემდეგ მემუარისტი ჰყვება, როგორ შედგა ის ისტორიული სცენა, როდესაც მან ჟურნალისტებს პირდაპირ ეთერში განუცხადა, **სახლში მივდივარო:**

***„დაღლილი ვიყავი, მაგრამ გულზე სიმშვიდე მომეფინა — დაპირისპირება უმსხვერპლოდ და უსისხლოდ დამთავრდა. შევთავაზე, ჟურნალისტებთან სასაუბროდ ჯერ ისინი გასულიყვნენ, მაგრამ უარი თქვეს. ვატყობდი, ემოციურად ძალიან დატვირთულები იყვნენ. მაშინ გამოვეთხოვე და ქვედა სართულზე ჩავედი, სადაც უამრავ ჟურნალისტს მოეყარა თავი. შემომეხვივნენ და მეკითხებოდნენ, რით დამთავრდა შეხვედრა. ვუპასუხე, რომ გადავდექი, გადაწყვეტილება საბოლოოა და გადასინჯვას არ ექვემდებარება. მკითხეს:***

*— ბატონო პრეზიდენტო, ახლა სად მიდიხართ?*

*— სახლში, — ვუპასუხე.*

*— კი მაგრამ, მერე?*

*— მერე ცხოვრება გვიჩვენებს" (იქვე, გვ. 27).*

აი, ასე მორჩა ეს ამბავი — ასე გადააბარა შევარდნაძემ ხელისუფლება „ბიჭებს"— **მიშას და ზურას!**

არადა, იმ დღეს მასთან რეზიდენციაში ერთი „გოგოც" იყო — მისი პარლამენტის თავმჯდომარე **ნინო ბურჯანაძეც,** რომელმაც სააკაშვილის დაჟინებული მოთხოვნით, შევარდნაძე ქმედუუნარო პრეზიდენტად გამოაცხადა და, როგორც ლეგიტიმურმა პარლამენტის თავმჯდომარემ, თავად იტვირთა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ფუნქცია!

და ამიტომაც, შევარდნაძემ **ნინო ბურჯანაძე** საერთოდ ამოშალა ამ ისტორიიდან...

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***



# მიხეილ ცაგარელი:
# ასტროლოგია და ლითონები

*— ოქრომ რა გამოყენება პოვა კარდიოლოგიაში დიაგნოსტირებისას, მისი რომელი რადიოიზოტოპი იქნა შემუშავებული და ვის მიერ გულში არსებული სისხლძარღვების გამოსახულების მისაღებად? ე.წ. მზიური ციფრი, ყველაზე წმინდა უმაღლესი სინჯის ოქროს მაჩვენებელი რისი ტოლია ანდა ერთი უნცია ტროა, რომელიც ოქროს წონას აღნიშნავს, რამდენ პურის მარცვალს უდრის? ანტიკურ ხანაში წითელ ვერცხლისფერ მთვარეს ვის უკავშირებდნენ და როგორ გამოსახავდნენ? რატომ არის დაგროვილი საკმაო რაოდენობის ვერცხლი ფოტო და კინოინდუსტრიაში? რაშია გამოსახული ვერცხლის პასიურობა და აღქმის უნარი? ვერცხლს კიდევ რა თვისებები გააჩნია და რა აერთიანებს და აკავშირებს მას მთვარის ბუნებასა და თვისებებთან, კირჩხიბის ზოდიაქოსთან და მეოთხე ასტროლოგიურ სახლთან ანდა სად არის გაბნეული ვერცხლის უდიდესი მარაგი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* მიხეილ ცაგარელი *გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი პლანეტების, ზოდიაქოს ნიშნებისა და ლითონების შესაბამისობისა და ურთიერთკავშირის შესახებ. მზისა და ოქროს მსგავსებაზე გვესაუბრებოდით.**

— ცნობილია, რომ **ასტროლოგიური თვალთახედვით ადამიანის გულს მართავს და განაგებს მზე.** ნიშანდობლივია ისიც, რომ ჩვენს ორგანიზმში განიბნევა რა **ოქრო,** თავის უმაღლეს კონცენტრაციას გულის არეში აღწევს. ამგვარად, **ოქრო მედიცინაში კარდიოლოგიური დაავადებების დიაგნოსტირებისთვის გამოიყენება.** იმის გამო, რომ, როგორც მოგახსენეთ, **ოქროს** ყველაზე დიდი კონცენტრაცია გულის არეში შეიმჩნევა, შემუშავებული იქნა მისი **რადიოიზოტოპი AU-195,** რომელსაც შეუძლია გულში არსებული სისხლძარღვების სტრუქტურის წარმოჩენა. ამ პროცესს ეწოდება „გულის გამოსახულება", ანუ შეიძლება ითქვას, რომ ოქრო გამოსახავს გულს. ეს ახალი ტექნოლოგია შემუშავებულ იქნა ლონდონში, წმინდა ბართლომეს სახელობის საავადმყოფოში. **დამეთანხმებით, რომ ოქროს არ ჰყავს ბადალი.** სახელმწიფოთა სიმდიდრე ოქროს იმ რაოდენობით განისაზღვრება, რომელიც მის საბადოებში, საცავებსა და მოსახლეობაშია დაგროვილი. ამიტომ მსოფლიოს ეკონომიკაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს. **ოქროს ფასს კი ხშირად სასაქონლო ბირჟების გულისცემას უწოდებენ.** ამ ლითონის სისუფთავე კარატით განისაზღვრება. **უმაღლესი მაჩვენებელი, ყველაზე წმინდა, მინარევების გარეშე 24 კარატია.** მოგეხსენებათ, მზე ცის კაბადონზე ერთ წრეს 24 საათში ასრულებს და სწორედ ეს მზიური ციფრი ასახავს ოქროს სიწმინდესაც. **ოქროს წონა იზომება ტროებში. ერთი უნცია ტროა უდრის 480 (24X20) პურის მარცვალს.** თავთავის (მზიური ოქროს) მარცვალთა რაოდენობაც ასევე ოქროს უკავშირდება. **ნიშანდობლივია, რომ პურმარცვლეულიც ფულისა და სიმდიდრის სიმბოლოსა და მის მაჩვენებელს წარმოადგენს.**

**— დედამიწის თანამგზავრი და ასტროლოგიურად — ჩვენი ემოციური ცენტრი — მთვარე ასევე ღამღამობით შუქს ფენს დედამიწას, თუმცა, მისი ნათება თეთრია და ცივი.**

— **მთვარის ნათება არა საკუთარი, არამედ მზისგან არეკლილია და ის ისევე, როგორც მისი შესაბამისი ლითონი ვერცხლი თეთრია.** ანტიკურ ხანაში ნათელი ვერცხლისფერი **მთვარე** უკავშირდებოდა ვერცხლისისრებიან მონადირე, მთვარის ქალწულ ქალღმერთს (არტემიდას, დიანას), რომლის გამოსახულებები ვერცხლისგან მზადდებოდა. ნიშანდობლივია, რომ ამ გამოსახულებების ავტორები ეფესელი ხელოსნები ძველ აღთქმაში არიან მოხსენიებულნი. **ასტროლოგიური თვალთახედვით მთვარე უკავშირდება წარმოსახვის უნარს, ფანტაზიებს, ემოციებს, ისტორიას, საოჯახო კერას. ვერცხლსაც იგივე თვისებები ახასიათებს. ფოტოგრაფიაში** იგი წარსულის გამოსახულებას ინახავს, ხოლო სარკეებში ჩვენს გამოსახულებას ასახავს (სარკე მზადდება მინაზე ვერცხლის მარილების დატანების რეაქციით). ადამიანი სარკეში ჩახედვისას ან ფოტოების დათვალიერებისას გამოსახულებას ხედავს, თუმცა, ვერ გრძნობს, რომ ვერცხლის დანალექს უყურებს. სწორედ ამაში აისახება ვერცხლის ისეთი თვისებები, როგორიცაა პასიურობა და აღქმის უნარი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **ვერცხლი** ისევე, როგორც **ოქრო** უკავშირდება შუქს, ბზინვარებას, თუმცა, ეს კავშირი თავისი არსით საპირისპიროა. **მზე** ნაირფერებით ამკობს სამყაროს, ხოლო **მთვარე** თავისი არეკლილი შუქით გარემოს შავ, თეთრ და რუხ ტონებში ღებავს. **ოქროს შესამჩნევი ბზინვარება გააჩნია, ვერცხლი კი ფერებს პასიურად აღიქვამს.** ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **ვერცხლის რეაქციები სიბნელეში მიმდინარეობს, რადგან შუქი მის ქიმიურ რეაქციას ხელს უშლის.** მოგეხსენებათ, ფოტოგრაფსაც მოვერცხლილ ფირებთან მუშაობისას ჩაბნელებული ოთახი ესაჭიროება. ვერცხლის ნაერთები ინახება მუქი მინისგან დამზადებულ რეზერვუარებში, ხოლო ვერცხლის მარილები ასევე ადვილად იშლება დღის სინათლეზე. **ვერცხლი** ფოტო და კინოინდუსტრიაში გამოიყენება (სწორედ ვერცხლის მარილებია დალექილი ფოტო და კინოფირებზე) როგორც შავთეთრი, ისე ფერადი ფილმების წარმოებისას, იგი ყოველთვის უმთავრესი იყო. ამიტომ **ფოტო და კინოინდუსტრია ვერცხლის ყველაზე დიდ მარაგს იტევს. ასტროლოგიური კუთხით თუ შევხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ კინოს მიერ წარმოქმნილი ფანტაზიის უნარი ასევე მთვარისეულია, რამეთუ სწორედ მთვარე უკავშირდება ოცნებას, გრძნობებს, ემოციებს, წარმოსახვის უნარს. გარდა ამისა, დოკუმენტური ფილმებიც და ძველი ფოტოებიც წარმოადგენს წარსულის, ისტორიის, ოჯახის წევრების ყოფის ასახვას, რაც ასევე უკავშირდება მთვარეს, კირჩხიბის ზოდიაქოს და მეოთხე ასტროლოგიურ სახლს.** გარდა ამისა, **ვერცხლს** ყველაზე კარგი ელექტროგამტარობა და თერმოგამტარობა აქვს და არსებული ლითონებიდან ხილულ შუქს ყველაზე კარგად ირეკლავს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ვერცხლის უდიდესი მარაგი ოკეანეშია გაბნეული, რაც კიდევ ერთხელ მიგვითითებს მთვარის კავშირზე წყლის სტიქიასთან. ვერცხლის იოდიტი წვიმის მოსაყვანად გამოიყენება. მას ღრუბლებზე მოაფრქვევენ, რაც წყლის კონდენსირებას იწვევს. ნალექების რაოდენობა ისევე, როგორც ოკეანეში წყლის მიქცევ-მოქცევა, მთვარის ფაზებზეა დამოკიდებული.

*რუბრიკას უძღვება*
*მარინა მერკვილაძე*

## 13-19 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი (21.03-20.04)**
ფინანსური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ და თქვენი ხიბლიც გაიზრდება. კარიერული აღმასვლა კი დამატებით ინფორმაციის მიღებასა და ცოდნას მოითხოვს. სხვის მაგივრად საქმეს ნუ შეასრულებთ, რათა ორგანიზმი არ გადაღალოთ. სასიყვარულო ფრონტზე სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი, მოგზაურობა მეტად დასამახსოვრებელი და შთაბეჭდილებებით აღსავსე იქნება, რაც რომანტიკულობასა და მგრძნობელობას გაგიღვიძებთ.

**კურო (21.04-20.05)**
ავტორიტეტი საგრძნობლად მოგემატებათ. თქვენს აზრს ბევრი ადამიანი გაითვალისწინებს როგორც სამეგობრო წრეში, ისე სამსახურში. მეტი დრო დაუთმეთ პირად პრობლემებს, სასიყვარულო ურთიერთობას, გარეგნობას. ეს კვირა ხელს შეუწყობს დამატებითი ცოდნის მიღებას და განათლებას. მოგზაურობა-გადაადგილებებმა შესაძლოა, თქვენი ძველი გეგმები და მიზნები რადიკალურად შეცვალოს.

**ტყუპი (21.05-22.06)**
კარგი პერიოდია პროფესიული საქმიანობისა და სამსახურში თქვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. თქვენი შრომით ნელა, მაგრამ წარმატებულად ივლით მიზნისკენ. საგარეო ვაჭრობა ფინანსურ მოგებას მოგიტანთ. გარშემო მყოფნი ყოველმხრივ მხარში დაგიდგებიან, თუმცა, შესაძლებელია მითქმა-მოთქმა და ინტრიგებიც. შეყვარებულს შესაძლოა, თქვენი თანადგომა დასჭირდეს. ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ და ზედმეტად ენერგია არ დახარჯოთ.

**კირჩხიბი (23.06-22.07)**
კარგი პერიოდია ახალი იდეების გენერალიზებისა და მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის. შესაძლოა, ფინანსური დახმარება ანდა დაფინანსება მიიღოთ. ეცადეთ, არ გარისკოთ და კანონიც არ დაარღვიოთ, ოჯახის წევრებთან კამათს მოერიდეთ. მოგზაურობის გადადებამ შესაძლოა, ფსიქოლოგიური პრობლემა გამოიწვიოს. ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში ექიმს დროულად მიმართეთ.

**ლომი (23.07-23.08)**
გაზრდილი ინტელექტი და შინაგანი წონასწორობა სირთულის წარმატებით გადალახვასა და მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ. მოთმინებითა და პასუხისმგებლობით ბარიერს იოლად დაძლევთ, მატერიალური მდგომარეობა კონკრეტულ მიზნებსა და თქვენ მიერ გაწეულ სამუშაოზე იქნება დამოკიდებული. სიყვარულში მეტად ერთგული იქნებით და რჩეულს პრობლემების მოგვარებაში დაეხმარებით. მოგზაურობა დადებითად ჩაივლის.

**ქალწული (24.08-23.09)**
თქვენი იდეები დიდ მოწონებას დაიმსახურებს როგორც ოჯახში, ისე ხელმძღვანელობასა და პარტნიორებში, რასაც საქმიანი ჰორიზონტის გაფართოება ან ახალი ბიზნესი შეიძლება, მოჰყვეს. ერთობლივ ფინანსებთან დაკავშირებული საქმე მომგებიანი იქნება, ოღონდ იურიდიული და ფინანსური საბუთები წესრიგში მოიყვანეთ. ახალი სასიყვარულო კავშირი სიღრმისეულ გრძნობასა და სულიერ ერთიანობას გიქადით. მოგზაურობასთან მიმართებით შესაძლოა, ახალი სურვილები დაგებადოთ.

## 13-19 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი (24.09-22.10)**
კარგი პერიოდია შემოქმედებისა და თვითგამოვლენისთვის. ხელსაყრელი კვირაა იურიდიული და ოფიციალურ საქმეების მოსაგვარებლადაც. ფულადი სახსრების მიმართ საკმარისად ფრთხილი იქნებით, რაც საშუალებას მოგცემთ, გარკვეული თანხა დაზოგოთ. რომანტიკულ ურთიერთობაში, შესაძლოა, უჩვეულო გამოცდილების მიღება მოისურვოთ, რაც ბედ-იღბლის რადიკალურ ცვლილებას გამოიწვევს. მოგზაურობა დადებითად ჩაივლის.

**ღრიანკალი (23.10-22.11)**
შინაგან ხმას მეტად უსმინეთ და დროს უქმად ნუ დახარჯავთ. სამსახურში სასიკეთო შესაძლებლობები გამოჩნდება, მაგრამ სწრაფი წარმატების იმედი ნუ გექნებათ. ახალი ნაცნობობა მოგვიანებით კარგ მეგობრობაში გადაიზრდება. სასიყვარულო შეხვედრების რაოდენობა მოიმატებს და ამ პერიოდში დაწყებული ურთიერთობა შესაძლოა, დიდხანს გაგრძელდეს. კარგი დროა ახალი ნაცნობობისთვის, ქორწინებისთვის და მოგზაურობისთვის.

**მშვილდოსანი (23.11-21.12)**
კარგი პერიოდია მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის და პროფესიული დონის ასამაღლებლად, ნათესავებთან ურთიერთობისთვის, ძველი იდეის განხორციელებისთვის და საიდუმლო ინფორმაციის გამოკვლევისთვის. ამავდროულად, მეუღლესთან ან შეყვარებულთან თუ გულღია და გულთბილი არ იქნებით, შესაძლოა, თქვენი ურთიერთობა ჩიხში მოექცეს და დაცილების პროცესიც კი დაიწყოთ. შორეული მოგზაურობა კი დიდ პერსპექტივას გიქადით.

**თხის რქა (22.12-19.01)**
პროფესიულ საქმეში ახალ მნიშვნელოვან გამოცდილებას მიიღებთ, შემოსავლებიც მოიმატებს. სახლისა და ოჯახის წევრთა საქმეებიც მთლიანად თქვენს პასუხისმგებლობაზე იქნება დამოკიდებული. შეყვარებულთან ურთიერთობა შესაძლოა, საიდუმლოებით მოსილი, მაგრამ მეტად სასიამოვნო იყოს. გადაადგილებების რიცხვი იკლებს, თუმცა, ეს არც კონტაქტებს და არც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას ზიანს არ მიაყენებს.

**მერწყული (20.01-18.02)**
განწყობა გაგიუმჯობესდებათ და ქმედითუნარიანობაც მოიმატებს. კარიერული აღმასვლა დამოკიდებულია ხელმძღვანელი პირების ანდა მათდამი თქვენი დამოკიდებულების შეცვლაზე. ფულის გაფლანგვასა და ახალ სპონტანურ შენაძენს მოერიდეთ. ბევრი გადაადგილებები და კონტაქტები დამღლელი, მაგრამ მხიარულების მომგვრელი იქნება. საქმიან და სასიყვარულო პარტნიორთან ურთიერთობის შესანარჩუნებლად ეცადეთ, მათი აზრი გაითვალისწინოთ.

**თევზები (19.02-20.03)**
კარგი პერიოდია როგორც პირადი ცხოვრებისთვის, ისე ბიზნესისთვის. აქტიურობა დადებითად აისახება ახალი საქმეების დაწყებაზე და ჩანაფიქრის განხორციელებაზე. მუშაობისას და გადაწყვეტილებების მიღებისას ყველა წვრილმანი გაითვალისწინეთ. საიდუმლო და საეჭვო საზოგადოებასა და ორგანიზაციებს მოერიდეთ, რათა ავტორიტეტი არ შეგელახოთ. შეყვარებულთან ნუ იკამათებთ, რათა არ აეჭვიანოთ. მოგზაურობა თქვენს შინაგან სამყაროზე დადებითად აისახება.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 13, 15 და 17 ნოემბერი

**13 ნოემბერი – ახალმთვარეობა, პიკი – 13.27 საათზე;**
**27 ნოემბერი – სავსემთვარეობა, პიკი – 13.17 საათზე.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 13 ნოემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.47 საათზე, ჩადის 17.43 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 07.44 საათზე, ჩადის 17.31 საათზე (**ახალმთვარეობაა,** პიკი — 13.27 საათზე. ამ დროს იწყება I ფაზა და I დღე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მძიმე ენერგიების დღეა. მაღალია ტრავმულ-ავარიული ტენდენციის, აგრესია-დეპრესიის გამოვლენის, კონფლიქტების, შეცდომების, ცდუნებების, განაწყენების, ეჭვიანობის და სხვა ნეგატიური მოვლენის ალბათობა. იყავით ყურადღებით, პროვოკაციებს არ აჰყვეთ! ემოციები აკონტროლეთ. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, მგზავრობა, ბინის შეცვლა, სესხის აღება, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება, სხივური თერაპია. სასიკეთოა ლოცვა, ყველას დალოცვა, ოპტიმიზმის გამოვლენა. დღე მშვიდად გაატარეთ. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, ახალი საქმის დაგეგმვისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** გიშერი, ოპალი, ტოპაზი, ზურმუხტი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 14 ნოემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.48 საათზე, ჩადის 17.42 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (06.31) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.55 საათზე, ჩადის 18.05 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 10.47 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 03.03 საათიდან 06.31 საათამდე. **ტენდენციები:** ელექტროგაყვანილობასთან და ხელსაწყოებთან მიმართებით სიფრთხილე გამოიჩინეთ, წნევა გააკონტროლეთ. ძალისმიერად ნუ იმოქმედებთ. არ არის სასურველი გარისკვა, გადაღლა, სისხლის გადასხმა, მშენებლობა. იმატებს ილუზიები, რას აპირებთ, ნურავის გაუმხელთ. შედეგიანი იქნება ფილტვების, ბრონქების მკურნალობა, სუნთქვითი ვარჯიშები და წყლის პროცედურები. კარგი დღეა იურიდიული საქმეებისთვის, უცხოელებთან კონტაქტებისთვის, მგზავრობა-მოგზაურობისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, ხელშეკრულების დასადებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, იაგუნდი, ნეფრიტი, სარდონიქსი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 15 ნოემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.50 საათზე, ჩადის 17.41 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 10.07 საათზე, ჩადის 18.49 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 12.17 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მძიმე და რთულ საქმეს დღეს ნუ შეასრულებთ. საჭის მართვისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. მოვლენათა მსვლელობას თვალი ადევნეთ. მატულობს ხასიათცვალებადობა და შრომისუნარიანობა. კარგი დღეა სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, ფილტვების, ბრონქების, ხელების სამკურნალოდ, მგზავრობისთვის, ტურისტული ლაშქრობებისთვის, უცხოელებთანკონტაქტისთვის. დაჯილდოება-პრეზენტაციებისთვის ინტუიცია მომატებულია. იმატებს თავგადასავლების სურვილიც. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა, ზედმეტი ამბიციურობა, ბავშვები აკონტროლეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, ლაბრადორიტი, ქარვა, ლალი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 16 ნოემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.51 საათზე, ჩადის 17.40 საათზე. მთვარე გადაინაცვლებს (11.42) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 11.15 საათზე, ჩადის 19.45 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 13.35 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეიდან **თეთრი მთვარე სელენა** მფარველ ანგელოზ **კუროს** ზოდიაქოში გადაინაცვლებს (7 თვით), რაც ადამიანებში გააძლიერებს სტაბილურობისკენ მიდრეკილებას, ერთგულებას, წინდახედულობას, ორგანიზებულობას, მოთმინებას, ტრადიციულობას, პრაგმატულობას, ფინანსურ და შემოქმედებით შესაძლებლობებს. ხელი შეეწყობა აგრობიზნესის, არქიტექტურის, მშენებლობის, ხელოვნების დარგებს, საბანკო-საფინანსო სექტორის გაუმჯობესებას. დღეს კი ინტუიციას დაეყრდენით. მოიფიქრეთ პარტნიორთან ერთად საერთო რაიმე საქმე. ეფექტური იქნება მკერდის, კუჭ-ნაწლავის, კანის, ფრჩხილების მკურნალობა და მოვლა. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, უძრავი ქონებისა და მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ხელმძღვანელობასთან კონტაქტი, სტომატოლოგიური პროცედურები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 17 ნოემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.52 საათზე, ჩადის 17.39 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 12.13 საათზე, ჩადის 20.52 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 04.28 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს იმატებს უყურადღებობა, დაბნეულობა, თავდაუჯერებლობა. შემცირებულია ურთიერთგაგება. იმოქმედეთ პრინციპით: „შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი". არ არის სასურველი ქორწინება, ვაჭრობა, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა, ფინანსური ოპერაციები, სიმძიმის აწევა, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება, სტომატოლოგიური პროცედურები. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, უძრავი ქონებისა და მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 18 ნოემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.53 საათზე, ჩადის 17.39 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (15.23) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 13.02 საათზე, ჩადის 22.06 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 15.00 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 12.27 საათიდან 15.23 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს და ხვალ მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, საყოფაცხოვრებო საკითხებს, ახლობლებთან ურთიერთობას. მოერიდეთ ალკოჰოლს, ძლიერი წამლებისა და ყავის მიღებას, რამაც, შესაძლოა, ალერგიული რეაქცია გამოიწვიოს, საღამოს კი მოერიდეთ ზედმეტ ლაპარაკს, ნერვიულობას და ცხიმიანი საკვების მიღებას. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, შემოქმედებითი გეგმების დასახვისთვის, ავეჯის გადაადგილებისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ფინანსური ოპერაციები, სტომატოლოგიური პროცედურები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი და ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი. **საღამოს** — აკვამარინი, საფირონი, ძოწი, ცირკონი. **ნეიტრალური დღეა** ყველა ზოდიაქოს ნიშნისთვის, გარდა თევზებისა.

## 19 ნოემბერი, კვირა

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.54 საათზე, ჩადის 17.38 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 13.40 საათზე, ჩადის 23.23 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 15.18 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** სასიკეთოა სუნთქვითი ვარჯიშები. საქმის განხორციელების შესაძლებლობა დიდია, თუმცა, მეტი ორგანიზებულობა მოგეთხოვებათ. მაქსიმალურად მოერიდეთ სიცრუეს, გაკრიტიკებას, საქმის გარჩევას, ნერვიულობას, ზედმეტ ლაპარაკს. ნუ გადაიღლებით. დაეყრდენით რეალურ ფაქტებს და არა ფანტაზიებს. კარგი დღეა საზოგადოებრივი საქმეებისთვის და ინტელექტუალური განვითარებისთვის, ელექტროაპარატურის შესაძენად, სახლის მშენებლობისთვის, ბინის შესაცვლელად, სარემონტო-სამღებრო სამუშაოებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ნეფრიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



✝ **13 ნოემბერი. ორშაბათი. წმიდათა ათთა ბევრთა მოწამეთა, თბილისს ხვარაზმელთაგან წამებულთა;** მოციქულთა: სტაქოსისა, ამპლიოსისა, ურბანიოსისა, ნარკისისა, აპელიოსისა და არისტობულესი, 70-თაგანთა; მოწამისა ეპიმაქესი; ღირსისა მავრასი.

✝ **14 ნოემბერი. სამშაბათი. უვერცხლოთა და სასწაულმოქმედთა კოზმა და დამიანე აზიელთა და დედისა მათისა ღირსისა თეოდოტიასი;** მღვდელმოწამეთა იოანე ეპისკოპოსისა და იაკობ ხუცისა, სპარსეთს წამებულთა; მოწამეთა: კვირიენასი და იულიანასი; მოწამისა ერმინინგელდისა, გუთების უფლისწულისა; მოწამეთა: კესარისა, დასისა და 5-თა მათთანა.



**14 ნოემბერი – ხსენება უვერცხლოთა და სასწაულმოქმედთა კოზმა და დამიანე აზიელთა**

✝ **15 ნოემბერი. ოთხშაბათი.** მოწამეთა: აკვინდინესი, პიგასისა, აფთონისა, ელპიდიფორესი, ანემპოდისტესი და მათთანათა; ღირსისა მარკიანე კვირინელისა.

✝ **16 ნოემბერი. ხუთშაბათი. ღირსისა ნიკოლოზისა, ქართველთა მნათობისა, აკოლოთიათა აღმწერელისა;** დიდმოწამე გიორგის ტაძრის განახლება ლუდიასა შინა, სადა მდებარე არს პატიოსანი გვამი მისი; მოწამეთა: აკეფსიმე ეპისკოპოსისა, იოსებ ხუცისა და აითალა დიაკონისა; მოწამე მხედართა: ატიკესი, აღაპისა, ევდოქსისა, კატერისა, ისტუკარისა, პაქტოვისა, ნიქტოპოლიონისა და მოყვასთა მათთა; ღირსისა აკეფსიმესი; მართლისა სნანდულიასი.

✝ **17 ნოემბერი. პარასკევი.** წმიდათა და მართალთა ქრისტეს საფლავის მცველთა: იოანე, სტეფანე და ესაია ქართველთა; ღირსისა იოანიკე დიდისა; მღვდელმოწამეთა ნიკანდრესი, მირონელი ეპისკოპოსისა და ერმე ხუცისა.

✝ **18 ნოემბერი. შაბათი. მოწამეთა გალაქტიონისა და ეპისტიმიასი;** მოციქულთა: პატრობისა, ერმისა, ლინესი, გაიოზისა, ფილოლოგისა, 70-თაგანთა; გრიგოლისა, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა; იონასი, ნოვგოროდელი მთავარეპისკოპოსისა.

✝ **19 ნოემბერი. კვირა.** პავლესი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა, აღმსარებელისა; ქალწულმოწამეთა: ტეკუსასი, ალექსანდრასი, პოლაქტიასი, კლავდიასი, ევფროსინესი, ათანასიასი და მატრონასი; ღირსისა ლუკა ტავრომენიელისა; ღირსისა ვარლაამ ხუტინსკელისა.












**32–ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4. ლავრა; 8. პეპელა; 11. მუზარადი; 12. ნერგი; 13. კვატა; 14. ცუნამი; 15. მიჩურინი; 16. ნაგაი; 17. ნაურუ; 18. კვერნა; 19. კაზანოვა; 23. რიანა; 24. ღილი; 26. ნაია; 27. კამერტონი; 28. ბეკონი; 31. მარკა; 32. ბის; 34. რქაწითელი; 35. მუნკი; 36. ლექსიკა; 37. წინაპარი; 40. როიტერი; 41. სიბილა; 44. ტრეპანაცია; 46. ბიბინი; 49. ბანდიტი; 50. მაკულატურა; 54. ზონარი; 56. ცეცე; 57. კარიკატურა; 59. რენეგატი; 60. ლისი.

შვეულად: 1. ტუნიკა; 2. მარულა; 3. შაპიტო; 4. ლიკინა; 5. ვიადუკი; 6. ანანური; 7. ბრეგვაძე; 8. პიციკატო; 9. პანთეონი; 10. ლამანტინი; 19. კოკორი; 20. ზამთარი; 21. ნარჩიტა; 22. ვიოლეტა; 24. ღიმილი; 25. ლარიქსი; 28. ბადიში; 29. კამარა; 30. ნანკინი; 32. ბისერი; 33. სამიტი; 37. წირვა; 38. ნეპტუნი; 39. პანტა; 41. საბა; 42. ბანკეტი; 43. ლაინერი; 45. ცრუ; 46. ბიზონი; 47. ბუნაგი; 48. ნარიტა; 50. მოკო; 51. ლუკა; 52. ტიტა; 53. რური; 58. რე.

**კერამიკადომინოსისინიორაგულივერიკოკორიდასი**
**მონაკოდალაქიტონიკითარაზონარიტაეპილოგიკაბუ**

| თიხის ნაკეთობანი | სამაგიდო თამაში | გველის ხმიანობა | თევზის სახეობა | მსახიობი ... ანჯაფარიძე | ხარების ბრძოლა | მე-7 ნოტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხელი დასანთები ადგილი მიწის იატაკზე | იმპერატორთა ტიტული იაპონიაში | კუნძულ კრეტის მეფე (მით.) | ქალიშვილო! (იტალ.) | სვიფტის მოგზაური პერსონაჟი | გაუშლელი ყვავილი | თეატრალური კოლექტივი |



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 4. მამათა დიდი მონასტერი; 8. ფრთაფარფატა ჭრელი მწერი; 11. მეომრის ძველებური ლითონის ქუდი; 12. დასარგავი ნორჩი მცენარე; 13. იხვი (კუთხ.); 14. გიგანტური სიმაღლის ტალღები ოკეანეში; 15. რუსი სელექციონერი; 16. იაპონელი მწერალი; 17. კუნძული წყნარ ოკეანეში; 18. ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 19. იტალიელი მწერალი და მემუარისტი; 23. ბარბადოსელი მომღერალი; 24. ფოლაქი; 26. ინდური კობრა; 27. ხელსაწყო, გამოიყენება მუსიკალური საკრავის აწყობისას; 28. საგანგებოდ გამოყვანილი ღორის ხორცი; 31. საფოსტო ნიშანი; 32. ნომრის გამეორების მოთხოვნა; 33. ქართული ვაზის ჯიში; 35. ნორვეგიელი ფერმწერი; 36. რომელიმე ენის სიტყვათა ერთობლიობა, სიტყვების მარაგი; 37. ძველ დროში მცხოვრები ნათესავი; 40. ინგლისის საინფორმაციო სააგენტო; 41. წინასწარმეტყველი ქალი ძველ რომსა და საბერძნეთში; 44. თავის ქალის გაკვეთის ოპერაცია; 46. ჯეჯილის რხევა, რისგანაც წარმოიქმნება ელვარება; 49. ყაჩაღი, მძარცველი; 50. უვარგისი ქაღალდი, რომელსაც კვლავ ქაღალდად გადაამუშავებენ; 54. რბილი ნართის გრეხილი; 56. შხამიანი ბუზი; 57. ვინმეს ან რამეს დამახინჯებული სასაცილო ნახატი; 58. მოღალატე, განდგომილი ადამიანი; 58. ჭაობის მცენარე.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ძველი რომაელების სამოსი; 2. დოლი; 3. მოძრავი ცირკი; 4. თონეში გამომცხვარი მჭადი; 5. ხეობაზე, მშრალ ხევზე გაყვანილი ნაგებობა; 6. ციხე-სიმაგრე დუშეთის რაიონში; 7. ქართველი მომღერალი ქალი; 8. თითის ამოკვრით, უხემოდ დაკვრა ხემიანი ინსტრუმენტისა; 9. გამოჩენილი ადამიანების სასაფლაო; 10. სირენების რაზმის წყლის ძუძუმწოვარა; 19. გაუშლელი ყვავილი; 20. წელიწადის ერთ-ერთი დრო; 21. რეშად ნური გუნთექინის რომანი; 22. ქალის სახელი; 24. უხმო სიცილი; 25. ფიჭვისებრთა ოჯახის მცენარე; 28. შვილიშვილი; 29. აკვნის ხელმოსავლები ჯოხი; 30. ჩინეთის ძვ. დედაქალაქი; 32. წვრილი, საქარგავი მძივი; 33. შეხვედრა უმაღლეს დონეზე; 37. მთავარი ქრისტიანული მღვდელთმსახურება; 38. მზის სისტემის პლანეტა; 39. ტყის მსხალი; 41. ქართული ლიტერატურული პრემია; 42. საზეიმო წვეულება; 43. მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 45. მატყუარა; 46. ჩრდილოეთ ამერიკაში გავრცელებული გარეული ხარი; 47. ნადირის სადგომი; 48. აეროპორტი ტოკიოში; 50. ყავის ნაირსახეობა; 51. სახარების ერთ-ერთი ავტორი; 52. ყვავილი; 53. გერმანიის სამრეწველო რაიონი; 58. მეორე ნოტი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ქალაქი საფრანგეთში | ფიგაროს პროფესია | უალკოჰოლო გაზიანი სასმელი | პატერპასი | აეროპორტი ტოკიოში | ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი | ქართველი რეპერი |
|---|---|---|---|---|---|---|
| უუფლებო ადამიანი | ხეკაკუნა ფრინველი | ძველი ბერძნული სამოსი | ძვ. ბერძნული სიმებიანი საკრავი | რბილი ნართის წვრილი გრეხილი | ლექსის სტრიქონი | შინაგანი კანონზომიერება | ღამის ფრინველი |

## ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ (ᲐᲠ) ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲔᲜ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.



რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

**ასავალ დასავალი**

2023 წლის 13 — 19 ნოემბერი №49 (1513)

გამოდის ორშაბათობით

მედიაკორპორაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**


